FS 5930

5930
ბ. 12° 506.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანჩიბ.

ვუძღვნი მ—კას.

ორი და ჩვენ.

შინაარსი:

წინასწარი შენიშვნები.
I საქმის ვითარება.
II ძირითადი დებულება.
III ნაციონალური სახელმწიფო.
IV ტერიტორიის საკითხი.
ა) სადაო საგანი; ბ) ავსტრო-უნგრეთი; გ) ავსტრიის სოციალ-დემოკრატია; დ) ოტო ბაუერი; ე) რუდოლფ შპრინგერი (რენერი) ვ) დასკვნა.
V საქართველოს თვითმართველობა. ა) „სტატისტიკა"; ბ) გენერალური გამიჯვნა მარჯვნით; გ) მთავარი საფრთხე: დ) ეკონომიური თვალთსაზრისი.
VI ორი თვალთსაზრისი.

1915
მსწ.-მბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის.
ქუთაისში.

ბიბლიოთეკა ფოლადი ბეჭდვა

ბ.12° 506. 5930.

ანჩიბ.

ერი და ჩვენ.

F 636 / 2

გამოცემა ფუფუნ ბეკრამიასი.

შინაარსი:

წინასწარი შენიშვნები.

I საქმის ვითარება.

II ძირითადი დებულება.

III ნაციონალური სახელმწიფო.

IV ტერიტორიის საკითხი.
ა) სადაო საგანი; ბ) ავსტრო-უნგრეთი; გ)ავსტრიის სოციალ-დემოკრატია; დ) ოტო ბაუერი; ე) რუდოლფ შპრინგერი (რენერი) ვ) დასკვნა.

V საქართველოს თვითმართველობა. ა) „სტატისტიკა"; ბ) გენერალური გამიჯვნა მარჯვნით; გ) მთავარი საფრთხე; დ) ეკონომიური თვალთსაზრისი.

VI ორი თვალთსაზრისი.

1915

მსწ.-მბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის.

ქუთაისში.

VII.180.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასწარი შენიშვნები.

ქვემო მოთავსებული წერილები, რომელიც წიგნაკის სახით პირველათ ევლინება მკითხველ საზოგადოებას, მზათ იყო კიდევ შარშან ადრე გაზაფხულს, მაგრამ ვერ დაისტამბა ავტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო. შემდეგ, ზაფხულში, როცა ატყდა მსოფლიო ომი, ავტორს აზრათაც არ მოსვლია, პირველ ხანებში მაინც, ამ წიგნაკის გამოქვეყნება. არა მარტო დამოკიდებულ პატარა ერთა, თვით დამოუკიდებელ დიდ ერთა წინაც დაისვა საბედისწერო კითხვა ყოფნა-არყოფნისა. თუ კიდევ უფრო ღრმათ დავაკვირდებით თანამედროვე ომს, აღმოჩნდება, რომ მთელი განათლებული კაცობრიობაც, არა მარტო ცალკე ერი, დიდ და საეპოქო გარდაქმნის პროცესში იმყოფება. შეიძლება კიდეც ახლოვდება ის ჟამი, რომელზედაც მარქსი ამბობდა: იწვევენ ქვესკნელიდან ისეთ ძალებს, რომლის უკუქცევას ისინი ვერ შესძლებენ. მიუხედავათ თქმულისა, ერთი მაინც ცხადია: დამოკიდებულ ერთა საკითხიც ბევრი სხვა უფრო ძირითად საკითხებთან ერთათ თავის წესრიგში მოათავსა თანამედროვე ისტორიულმა მომენტმა. თავის თავათ მისახვედრია, კითხვის დასმა კიდევ არ მოასწავებს მის საბოლოოთ გადაჭრას. ავტორი არ იზიარებს არავითარ ილიუზიებს ამ მხრივ. პირიქით, ის ფიქრობს, რომ მესვეურ ძალთა დაინტერესება ჩაგრულ ერთა სვე-ბედით წმინდა „სტრატეგიულ“ ხასიათისაა, მაშინ როდესაც საჭიროა კითხვა **პოლიტიკურათ** დაისვას, რასაც მივაღწევთ სულ სხვა პირობებში.

ერთიასეთი აუცილებელი პირობა მდგომარეობს იმაში რომ თვით დამოკიდებულ ერთა მოწინავე ძალებმა აღიმაღ-

ლონ ხმა. ეს ასედაც ხდება სხვა ერებში: ზოგად თვალსაზრ-
კვევის პრინციპის აღიარებიდან მათ უკვე გადადგეს ნა-
ბიჯი პრაქტიკულ ეროვნულ პოლიტიკისაკენ, შეიმუშავეს
კონკრეტიული ჩარჩოებიც, რომელშიდაც უნდა ჩაისვას
თვითეულ ერის ცხოვრება მომავალში და შეუდგენ კი-
დეც შესაფერ მოქმედებას. მე არაფერს ვამბობ თვით
ამ პრაგრამა-ტაქტიკაზე, შეიძლება ზოგი მოსაწონი იყოს
და ზოგიც არა, მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ ხსენე-
ბულ ერთა მოწინავე ძალებმა იციან **რა სურთ** და აქე-
დან იციან ისიც, **რა უნდა აკეთონ.**

ვერ ვიტყვი, რომ ასე იყოს საქმე ქართველობაში.
ერთი უპირატესობა მაინც არის, თუ არა ვცდები, ჩვენს
მხარეზე: არც ერთ ჩაგრულ ერის მწერლობაში არ და-
წერილა, ვგონებ, იმდენი ეროვნულ საკითხზე, რამდენიც
ჩვენსაში, მაგრამ, როცა კითხვა რაოდენობიდან თვისე-
ბაზე გადადის, ვეჭვობ ამ მხრივაც უპირატესობა ჩვენ
გვეკუთნოდეს.

არის, მართალია, ერთი პოლიტიკური მიმართულე-
ბა, რომელსაც ძალიან თავი მოაქვს იმით, რომ მას აქვს
საკუთარი ეროვნული პროგრამა, მაგრამ როცა აკვირდე-
ბი მის მოქმედებას, ან უკეთ-**უმოქმედობას,** ხშირათ გა-
ვიწყდება ხოლმე, რომ შენ მართლა პოლიტიკურ მიმარ-
თულებასთან გაქვს საქმე. მიმართულება, რომელიც და-
დებითი მუშაობას არ ეწევა ხალხში, რომელსაც, მოლი-
ერის ექიმის არ იყოს, დღე მუდამ ერი და მამულიშვი-
ლობა აკერია ენაზე, ხოლო საქმით ზედმიწევნით უი-
ლაჯოა და პასიური, პროგრამაც რომ ყოვლად უმწიკვლო
ქონდეს მას გამომუშავებული, აბა რა უნდა გამოდნეს
აქედან.

არის მეორე მიმართულებაც, რომელმაც ახლახან
წამოყო თავი, ის არ ერიდება ხშირათ საგანს თავისი

ეროვნული

სახელი უწოდოს, არც დეკორაციები უყვარს მანდამანც და იცის თითქო ვის და რას ემსახურება, მაგრამ გარკვეული ეროვნული პროგრამა ჯერ მისგან არ გვინახავს. შეიძლება ამ მიმართულებამ უფრო ღრმა ფესვები გაიდგას ცხოვრებაში, მონახოს კიდეც ერთი რომელიმე საზოგადოებრივი კლასი, რომელსაც ის დაეყრდნობა, მაშინ ის იძულებული იქნება თავისი ეროვნული ფიზიანომიაც უფრო აშკარათ დაგვანახოს.

რაც შეეხება მესამე მიმართულებას, ის პირველია ყველა იმ კითხვებში, რომელიც ერის ჭირსა და ლხინს, მის ბედსა და უბედობას ეხება. აგერ ათი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც ქართველი ერის დიდი უმრავლესობა ამ მიმართულების პირით ლაპარაკობს შინ და გარეთ და არც გვსმენია, რომ მას ეს დიდი ნდობა ბოროტათ მოეხმაროს. ზოგადი ეროვნული პროგრამა მას მუდამ ქონდა, ხოლო რაც შეეხება კონკრეტიულ ეროვნულ პროგრამას, ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ვერ გასცილებია კამათის საფეხურს. მართალია, ხელმძღვანელი წრე ხშირად გვაუწყებს ხოლმე გაზეთის ფურცლებიდან თითქო ჩვენ უკვე გვქონდეს კონკრეტიული ეროვნული პროგრამაც, მაგრამ ეს შეცდომაა. ხსენებულმა წრემ კარგათ იცის, რა თქმა უნდა, შარშან ივნისის დამლევს ბრიუსელში მიღებული კაუცკის რეზოლიუციის შინაარსი. ამ რეზოლიუციის ერთ მუხლში ისაა ნათქვამი, რომ პროგრამის შეცვლა-შევსება უნდა მოხდეს იმავე წესით, რა წესითაც მიღებულ იქნა თვით პროგრამა. იქვეა აგრეთვე მოხსენებული უკანასკნელ წლეების ბრძოლა კულტურულ-ეროვნულ თვითმართველობის საკითხის გარშემო, სწორეთ ეს იყო მიზეზიც და საბაბიც ამ მუხლის მიღებისა. ხელმძღვანელთ შეუძლიათ ქონდეთ თავიანთი შეხედულება ამ საგანზე, მაგრამ შეხედულების პროგრამად გამოცხადებას ისინი ვერ იკისრებენ, ამისა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვის არსებობს განსაკუთრებული წესი.

ესეც არ იყოს, კულტურ-ულ-ეროვნული თვითმართველობა როგორც ერთ-ერთი მუხლი საარჩევნო პლათფორმისა, წამოყენებულ იქნა ჩვენში 1912 წელს, ხოლო ამ პროგრამის ვრცელი და საფუძვლიანი გარკვევა მოხდა 1913 წელს, მე სახეში მაქვს ან.-ის შრომა:

მართლაც რომ სამაგალითო წესია: წრეულს პროგრამა, ხოლო გაისათ პროგრამის საფუძველების კვლევა-ძიება!

ვიმეორებ, კონკრეტიულ ეროვნულ პროგრამის გამომუშავება ჯერ კიდევ კამათის ხანაშია. შარშან ომმა დაგვიშალა დასრულება იმ ფრიად ნაყოფიერ კამათისა, რომელიც მოყვა ან.-ის გამოსვლებს. ჩემი წიგნაკიც ამ კამათის გაგრძელებაა.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ნაწერებს, რომელიც დღემდის გამოუქვეყნებიათ თანამოაზრეთ, ჩვენს წრეებში არსებობს ოთხი მიმდინარეობა ეროვნულ საკითხზე: პირველი დგას ძველს ნიადაგზედ, ე. ი. ექომაგება ამიერ-კავკასიის საოლქო თვითმართველობას და ადგილობრივი ენების ხმარებას დაწესებულებებში. მეორე ცნობილია უფრო წინდაუხედავ გამოსვლებით პირველ მიმდინარეობის წინააღმდეგ, ვინემ დადებითი პროგრამით,—უკანასკნელი ერთობ ბუნდოვანია, თუმცა ეს არ გვიშლის დავინახოთ მისი ახლო ნათესაობა ფედერალისტების ეროვნულ პროგრამასთან. ამ მიმდინარეობას თავდაპირველათ ბელადობდა ლ. დარჩიაშვილი, ამ ჟამად კი მისი ადგილი თითქო საქარელმა დაიჭირა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი კამათში თავდაჭერილია, თან სხვა კითხვებიც ახსოვს, გარდა ეროვნულისა. მესამე მიმდინარეობას გამოაქვს საპროგრამოდ კულტურულ-ეროვნული თვითმართველობა მეოთხე მიმდინარეობა აღიარებს ტერიტორიალურ ფართე თვითმართველობას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეულ ერისათვის, ხოლო კულტურულ-ეროვნული ანუ პერსონალური პრინციპი მას შეექვს თავის გეგმაში, როგორც კორექტივი, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველსაყოფელათ. ორი უკანასკნელი მიმდინარეობა ემხრობა აგრეთვე ამიერ-კავკასიის საოლქო ფართე თვითმართველობას.

წიგნაკში, როგორც მკითხველი დაინახავს, გატარებულია მეოთხე მიმდინარეობის თვალთსაზრისი. ავტორი კარგათ გრძნობს, რომ წიგნაკს, ვინაიდან ის თავის დროზე ვერ გამოქვეყნდა, ახლათ გადამუშავება ეჭვრებოდა, პოლემიკურ ნაწილის შემოკლება და სამაგიეროთ დადებითი ნაწილის გაფართოება-ამისათვის დიდ და დაუფასებელ მასალას იძლევა დღევანდელი საერთაშორისო ომი—,მაგრამ ეს მოუხერხებელი შეიქნა მისთვის, მით უფრო, რომ წიგნაკის ამგვარათ გადამუშავება მოასწავებდა სულ ახალი შრომის დაწერას, ამისთვის კი დრო და გარემოება უფრო ხელსაყრელი იყო საჭირო, ვინემ არის ავტორის განკარგულებაში.

ამ რიგათ, წიგნაკი ისტამბება იმ სახით, რა სახითაც გამოვიდა ავტორის კალმიდან კიდევ შარშან. ჩართული აქვს მხოლოდ ხუთიოდე ახალი შენიშვნა სხოლიოში.

1915 წ. ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I.

საქმის ვითარება.

დღესაც ყველას კარგათ ახსოვს ს. დ. ფრაქციის პირველი ნაბიჯი **მეოთხე** სახელ. სათათბიროში. არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ს. დ. ფრაქციამ პასუხი გასცა პრემიერ-მინისტრის*) საპროგრამო სიტყვას, დეკლარაციას დეკლარაციითვე უპასუხ:.

მაგრამ იყო ამ საპასუხო დეკლარაციაში ერთი რამ, რომელმაც აახმაურა თანამოაზრეთა ბანაკი საერთოთ რუსეთში.

მე ვამბობ იმ ერთ ლიტონ ფრაზაზე, რომელიც ს. დ. ფრაქციამ მოაქცია თავის დეკლარაციაშ-: „**შექმნა საჭირო დაწესებულებათა თვითეულ ერის თავისუფლათ განვითარებისათვის**“. აი, ამ ფრაზამ გამოიწვია მთელი აურ-ზაური თანამოაზრეთა ერთ ნაწილში. ერთი ამტყუნებდა ს. დ. ფრაქციას, ან უკეთ, მის უმრავლესობას პროგრამულ საზღვრების გადალახვაში, ე. ი. უზურპატორობაში; მეორე სწამებდა მას ნაციონალურ რევიზიონისტობას; მესამე ბზათ იყო დაენახა მასში წვრილ ბურჟუათა ჯგუფი. და სხვა და სხვა. მე ვახსენე, ასე ვთქვათ, ლოიალური გაკრიტიკება ს. დ. ფრაქციის ერთ-ერთ ნაბიჯისა, რაიცა შეადგენს არა თუ უფლებას, არამედ მოვალეობასაც თვითეულ ჩვენგანისთვის. არალოიალურ გაკრიტიკებას, ისეთს: თითქო ერთ რომელსამე დეპუ-

*) მაშინ პრემიერად კოკოვცევი იყო.

ტატს ფრაქციის დაუკითხავათ, მის დირექტივის წინააღმ-
დეგ წამოესროლოს ხსენებული ფრაზა ტრიბუნიდან და
სხ.,—მე არ ვეხები.

იყო ერთი გარემოებაც, რომელსაც უნდა მიეწეროს,
პირველ რიგზე, ზოგიერთების წრე გადასული გაწიწმა-
ტება. თქვენ გახსოვთ ნ.—ს საყურადღებო წერილები
1912 წელს სათაურით: „ძველი და ახალი"; ამას თან
მოყვა „აგვისტოს თათბირი", რომელმაც დაადასტურა
ხსენებულ წერილში დაცული კულტურულ-ნაციონალური
თვითმართველობა დაბოლოს კი მოხდა ის, რაც ზევით მოგა-
ხსენეთ: ს. დ. ფრაქციის გამოსვლა ნაციონალურ კითხვა-
ში. ყველა ეს ერთი მიმდინარეობის საქმე იყო, ეს კი
საკმაო საბუთი იყო, რომ მეორე მიმდინარეობას თავი
შეურაცყოფილათ ეგრძნო და გამოელაშქრებია.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც არ დავივიწყოთ,
რომ პირველი იმპულსი ამ გამოლაშქრებისა **გ. პლეხანოვ-
მა** მისცა უკმაყოფილო ბანაკს. თქვენ გახსოვთ ცნობილი
ფრაზა, რომელიც წარმოისროლა ჯერ კიდევ „აგვისტოს
თათბირის" უმალ ამ გამოჩენილმი მწერალმა: „ბუნდოელ-
ნი და კავკასიელნი (იგულისხმე ქართველები) სოცია-
ლიზმს უფარდებენ (приспособляютъ) ნაციონალიზმს".

აი მოკლე ისტორია, თუ გნებავთ, ქრონოლოგიური
მატიანე.

დამახასიათებელია ის, რომ უკმაყოფილო ბანაკმა
ზევით მოყვანილ ს. დ. ფრაქციის „კრიმინალურ" ფრაზა-
ში უთუოთ კულტურულ-ნაციონალური თვითმართველობა
ამოიკითხა. საიდან დაასკვნა ეს მან? იქიდან, ალბათ, რომ
ეს ფორმულა დაუდასტურებია „აგვისტოს თათბირს"!—
თორემ არც ფრაქციას და არც მის ორატორს მზგავსი
არაფერი ჩაუდენია.

ჯერ ერთი, მას არც კი ქონდა ეს უფლება. ფრაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია წარმომადგენელია **მთელის***), „თათბირი" კი წარ-
მოადგენდა **ნაწილს**,—აქედან ნაწილი ვერ გასწევდა მთე
ლის მაგიერობას, პირველი ვერ მოახვევდა მეორეს თავის
გადაწყვეტილებას. მეორეც, რუსეთის დამოკიდებული ერნი
სხვადასხვა პირობებში იმყოფებიან, ისინი განირჩევიან ერ-
თი მეორისაგან ისტორიით, ტრადიციებით, მთელი თავისი
კულტურით... ასე რომ, როცა კითხვა ეხება არა მარტო
პრინციპებს, არამედ პრინციპების განსახიერებასაც, ე. ი.
პრაქტიკულ ეროვნულ პოლიტიკას, მაშინ მარტო ერ-
თი ფორმულა მოსატანი არ არის. კულტურულ-ნაციო-
ნალური თვითმართველობა შეიძლება, ზედგამოჭრილი იყოს
ერთი ერისათვის, მაგრამ უვარგისი ან არასაკმარისი
მეორისათვის. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენ ვიცავთ ტერი-
ტორიალურ თვითმართველობას პოლონეთში და სახელმ-
წიფოებრივობას ფინლანდიაში, საკმაო ნათლათ ამტკი-
ცებს იმას, რომ რუსეთის დამოკიდებულ ერთა უფლებრივი
განწესიერება ვერ განისაზღვრება ერთი რომელიმე ფორ-
მულით.

ს. დ. ფრაქციაში იყო ბაასი არა კულტურულ-ნა-
ციონალურ თვითმართველობაზე არამედ სხვა უფრო ზოგად
რამეზე. მართალია, აქეთ-იქიდან ხშირათ გაისმოდა უკ-
მაყოფილო ხმა, რომ ჩვენი ეროვნული პროგრამა ჯერ
მხოლოდ განყენებული ფორმულაა, რომ მას ეტივრება
სისხლ-ხორცის შესხმა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, კრინ-
ტიც არ დაუძრავთ იმის შესახებ, თითქო ფრაქცია მო-
წოდებული ყოფილიყო თავის ნებით გადაესინჯა ხსენე-
ბული პროგრამა. ის, რაც უმრავლესობამ მოითხოვა და
ბოლოს კიდეც შეტანილ იქნა დეკლარაციაში, ლოლი-
კურათ გამომდინარეობდა არსებულ პროგრამიდან. მარ-
თლაც, როგორ გნებავთ უზრუნველყოთ ერის ნორმალუ-
რი განვითარება, თუ მას არ მიენიჭება არც ერთი და-

*) შრომა დაწერილია ფრაქციის რასკოლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულების დაარსების უფლება? ნუ თუ თვითგამოკვევის პრინციპი ამ უფლებასაც არ გულისხმობს?! თქმა არ უნდა, დაწესებულებათა საჭიროების აღიარება კიდევ არ გვეუბნება, **რა ტიპის უნდა იყვენ ისინი**, რა დამოკიდებება უნდა ქონდეს მათ სახელმწიფოსთან და სხ. ვიცით მხოლოდ ერთი: ისინი უნდა ემსახურებოდენ **ერის თავისუფლათ განვითარებას.**

როგორც ხედავთ, ს. დ. ფრაქციამ წამოაყენა მხოლოდ ზოგადი მოთხოვნა, გამომდინარე თვით პროგრამიდან; რაც შეეხება დაწესებულებათა ტიპის გამომუშავებას თვითეულ დამოკიდებულ ერისათვის, ეს არ შედიოდა მის კომპეტენციაში. ს. დ. ფრაქციამ ამით, თუ გნებავთ, პირველათ ჩამოუკაკუნა კარზე იმათ, ვისიც ჯერ არს, რომ არსებული გამოურკვევლობა ეროვნულ კითხვაში აუტანელია, რომ დროა ჩამოყალიბდეს უფლებრივი ჩარჩოები თვითეულ დამოუკიდებელ ერისათვის და ეს კონკრეტიული მოთხოვნები ჩაქსოვილ იქნას უკვე მიღებულ საერთო მოთხოვნებში.

უკმაყოფილო ბანაკმა უყურადღებოთ დატოვა ერთიცა და მეორეც: მან ვერ შეამჩნია მთავარი ძარღვი ფრაქციის გამოსვლისა ეროვნულ საკითხში, ვერც ის იგრძნო, რომ ეროვნულ პროგრამის ზოგადობა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ფრაქციას, აქედან იმათაც, ვისაც ის გაუგზავნია სახელმწ. სათათბიროში.

მეტსაც ვიტყვი. უკმაყოფილო ბანაკმა გამოაცხადა status quo-ს ხელუხლებლობა. ჩვენს ეროვნულ პროგრამას არავითარი კონკრეტიზაცია არ ეჭვერებაო, რასში სავსებით არის ჩამოთვლილი დამოკიდებულ ერთა უფლებრივი გარანტიებიო. ასე რომ, თუ ამ ბანაკს დავუჯერეთ, ვინც არსებული ფორმულებით არ კმაყოფილდება და მათი რეალურ ცხოვრებასთან შეფარდებას დააპირებს,— ის „განდგომილია“!

ეს კი იმას მოასწავებს, რომ ჩვენი ქებული თვით-გამორკვევის პრინციპი უბრალო სიტყვის მასალა ყოფილა, გამოფიტულა, მაშასადამე, უნდა განიდევნოს პროგრამიდან! მახსოვს, ერთი მოხუცი ემიგრანტი ამ ფორმულის გაგონებაზე მთლათ აენთებოდა და პირიდან დორბლებსა ყრიდა. ხშირათ გსმენიათ და წაგიკითხავთ, რომ თვით-გამორკვევის პრინციპი ნიშნავს **ერის უფლებას თავისი სვე-ბედი თვითონ გადასჭრას**, ისე, როგორც ამას მისი **არხებითი** ინტერესები მოითხოვს; ამბობენ იმასაც, რომ ერს შეუძლია სუვერენულათ, ე. ი. სრულიად დამოუკიდებლათ, მოაწყოს საკუთარი მართველობა ამა თუ იმ სახისა, ამა თუ იმ ძალა-უფლებისა,—და ეს სუვერენობა ისე შორს მიდისო, რომ მას ნება ეძლევა სახელმწიფოდან სრული გამოცალკევებაც კი მოითხოვოსო. მაგრამ საკმარისია ვისმეს მოუვიდეს თავში ეს უფლება, მართლაც შეუზღუდველი უფლება, ამა თუ იმ დამოკიდებულ ერს შეუწონოს, გამოიმუშავოს მისთვის ესა თუ ის კონკრეტიული მოთხოვნა,—რომ მაშინვე წასცვინდენ მას აქეთ-იქიდან და მშრალზე დასვან! ამის შემდეგ სულაც არ მიკვირს ემიგრანტის გაპილპილება!

უნდა გამოვტყდეთ, დღესაც სრული გამოურკვევლობა მეფობს თანამოაზრეთა შორის, **განურჩევლათ მიმდინარეობისა**, ხსენებულ პრინციპის გარშემო. ეს ითქმის განსაკუთრებით **რუს** თანამოაზრეთა შესახებ. Selbstbestimmungsrecht, რუსულათ право на самоопредѣленіе. სჩანს, ავტომატურათ შეუტანიათ საერთო პროგრამაში და იმას კი ვერ შეგუებიან, თუ რას გულისხმობენ ამ პრინციპში იქ, საიდანაც ის გადმოუნერგავთ. შეუხამებლობა სიტყვასა და საქმეს შორის აშკარაა.

ყველა ეს ამტკიცებს იმას, რომ ბევრს ჯერეც ვერ დაულწევია თავი პირველყოფილ კოსმოპოლიტიზმისათვის, რომლისათვის არც კი არსებობდა ცნება ერი. ავიწყდე-

ბათ, რომ თანამედროვე ინტერნაციონალიზმი შეიცავს მეტს, ვინემ ძველ კომუნისტთა კოსმოპოლიტიზმი. ეკანასკნელს საქმე ქონდა ორ მოვლენასთან, ადამიანთან და კაცობრიობასთან, მათ შორის რომ გაჩრილი იყო ერთი ახალი მოვლენაც—ერი, ეს შეუმჩნეველი რჩებოდა. დღეს ერი, ეროვნება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი ვერ დარჩება. ამიტომაც ვეძახით ჩვენს თავს ინტერნაციონალისტებს. ერი აღიარებულია, როგორც სოციალური ორგანიზმი, როგორც **სუბიექტი უფლებისა**, აი სათავე თვითგამორკვევის პრინციპისა, აი ბაზა საერთაშორისო განწყობილებისა. სოლიდარობა მშრომელ კლასთა შორის, განურჩევლათ ეროვნებისა, უნდა გარდიქმნას მომავალში სოლიდარობად თვით ერთა შორის, აი საითკენ მიგვაქანებს ინტერნაციონალიზმი.

სწორათ გაგებული ინტერნაციონალიზმი პირდაპირ გვავალებს ჩვენ ვაწარმოვოთ **ეროვნული პოლიტიკაც**. ეს კი არაფრათ ეპრიანება ბევრ „ინტერნაციონალისტს"! ეროვნული პოლიტიკა ბურჟუაზიის საქმეაო, ამბობენ ისინი. ასეთი ინდიფერენტიზმი ეროვნულ პრობლემისადმი მოასწავებს ბურჟუაზიის ბორბლის ასატრიალებლათ ჩვენი მხარით წყლის წიკვას, სხვას არაფერს. მეტია ამაზე სიტყვის გაგრძელება.

არა ნაკლებ მიუტევებელ შეცდომას სჩადიან ისინიც, ვინც ამბობს, სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია მოასწავებს ეროვნულ საკითხის გადაჭრასაც. უეჭველია, სრული დეიოკრატიზაცია აუცილებელი პირობაა ეროვნულ საკითხის საფუძვლიანათ გადასაჭრელათ, ის გვიადვილებს ამ მიზნის მიღწევას, გვაახლოვებს მასთან; უეჭველია ისიც, რომ სრული დემოკრატიზაცია ბოლოს მოუღებს ეროვნულ დევნასაც... მაგრამ ყველა ეს და ბევრი სხვაც არ ნიშნავს თვით პრობლემის გაუქმებას, მისი უადგილობას. ვინ იტყვის, რომ ეროვნულ დევნის მოს-

პობა დიდსა და დაუფასებელ შეღავათს არ წარმოადგენ-
დეს, მაგრამ ამით მარტო არ განისაზღვრება დამოკიდებული
ერის მოთხოვნა. მას ეჭვრება **საკუთარი ეროვნული
ორგანოებიც**, რასაც თავის თავათ დიახაც არ გულის-
ხმობს სრული დემოკრატიზაცია. აი ეს ორგანოები, იუ-
რიდიულათ მკაფიოთ განსაზღვრული, არის ის, რასაც
კონკრეტიული ეროვნული პროგრამა ეწოდება.

**ბრძოლა დემოკრატიის უფლებისათვის არის და
უნდა იყოს იმავ დროსვე ბრძოლა ერის უფლებისათ-
ვის.** ეს პირველ ყოვლისა უნდა დაიმახსოვრონ იმათ, ვი-
საც ბედმა დამოკიდებულ ერის შვილობა არგუნა. მე სულაც
არ მიკვირს, როცა რუსი თანამოაზრენი უდარდელობას
იჩენენ **ამ თავათ** ეროვნულ პრობლემისადმი, მათ დედის
ძუძუდან არ დაყოლიათ ეროვნულ დევნისაგან გამოწვე-
ული მძაფრი გრძნობა, ხშირათ უზომო ტკივილები. ვინც
ეროვნულ დევნას არ განიცდის, ეს კიდევ არ ნიშნავს,
რასაკვირველია, რომ ის ადრე თუ გვიან ვერ გაართმევს
მას თავს. მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი სიმი უნდა
ჩამოკრან იმათ, ვინც თვითონ იწვის ამ უკულმართობის
ტაფაში.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენში ასე მომხდარიყოს. ჯერ
იყო და ეროვნული პრობლემა სულაც არ არსებობდა
ჩვენთვის, როგორც პოლიტიკური კითხვა. შემდეგ, როცა
ცხოვრებამ თავისი მაინც მოითხოვა, ჩვენ წამოვიყვანეთ
ამიერ-კავკასიის საოლქო ფართე თვითმართველობა და
თან გამოვაცხადეთ, აი ჩვენი ეროვნული პროგრამაო.
დღესაც ბევრი ჩვენგანი იმ აზრისაა, რომ ამაზე შორს
წასვლა დიდ ფათერაკს გვიმზადებსო. ეს იყო და არის
დიდი გულუბრიყვლობა. ამიერ-კავკასიაში ცხოვრობს
ბევრი ერი, ჩვენ მოვითხოვდით მაინ ერთ თვითმართველ
კალაპოტში მოქცევას **ადგილობრივი** მრავალმხრივ საჭი-
როებათა დასაკმაყოფილებლათ. ეს მოთხოვნა, რა თქმა

უნდა, ახლაც ისეთივე საფუძვლიანია, როგორიც მაშინ, ჩვენ დღესაც ვთხოულობთ ამიერ-კავკასიის საოლქო ფარ-თე თვითმართველობას, მაგრამ ამას წინეთაც არ ქონე-ბია და ახლაც არა აქვს **პირდაპირი** კავშირი ეროვნულ კითხვის გადაჭრასთან. აი, რა გვავიწყდებოდა ჩვენ. მართლაც, ამიერ-კავკასია, ეროვნულის თვალსაზრისით, იგივეა, რაც მთელი რუსეთი: იქაც და აქაც მრავალი ერი ბინადრობს,-მაშ რა დაგვიშლის დამოკიდებული ერის აწმყო და მომავალი ნაცვლათ „სეიმისა" **რუსეთის** სათა-თბიროსაგან გავხადოთ დამოკიდებული?!

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ეს ბორძიკი ეროვნულ პრობლემის გარშემო მაშინდელმა პოლიტიკუ-რმა სიტუაციამ გამოიწვია, მას ქონდა, იქვს გარეშე, თავისი **დადებითი** მხარეც. ასე რომ, ფაქტის აღიარება კიდევ არ ნიშნავს მის დაუფიქრებლათ გაკიცხვას.

1908 და 1909 წლებში, როცა მოძრაობის დამარ-ცხება ყველასათვის აშკარა გახდა, ეროვნულმა საკითხმა ხელახლავ მიიპყრო თანამოაზრეთა დიდი ყურადღება. ძველ მიმდინარეობას, რომელიც მარტოოდენ ამიერ-კავ-კასიის საოლქო თვითმართველობიდან ელოდა ხსნას, ზედ დაერთო ახალი მიმდინარეობაც, რომელმაც გააბა ბაასი **საქართველოს თვითმართველობაზე**; მან წამოაყენა აგ-რეთვე **კულტურულ-ნაციონალური თვითმართველობა** როგორც მინიმუმი ეროვნულ მოთხოვნისა. საზოგადოთ ამ საგანზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა მაშინ, იყო სერიო-ზული კამათიც მოპირდაპირეებთან; რაც შეეხება თანა-მოაზრეთ, მათ შორის, სამწუხაროთ, არ მომხდარა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მე არას ვამბობ შინაურ განხეთქილებაზე, რომელ-მაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე*), განსა-კუთრებით მუშებზე.

---

*) ლ. დარჩიაშვილის გამოსვლა.

ამის შემდეგ განვლო თითქმის ოთხმა წელიწადმა, ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. დუმილი დაარღვია ძველმა მიმდინარეობამ 1912 წელს, საარჩევნო კამპანიის დროს პირველ სტრიქონიდან ეტყობოდა ამ მიმდინარეობას, რომ ის **დათმობის** გზას დადგომოდა. მან იცნო თავის, ეროვნულ პროგრამის უკმარისობა და კულტურულ-ნაციონალურ თვითმართველობის დროშა ააფრიალა!

მართალია, მან მხოლოდ ვაკვრით მოიხსენია 1908 და 1909 წლების ვრცელი ლიტერატურა ეროვნულ საკითხზე, მაგრამ ის, რაც დაიწერა და დღესაც იწერება მისგან, დიდი ნაბიჯია წინ.

რუბიკონი გადავლახეთ!

II.

ძირითადი დებულება.

მთელმა საუკუნოებმა განვლო მას აქეთ, რაც ახალ იდეალიზმის მამათ-მთავარმა დეკარტმა წამოისროლა ერთი კლასიკური ფრაზა „Cogito ergo sum", ჩვენებურათ — „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ". ასევე ითქმის ერზედაც. როცა ერის შემადგენელი ადამიანთა კრებული გრძნობს თავის ერთობას, ჭირში და ლხინში განუყრელობას, და ეს გრძნობა გადააქვს აზროვნებაშიც, მაშინ მას შეუძლია თქვას, რომ ის არის ერი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ბუნება, გვარ-

ტომობა, ერთნაირი თავგადასავალი, ხასიათი, ენა, ადათი და ბევრი სხვაც არის ის ელემენტები, რომლისაგან იქმნება დროთა განმავლობაში ერი. მაგრამ ამისათვის ნიადაგი უნდა შემზადდეს თვით ცხოვრებაში. ასეთი ნიადაგი ერისათვის იყო ახალი სოციალ-ეკონომიური ვითარება, ანუ რასაც ვეძახით—ბურჟუაზიული წესწყობილება. ერი გაერთიანდა სოციალ-ეკონომიურათ, ამას თანა სდევს იდეოლოგიური გაერთიანებაც. ეყრება საფუძველი ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ეროვნულ ურთიერთობას. ვღებულობთ ახალ სოციალურ ორგანიზმს, გაცილებით უფრო მტკიცეს, ბუნებრივს, ვინემ ოდესმე არსებულს. ერი იცავს თავის ვინაობას, ჰქმნის ახალ ღირებულებათ, ის არის კულტურის და პროგრესის მატარებელი. ერი ვითარდება, ეს კი მომასწავებელია იმის, რომ მასში იბრძვის სხვა და სხვა სოციალური ძალები, სუსტს ამარცხებს ძლიერი, ძველს ახალი, ჩამავალ კლასს ამომავალი კლასი და ასე ბოლომდის.

ერი სოციალური ორგანიზმია-მაშასადამე მას უთუოთ ორგანოებიც უნდა ქონდეს. დიდი მეცნიერ ხალხი უნდა ვყოფილიყავით ჩვენ, როცა ვფიქრობდით ორგანიზმს უორგანოთ შეუძლია არსებობაო. არც მაშინ გახლდით დიდათ შორს-მჭვრეტნი, როცა ვფიქრობდით სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებები **უბრალო ქველმოქმედების ხასიათისა** ნამდვილ ეროვნულ ორგანების მაგიერობას გასწევსო.

აიღეთ დემოკრატია. ის იბრძვის დღე მუდამ, მისი ბრძოლა ღერძია თანამედროვე ცხოვრებისა. ის ეწევა ეკონომიურ, კულტურულ, პოლიტიკურ მუშაობას, აქვს უთვალავი დაწესებულებები და მათი ცენტრალები. ჩვენ ვიცით, რაა მისი საბოლოო მიზანი და რას ისახავს ის საშვალებად ამ მიზნის მისაღწევათ. დააკვირდით მეორეს.

დემოკრატია ესწრაფვის, რომ გარდაქ-
მნას არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. სხვა სი-
ტყვით, ის უნდა იქცეს უფალი ყველა იმ **საჯარო-უფ-
ლებრივ ორგანოებისა ანუ დაწესებულებათა**, რომლის
შემწეობით სახელმწიფო სჩაგრავს მას დღეს. მართალია,
მას უკვე მოპოვებული აქვს დაწინაურებულ ქვეყნებში
კოალიციის უფლება, მაშასადამე, აქვს, როგორც ვთქვი,
ეთვალავი დაწესებულებები, მაგრამ ეს კიდეკ არ არის
საკმარისი საბოლოო მიზნის მისაღწევათ. დაწესებულებები,
აგებული კლასობრივ სოლიდარობაზე, ორგანიზაციები,
რომლის წევრობა თვითეულის პირად ნებაყოფილებაზე
არის დამოკიდებული და აქედან არ არის აღჭურვილი
დაძალების უფლებით, არის მხოლოდ იარაღი ცხოვრე-
ბის გაუმჯობესობისა და არა სრული ემანსიპაციისა. ერთი
სიტყვით, დემოკრატიამ, თავისი ისტორიული მისსია
რომ პირნათლათ შეასრულოს, უნდა გახდეს სუბიექტი
საჯარო უფლებისა,

რაც დემოკრატიაზე ითქვა, იგივე ითქმის ერზე-
დაც. განსხვავება ის არის, რომ ერს შეუძლია მოიპო-
ვოს საჯარო-უფლებრივი ორგანოები კიდევ ბურჟუაზიულ
ხანაში, მაშინ როდესაც დემოკრატიის მიერ ამეების
დაპყრობა ბურჟუაზიის ბატონობის დაბოლავებას მოას-
წავებს. ერი ვერ ერობს, **ნუ გწამთ მისი მომავალი**, თუ
მან აღრე თუ გვიან ვერ მოიპოვა ხსენებული ორგანოე-
ბი. დამოკიდებული ერი, საჯარო უფლებას მოკლებული ერი,
ემზგავსება უმოძრავო, გასახტებულ სხეულს, რომლის ორ-
განოები: ხელი, ფეხი, თვალი, ყური და სხვა ვარჯიშო-
ბის უქონლობით თანდათან დუნდება, კარგავს სიცოც-
ხლის უნარს. მოსთხოვეთ ხელ-ფეხ შებოჭვილს თავის
ვინაობის დაცვა, კულტუროსნობა-ეს ხომ დაცინვაა,
სხვა არაფერი!

ერი სოციალური ორგანიზმია, ის გრძნობს თავის თავს, აქედან მას აქვს მასსიური ფსიხიკა. მას აქვს ცხ-ცოცხლის სურვილი, ეს კი განძრევის უნარს მოასწავებს, მაგრამ როგორ გნებავთ მოძრაობა უორგანოთ? აი მთელი ტრაგიზმი! მე მაქვს სახეში თანამედროვე ერი, რომელსაც შეუტოპავს ახალ ბურჟუაზიულ ურთიერთობის მორევში, რომელსაც წარმოუშვამს ამმავალი კლასები, გაჟღენთილა დროის შესაფერ გრძნობით, აზრებით. ასეთ ერს აქვს ნიჭი, უნარი შემოქმედებისა, ძალუძს შეისხას ორგანოები, მაგრამ არის გარეშე ძალა, რომელიც ერი ეწინააღმდეგება ამ დამასაჩიხრებელ ძალას მთელის თავის ძალ-ღონით, ინსტიქტიურათ თუ საზრისიანათ, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ეს სულ ერთია,-ის იბრძვის **არსებობისათვის**, როგორც ყოველი ბიოლოგიური სახე. რა არის ეს? გრძნობამ დაბადა აზრი, აზრმა სიტყვა, ამეტყველდა ერი. ის მოითხოვს, რაც მასეკუთვნის, რაც მის სტიქიად ქცეულა, რომლის უმისოთ მას არ ძალუძს სიცოცხლე: ორგანოებს. ამას ჰქვია **ეროვნულ პოლიტიკის** წარმოება. ერი შესდგება, რა თქმა უნდა, მოპირდაპირე კლასებისგან, აქედან თვითეულს თავისი ეროვნული პოლიტიკა აქვს, მაგრამ საერთო მათ შორის ის არის, რომ ყველა ისინი მოითხოვენ ხსენებულ ორგანოებს, თვითეული თავის შესაფერს, ესეც ცხადია.

თქმულიდან გამომდინარეობს ერთი ძირითადი დებულება: **ერი, რა პირობებშიდაც არ უნდა იმყოფებოდეს ის, ვერას გზით ვერ გახდება კულტურის და პროგრესის მატარებელი, თუ ის მოკლებულია საჯარო-უფლებრივ ორგანოებს, ან კიდევ, თუ ის მთელის თავის ძალ-ღონით არ ესწრაფვის მათი მოპოვებას.**

ეს საანბანო რამ, თან აუცილებელი საფუძველი ყოველ ეროვნულ პოლიტიკისა, დღეს სადაო საგანს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს იმათთვის მაინც, ვისთვისაც ერი და მისი ზრდა-განვითარება უბრალო სიტყვის მასალას არ ნიშნავს. თანამოაზრეთა ერთმა ნაწილმა უკვე გვამცნო 1912 წლიდან ან.—ის პირით, რომ ის მოითხოვს ერებისათვის საჯარო-უფლებრივ ორგანოებს. კულტურულ—ნაციონალური თვითმართველობა, რომელიც უნდა მიენიჭოს თვითეულ ერს, აძლევს ამ უკანასკნელს უფლებას გაიჩინოს თავისი საკუთარი, სრულიად დამოკიდებელი დაწესებულებები საჯარო-უფლებრივ ხასიათისა.

სარბიელი ამ დაწესებულებათა საკმაო ფართეთაა შემოხაზული; მათ სრულ განკარგულებაში გადადის ერის განათლების საქმე, აგრეთვე მზრუნველობა მეცნიერება-ხელოვნების ასაყვავებლათ. კულტის საქმეც, სანამ ეკლესია ვერ გამოუყვიათ სახელმწიფოსაგან, მათ ექვემდებარება.

ცენტრალური დაწესებულებები არ ავრცელებს ამ ორ დარგში თავის უფლებას არც ერთ დამოკიდებულ ერზე.

ამ გვარათ, ერი მიჩნეულია უფლების სუბიექტად განსაზღვრულ სფეროში. მას აქვს თავის კომპეტენციის შიგნით კანონმდებლობითი, აღმასრულებელი და ხარჯების გაწერის უფლება. თვითეული ერი, თავს იყრის თავის საკუთარ

წარმომადგენლობაში, ის აწესებს და განაგებს აქედან ყველა ეროვნულ დაწესებულებებს, ყავს ამისათვის მთელი ჯარი მოხელეთა; ყველგან როგორც წარმომადგენლობაში, ისე

პერიფერიებში, გამეფებულია სამშობლო ენა.

თვითეული ერი აღიარებულია იურიდიულ პიროვნებად, ე. ი. მას უნდა მიენიჭოს უძრავ-მოძრავ ქონების შეძენის და გაყიდვის უფლება. ნაციონალური ქონება ხელუხლებელია სახელმწიფოსაგან.

ყველა ეს უფლება-მოვალეობანი ერისა შედიან სახელმწიფოს ძირითად კანონების კრებულში, ე. ი- მათი

შეცვლა ან გაუქმება არას გზით არ უნდა დაექვემდებარ-
როს ჩვეულებრივ კანონმდებლობას,-სხვა სიტყვით, საიმ-
პერიო კონსტიტუცია უზრუნველ ყოფს მათ.

ვერ ვიტყვი, რომ ან.--ს საკმაო ნათლათ ქონდეს გან-
საზღვრული კულტურულ-ნაციონალურ თვითმართველო-
ბის საფუძველნი. ის ლიტონ სიტყვასაც არ ხარჯავს ერის
უფლებაზე საზოგადოთ და ამ უფლებისათვის ბრძოლაზე
კერძოთ. მას ჩინებულათ აქვს წარმოდგენილი ის, რისი
მოთხოვნა შეუძლია სახელმწიფოს ერისაგან, ხოლო ის
სრულიად არ უწევს ანგარიშს იმას, **თუ რისი მოთხოვ-
ნა შეუძლია თავის მხრით ერს სახელმწიფოსაგან.** ამით
ბევრს კარგავს მისი შრომა ობიექტივობის მხრით.

ამით აიხსნება ისიც, რომ მისი კულტურულ-ნაცი-
ონალური თვითმართველობა ცოტა არ იყოს, კუდ-შეკვე-
ცილია. დავივიწყოთ ის, რომ ძასში არ არის ნაგულისხმევი
ზოგიერთი უფლებრივი გარანტია, მზგავსი იმისა, რაც ზე-
ვით მოვიყვანე. მე დავასახელებ მხოლოდ ორ მაგალითს,
რომელსაც დამოკიდებულება აქვს კომპეტენციის საკი-
თხთან.

მე ვთქვი, რომ ერს აქვს უფლება გაღასახადი გაა-
წეროს მის წევრებს კულტურულ-ნაციონალურ დაწესე-
ბულებათა ხარჯების დასაფარავათ. ან.—ს კი
„სეიმის“ კომპეტენციაში შეაქვს „სასწავლებლე-
ბის მატერიალური მხარე,“-სჩანს, ის არ იმეტებს ცალკე
ერის „საბჭოსათვის“ ამ უფლებას!

მეორე ეხება სამოსწავლო პროგრამას. ან. ამ-
ბობს: „ყველგან სახელმწიფო სცემს კანონებს შესახებ
როგორც სწავლების ვალდებულებისა, ისე **სასწავლო
პროგრამის მინიმუმისა**“. (ხაზი ჩემია). სიტყვა „ყველ-
გან“, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია, ეს მით უფრო,
რომ კულტურულ-ნაციონალური თვითმართველობა ჯერ
არსათ არ არის განხორციელებული. ეს სხვათა შორის. ისეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, მართლაც საჭიროა, რომ საიმპერიო პარლამენტმა სავალდებულოთ გახადოს საყოველთაო სწავლება. ხოლო რაც შეეხება სამოსწავლო პროგრამის განსაზღვრას, ამის, თუ გინდ მინიმუმის, ცენტრალურ დაწესებულებებზე გადაცემა დიდათ სახიფათოა დამოკიდებულ ერისათვის. მინიმუმ-მაქსიმუმის განსაზღვრა არც ისე ადვილია, და შეიძლება ერის შემხუთავ იარაღად გამოიყენოს ის ცენტრში შემთხვევით გაბატონებულმა უმრავლესობამ. მეორეს მხრით, თვითმართველობა რა თვითმართველობაა თუ ერს სამოსწავლო პროგრამის შედგენის უფლებასაც უზღუდვენ. ეს ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა ერისა, მისი შეზღუდვა ყოვლად შეუწყნარებელია. მეტია ამაზე სიტყვის გაგრძელება.

მაშასადამე, კულტურულ-ნაციონალური თვითმართველობა რომლის მხურვალე დამცველად გამოვიდა ახლახან ან., არის ერთ-ერთი გამოსავალი გზა იმ მოჯადოებულ წრიდან რომელშიდაც დამოკიდებულ ერებს ამოუყვიათ თავი. ჩვენ დავინახავთ ქვევით, რომ არის მეორე გზაც იმავე მიზნის მისაღწევათ. დავსძენ აგრეთვე, რომ ეს ორი გზა სულაც არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს პრინციპიალურათ, პრაკტიკულათ კი მათი ერთმანეთან შეთანხმება, კოორდინაცია მოგვიხდება.

ასე თუ ისე, ერთი მაინც უნდა ითქვას ამ თავითვე: კულტურულ-ნაციონალური თვითმართველობა არის **ყველაზე უმცირესი, მინიმუმი იმისა,** რაზედაც უფლება აქვს ერს, არა თუ უფლება, რომლის უმისობა გადაგვარებას მოასწავებს მისთვის. ვინც ამასაც ვერ იმეტებს ერისათვის, როგორც სტალინი, ის, მართალი გითხრათ, თვით უნდა იდგეს გადაგვარების გზაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III.

ნაციონალური სახელმწიფო.

ერი და სახელმწიფო ორი სხვა და სხვა ცნება არის. ერთი ჰპოვებს თავის გამართლებას ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილების სფეროში, მეორე კი ფორმალურ უფლების სფეროში; ერთის დევიზია ადამიანთა თავისუფალი კავშირი, მეორესი კი იმავ ადამიანთა ძალდატანებითი კავშირი. ბევრია საერთო ერსა და სახელმწიფოს შორის, მაგრამ არა ნაკლებია წინააღმდეგობა მათ შორის.

საერთო ერსა და სახელმწიფოს შორის პირველ ყოვლისა ისაა, რომ ერთიცა და მეორეც საზოგადოების ისტორიულ მსვლელობის პირმშო შვილია. სახელმწიფო უმფროსია ხნოვანებით ერზე. ის არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერის ს ხ ენებელიც არ იყო ქვეყანაზე. ჩვენ ვიცით ისტორიიდან აღმოსავლეთის ვეება დესპოტიები, საბერძნეთის რესპუბლიკები თუ სამეფოები, დიდი რომის იმპერია, ბიზანტიის თეოკრატია, საშვალო საუკუნოების წოდებრივი მონარქიები, ახალ საუკუნოების აბსოლიუტური მონარქიები, მაგრამ არც ერთ ამ ხანაში ერი, თავის თავათ აღებული, არავითარ როლს არ თამაშობდა. თქმა არ უნდა, ხალხის გვარ-ტომობა, ენა და სხვა არცა როდის არ ყოფილა უმნიშვნელო სახელმწიფოს აღორძინება-დ მხობის პროცესში, მაგრამ ისინი არას დროს არ ყოფილან ცნობილი პოლიტიკურ ფაქტორად, სახელმწიფოს ძ ლა-უფლების იარაღად. ვინ მოსთვლის, რამდენი თავისებური ხალხი არ იმსხვერპლა ისტორიის ულ-

3930

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობელმა სრბოლამ, სად არიან ძველი ასურელები, ვიპტელნი, ბერძენნი, რომაელნი, ფრანკნი, გ[illegible]ები, ჰუნები და მრავალი სხვები? ისინი გაჰქრენ, ან კიდევ გაითქვიფენ სხვა ხალხებში. თვით აბსოლიუტურ მონარქიებში, რომელშიდაც ერის ჩამოყალიბება ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა წინ, ხალხური ენა, პოეზია, ზნე-ჩვეულება სრულიად უყურადღებოთ რჩებოდა მაღალ წრეებში, მეცნიერება-ხელოვნების ტაძრებში. ფრიდრიხ დიდს პრუსიელს, მაგალითათ, აბუჩათ ქონდა აგდებული „ტლანქი" გერმანული ენა, პროფესორნი ლათინურათ საუბრობდენ...

აბსოლიუტური მონარქია არა სცნობს ერს, მას საქმე აქვს პიროვნებასთან, თვითეულ ქვეშემრდომთან. ის ვერ ითმენს თავის გვერდით ვერც ერთ ორგანიზაციას, ვერც ერთ კორპორაციას. წოდებები არსებობს, არსებობს ეკლესიაც, მაგრამ მათი დანიშნულება სახელმწიფოს სამსახურია, ისინი იარაღია სახელმწიფოს ხელში. ასეთი მდგომარეობა მოასწავებს სახელმწიფოს განვითარებას და უკან ჩამორჩენასაც ერთსა და იმავე დროს. სახელმწიფო განვითარებულა, რადგან იგი ფრიად რთულ მექანიზმად ქცეულა; სახელმწიფო ჩამორჩენილა, რადგან ხალხი უბრალო მასალაა და არა გამომჭედი თავის სვეტბედისა. ეკონომიურ განვითარების პირველმა საფეხურმა გამოიწვია აბსოლიუტიზმი, მას მოსდევს მეორე საფეხური, რომელიც უარყოფს აბსოლიუტიზმს. არსდება ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელიც სხვადასხვა ადგილას და პირობებში სხვადასხვა სახეს ღებულობს.

აბსოლიუტიზმი ცნობდა ქვეშემდრომს, ცალ-ცალკე აღებულს, ბურჟუაზიული სახელმწიფო იძულებულია იცნოს თავისუფალ მოქალაქეთა ორგანიზაციები, მათ შორის ერიც. ჩაღდება მეტოქეობა ერსა და სახელმწიფოს

შორის: ვინ ვის უნდა დაემორჩილოს, ერი სახელმწიფოს, თუ სახელმწიფო ერს? ძველ ატომისტურ-ცენტრალისტურ სახელმწიფოებრივობას იცავს მიწათმფლობელი არისტოკრატია და ეკლესია ბიურო-კამარილას მეთაურობით, ორგანიულ-ეროვნულ სახელმწიფოებრივობას იცავს ბურჟუაზია. გამარჯვებული გამოდის მეორე, რადგან მას ეკედლება ფართე დემოკრატია, სულ ერთია, რა მოტივით.

შემოდის ხმარებაში ახალი ტერმინი—**ნაციონალური სახელმწიფო.** რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ნაცია ანუ ერი გამხდარა სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუძედ. სახელმწიფო შეიცავდა სამს აუცილებელ ელემენტს: ტერიტორიას, ხალხს და ბრძანებლობას (власть); იგი ახლაც სამს ელემენტს გულისხმობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხალხის ალაგს **ერი** იჭერს. წინეთ სახელმწიფო წარმოადგენდა ადამიანთა ხელოვნურ კრებულს, დღეს ის წარმოადგენს ადამიანთა ბუნებრივ კრებულს. წინეთ ხალხი არსებობდა სახელმწიფოსათვის, დღეს თვით სახელმწიფო არსებობს ერისათვის, შინაარსმა სძლია ფორმას.

თუ ერი არის ორგანიზმი, მისი პოლიტიკური გამოხატულობაც-სახელმწიფო ორგანიზმია, ეს მოასწავებს სიმტკიცეს ერთისაც და მეორისაც. ნაციონალურ სახელმწიფოში თავში არაფის მოსვლა ტერიტორიალურ მთლიანობის დარღვევა, პირიქით ყველა მის ხელუხლებლობაში არის დაინტერესეული და მზათაა სისხლიც კი დაღვაროს ამისათვის-აქედან სიმტკიცეც.

სახარბიელოა ის შემთხვევა, როცა ხალხის გარდაქმნა ერად საკუთარ სახელმწიფოში ხდება. საფრანგეთი მაგალითათ,დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო კიდევ მაშინ, როცა ფრანგნი ეროვნებას არ წარმოადგენდენ. ერის ჩამოყალიბება აქ საკუთარ სახელმწიფოს ჩარჩოებში მოხდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის თავათ, ბუნებრივათ. როცა ერი ასაკში შევიდა, მან სახელმწიფოდ გამოაცხადა თავის თავი და დამშლელიც არავინ ყავდა. ასევე მოხდა ინგლისშიც. მაგრამ ნაციათა უმრავლესობას ასეთი ხვედრი როდი სწვევია: როცა მათ თავი წამოყვეს, ისინი უცხო სახელმწიფოების უღლის ქვეშ იმყოფებოდენ. ერი რა ერია, თუ ის თავს არ დააღწევს ამ უღელს და საკუთარ სახელმწიფოს არ დაიარსებს. მე-XIX-ტე საუკუნე ერთ-ვნულ სახელმწიფოთა დაარსების ხანად უნდა ჩაითვალოს. სწორედ მაშინ არსდება იტალია, გაერთიანებული გერმანია, ბალკანეთის წვრილი სახელმწიფოები.

რას ვხედავთ დღეს? „არც ერთი დღევანდელი დიდი სახელმწიფო-ამბობს ან. თავის შრომაში:

არ არის ნაციონალური სახელმწიფო. თითქმის ყველა მათგანში გაბატონებული ნაცია მცხოვრებთა უმცირესობაა, უმრავლესობას კი შეადგენენ სხვადასხვა ქვეშევრდომი ერები". (ხაზი ჩემია). კითხულობთ და თვალს არ უჯერით, ნუ თუ ეს მართალია?!-ეკითხებით თავს განცვიფრებული. მაგრამ საკმარისია გადიკითხოთ იქვე სხოლიოში მოთავსებული შენიშვნა იმავ ავტორისა, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს თქვენთვის: „საფრანგეთი, მაგალითათ, ფრანგებისაგანაა დასახლებული, მაგრამ საფრანგეთს მორჩილებს **დიდძალი კალონიები, ურომლისოდაც მათ დღეს არსებობა არ შეუძლია.** ფრანგთა ქვეშევრდომნი ფრანგებზე გაცილებით მეტია". (ხაზი აქაც ჩემია). რატომ არ შეუძლია საფრანგეთს ახალშენების უმისოთ არსებობა, ეს, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. თუ ავტორი „საფრანგეთში" აქაურ პლუტოკრატიას გულისხმობს, ეს სხვა საქმეა; მაგრამ, წარმოიდგინეთ, პლუტოკრატიას ამ შემთხვევაშიც არ მოელის დიდი ხიფათი: რუსეთი და ოსმალეთი საფრანგეთის „კალონიები" არ არის, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არ უშლის იქაურ პლუტოკრატიას სა მიღებინობით
აერთვას ერთსაც და მეორესაც სარგებლის სახით. გერ-
მანელი რევიზიონისტი ჰილდებრანდიც სწორეთ ისე მსჯე-
ლობდა, როგორც ან.. ეს სხვათა შორის. თავი და
თავი ისაა, რომ ანს საფრანგეთი და მისი ახალშე-
ნები ერთსა და იმავ სახელმწიფოს ფარკლებში მოუქ-
ცევია, მისთვის წაშლილია ის დიდი ზღვარი, რომელიც
მეტროპალიასა და კოლონიებ შორის არსებობს. ამ და-
სკვნამდე არც ერთი სახელმწიფო უფლების მკვლევარი
ალ მისულა, სოციალისტებს ჩვენც დავეთხოვოთ! თქვენ
გნებავთ დაარწმუნოთ საფრანგეთის ტონგოს ზანგნი, რომ
ისინი რესპუბლიკის მოქალაქენი არიან, ან იქნებ მადა-
გასკარის ბარბაროსები ვანუგეშოთ ამით! სამხრეთ აფ-
რიკის ჰოტენტოტებსაც ხომ იმით ანუგეშებდენ, რომ მათ
მფარველობს „მიწიერი ღმერთი“ ვილჰელმ მეორე—ეს
გახლდათ მაშინ, როცა ჰოტენტოტნი ჯერ კიდევ არ იყ-
ვენ ამოჟლეტილი! **ახალშენი სახელმწიფოს ნაწილი არ
არის, ის არის სახელმწიფოს სამფლობელო.** ეს კი ერთი
და იგივე არ არის. საფრანგეთის სახელმწიფოებრივობის
მატარებელი არის თვით **ფრანგთა** ერი, სხვა არა-
ვინ, არსებობს, მაშასადამე, **ნაციონალური სახელმწიფო**
საფრანგეთი; ულანასკნელის სამფლობელონი აქ არაფერ
შუაშია. ასევე ითქმის გერმანიაზე, ინგლისზე, იტალიაზე.

ან იქნებ ან. დამოკიდებულ ერთა და კოლონიების
მკვიდრთა შორის განსხვავებას არ ხედავს? არც იქნება
ეს გასაკვირი დღევანდელ ვითარებაში: ბიუროკრატია
ან ცნობილობს სომეხს, ქართველს და სხვებს, ის გვიწო-
დებს „ტუზემცებს“, როგორც გერმანელნი ჰოტენტო-
ტებს-Eingebrene! კავკასიაც ხომ ლამის კოლონიად აქციო
ს მან! ერთა და მთელი მხარის ასეთ დეგრადაციას
უნდა ვებრძოდეთ მთელის ჩვენი ძალ-ღონით. **კავკასია**

რუსეთის ნაწილია და არა სამფლობელო.

მართალია, კოლონიებშიც ბინადრობენ ბევრი ერი ხალხნი: ინდუსები, არაბები, საზოგადოთ მაჰმადიანები, მაგრამ რამდენათაც ისინი ქცეულან ერებად, ან შემდგარან განვითარების ამ საფეხურზე, იმდენათ ისინი უკვე იბრძვიან **საკუთარ სახელმწიფოებრივობისათვის.** ასეა საქმე ინდოეთში, ეგვიპტეში, ამასვე უნდა მოველოდეთ ალჟირში და სხვაგან. ამერიკის დიდი და პატარა სახელმწიფოებიც ხომ კოლონიებს წარმოადგენდა ერთ დროს, აგრეთვე ავსტრალიის და სამხრეთ აფრიკის ფედერაციები. პირველნი ბაძვენ მეორეთ. მეტია ამაზე ლაპარაკი, ეს მით უფრო, რომ ანის სქემა ამით, რასაც არ წააგებს, არაფერს მოიგებს.

ამ გვარათ, იმის უარყოფა, რომ არსებობს ნაციონალური სახელმწიფოები, ფაქტების დაძალებაა, სხვა არაფერი. ერი, ისე, როგორც სახელმწიფო, სოციალ-ეკონომიურ განვითარების ნაყოფია, მაგრამ, ერთხელ მოვლენილი, ის უკვე დიდ როლს თამაშობს სახელმწიფოს ბედ-ილბალში. სახელმწიფო მეცნიერებაში კიდევ **ბლუნჩლიმ** აღიარა ერი სახელმწიფოს ბუნებრივ კალაპოტად. ეს მოსაზრება, რაც დღე გადის, თანდათან მართლდება ცხოვრებ ში. ტენდენცია: ერთი ერი, ერთი სახელმწიფო ფრაზა როდია, არამედ რეალობაა.

მაშ თუ ასეა-შეიძლება მითხრას ვინმემ სახელმწიფო, სადაც ბევრი ერი ბინადრობს, უნდა დაირღვეს და მის მაგიერ თვითეულმა ერმა უნდა დაიარსოს დამოუკიდებელი სახელმწიფო! უეჭველათ, თუ ამას მოითხოვს ერის **არსებითი** ინტერესები. ბელგიამ განშორდა ჰოლანდიას, ნორვეგიამ შვეციას, მათზე ადრე ოსმალეთს ზედი-ზედ გამოეყო სამი ერი, ახლა ფუძნდება მეოთხე ერის-ალბანელთა სახელმწიო*)... მაგრამ ბევრ შემთხვევაში სახელ-

*) თუ იტალიამ არ გადაყლაპა!

მწიფოსა და ერის ინტერესები ასე მკაცრათ არ ეჯახება ერთმანეთს, პირიქით დამოკიდებული ერი ხშირათ გებულობსკიდეც დიდ სახელმწიფოს ფარგლებში ყოფნით. აქ ასაწონ-დასაწონია, რას **იგებს** ის სოციალ-ეკონომიურათ და რას **აგებს** ეროვნულათ. თუ ორივე ეს მხარე წასაგებია, მაშინ ის დამოუკიდებლობას არჩევს, თუ არა-და, ის ცდილობს თავისი ინდივიდუალობა არსებულ სახელმწიფოს შიგნით დაიცვას. ყველაფერი ობიექტივურ პირობებზე, დროსა და ადგილზეა დამოკიდებული.

ნურვინ იტყვის, რომ დამოკიდებული ერის მდგომარეობა ადვილია, ის მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, მასზე ბატონობს გარეშე ძალა. ასეთ პირობებში წარმოუდგენელია ერის ნორმალური განვითარება. რომელ ერთზე უნდა იფიქროს დამოკიდებულმა ერმა: თავის ინდივიდუალობის დაცვაზე, თუ სოციალ-ეკონომიურ წინსვლაზე? ხშირათ ეროვნული თვითდაცვა იმდენ ენერგიასა და მსხვერპლს თხოულობს, რომ სხვა რამიზა ძალაუნებურათ ნაკლები დრო რჩება. ორ ფრონტზე ბრძოლა ადვილი არ არის.

მაგრამ უამისობა არ შეიძლება. დამოკიდებულ ერის მშრომელ მასსას გაცილებით უარეს პირობებში უხდება ბრძოლა, ვინემ თავისუფალ ერის მშრომელ მასსას. სხვა რომ არ იყოს რა, დამოკიდებული ერის მასსას ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე მოელის ხიფათი არ აცდეს კლასობრივ ნიადაგს, არ გააკეთოს ისეთი ნახტომი, რომელიც მას ნაციონალისტთა მკლავებში ამოაყოფინებს თავს. საჭიროა უფრო **რთული და ელასტიური ტაქტიკა.**

ბევრი თანამოაზრე სწორეთ ამ სირთულის გამოისობით გაურბის ეროვნულ კითხვის გარკვევას. ეს უნდა მიეწეროს მათ პირად უძლურებას და არა იმ მსოფლმხედველობის უსაფუძვლობას, რომლის სახელით ისინი „ორტოდოქსობენ“. გაიხსენეთ ბებელის კლასიკური ფრა-

ზა შტუტგარტში: „ერი-ეს ჩვენა ვართ!“ დიახ, მშრომელი მასსა-ეს იგივე ერია, აქედან ის პირველ რიგში უნდა იდკეს ერის ინდივიდუალობის დაცვაში, ამით ის თავის თავს იცავს.

IV

ტერიტორიის საკითხი.

ა) სადაო საგანი.*)

იყო დრო, როცა სიტყვა „ავტონომია“ დიდ გულისწყრომას იწვევდა თანამოაზრეთა შორის. ასე არ არის დღეს. უმრავლესობამ შეიცვალა აზრი, საგანს უკეთ დააკვირდა და ეს ტერმინიც თანდათან მოქალქობრივობას პოულობს.

დღეს უკვე ჰეშმარიტებათ არის აღიარებული, რომ დამოკიდებელი ერი ვერ იტანს უორგანობას, სხვა სიტყვით, ის ცნობილი უნდა იქნას უფლების სუბიექტად, რომ ამით შესძლოს მან თავის ინდივიდუალობის ცხოვ-

*) ან.-მა თავის მერმენდელ ნაწერებში საფუძვლიანათ დაარღვია ის, რასაც ადრინდელ ნაწერებში ამტკიცებდა! მაგალითათ, ტერიტორიის საკითხში მან, სულ ცოტა, სამჯერ შეიცვალა აზრი. თავდაპირველათ ტერიტორიალური თვალთსაზრისი „გაკოტრებულად“ გამოაცხადა მან. ხოლო სულ ცოტა ხნის შემდეგ მანვე გვაუწყა, რომ კულტურულ- ეროვნული თვითმართველობა უნდა მიეცეს ისეთ ერს, რომელსაც ტერიტორია აქვს, აქედან პერსონალურათ განწესიერება უტერიტორიო ერებისა მან „ფიქციად“ გამოაცხადა! ამით მან წესი აუგო ბუნდოელების გეგმას, იმ ბუნდოელების, ვინც, ასე აღტაცებით

რებაში გატარება, განმტკიცება. ლოლიკური დასკვნა ამ დებულებისა არის ის, რომ ერს სრული უფლება აქვს მოითხოვოს **თვითმართველობა**, . ამით ჩვენ ვაღიარებთ ერთ დიდ-მნიშვნელოვან **პოლიტიკურ** პრინციპს. როცა ამბობენ, ერს უნდა მიეცეს კულტურულ-ნაციონალური თვითმართველობაო, ეს არის ამ პოლიტიკურ პრინციპის ერთგვარი განხორციელების წადილი.

ან.-ის შრომიდანაც ამას ვვებულობთ საერთოთ. ის სამართლიანათ იმოწმებს შპრინგერ-ბაუერს: „ნაციონალური კითხვა შეიცავს კითხვას ნაციის და სახელმწიფოს ურთიერთობაზე“, რომ „ის პოლიტიკური კითხვაა“. არის ნაციონალური სახელმწიფოები, არის აგრეთვე მრავალერიანი სახელმწიფოები. მეორე შემთხვევაში ერთი ერი გაბატონებულ ანუ „მპყრობელ“ ერად არის გამოცხადებული, დანარჩენი ერები კი დაპყრობილად, უუფლებოდ. დამოკიდებულ ერებს შეუძლიათ სრული დამოუკიდებლობა დაისახონ მიზნად, მაგრამ აქ არის ბაასი ასეთ ერებზე, რომელთაც ეს მიზანი არა აქვთ და არც შეუძლიათ ქონდეთ, სულ ერთია, რა მიზეზით. გამოდის, ამ გვარათ, რომ ჩვენ, ერთის მხრით, სახელმწიფოს ხელუხლებლობას ვაღიარებთ, ხოლო, მეორეს მხრით, დასა-

---

შეეგება მის, ან-ის, პირვანდელ გამოსვლას. მესამე „ფერის-ცვალება“ მოხდა სულ ახლახან, როცა მან იმოწმა კაუცკი იმ საანბანო რამის დასამტკიცებლათ, რომ საკუთარ ტერიტორიის მექონე ერის მისწრაფება პოლიტიკურ დამოუკიდებულობისადმი კანონიერია და ძალიან მოსაწონიც. (ადრე ხომ „ერთი ერი, ერთი ტერიტორია, ერთი სახელმწიფო“ მისთვის უცხო ხილი იყო!) ის ენერგიულათ მოითხოვს ორ-ერიან ბელგიის აღდგენას, რასაც მე ორსავე ხელს ვაწერ, მაგრამ ეს არ უშლის მას შეებრძოლოს „სხვა“ ერის მისწრაფებას ტერიტორიალურ თვითმართველობისადმი—სახელმწიფოებრივობა რა

ხლებულ დამოკიდებულ ერთა თვითმართველობას მოვიხ-
თხოვთ. სახელმწიფოს მთლიანობა, ერთის მხრით, ერის
მთლიანობა მეორეს მხრით. მათ შორის უთუოთ უნდა
იქნას ისეთი modus vivendi ანუ განწყობილება გამომუშა-
ვებული, რომლის მეოხებით სახელმწიფოს არ უნდა დაა-
კლდეს, რაც მისია, და თან ერსაც მიეცეს შვება. მა-
შასადამე, **„ნაციის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან“**
(ფრაზაც და ხაზიც ან.-საა) არის ის წერტილი, საით-
კენაც უნდა იყოს მიპყრობილი მთელი ჩვენი ყურადღე-
ბა, ეროვნულ კითხვის გაშუქება მხოლოდ ამ წერტილი-
დან შეიძლება. გაყვა თუ არა ამ სწორ გზას ანი.? არა,
არ გაყვა. თავისი შრომის მეორე თავში, როგორც ვთქვი,
მან სწორათ განსაზღვრა საბაასო საგანი, დაისახა კიდეც
მიზნად მისი გარკვევა, მაგრამ შემდეგ თავებში სულაც
მიავიწყდა ის, ან კიდევ გაკვრით მოიხსენია აქა-იქ.

სამაგიეროთ ან.-მა ნიშანში ამოიღო ტერიტორია
და სცადა მისი მნიშვნელობის გაქარწყლება ერისათვის.
წინეთ ის თუ გვიმტკიცებდა, არ არსებობს ნაციონალუ-
რი სახელმწიფოებიო, ახლა ის გვიმტკიცებს არც ნაციო-
ნალური ტერიტორია არსებობსო. „ძველი თქმულება:
ერთი ერი, ერთი მიწა—არ გამართლდა. მრავალი ერი,
ერთი მიწა,—აი დღევანდელი მდგომარეობა“— ამბობს

მოსატანია—,თუ მის გვერდით სხვა ეროვნებათა უმცი-
რესობაც ბინადრობს! ეს დასკვნა უფრო კონკრეტი-
ულათ „თანამედროვე აზრმა“ გამოიყვანა ან.-ის უკა-
ნასკნელ წერილებიდან „ახალი კვალში.“ იგივე .,თანამედ-
როვე აზრი“ ცოტა ადრე (სრულიად ლოღიკურათ!) ოსმა-
ლეთის სომხეთის თვითმართველობას იცავდა, თუმცა
ისიც არ ავიწყდებოდა, რომ ამ მხარეში, თვით სომხების
გამოთვლით, მათი მოძმეთა რიცხვი არასომხებთან შე-
დარებით 38%-ს არ აღემატება. ასეთ „დიალექტიკას“ ხში-
რათ წააწყდებით ჩვენს პრესაში, ვიქონიოთ იმედი, რომ
ესეც ნიჰილიზმის ბრალია!

ან. ის მსჯელობს ასე: „ტერიტორიალური ერთობის ეკონომიური საფუძველი სასოფლო მეურნეობაა; ხოლ რადი კავშირების ეკონომიური საფუძველი მრეწველობა და აღებ-მიცემობაა“. (ხაზი მისია). რას ნიშნავს ეს? აი რას: ვინაიდან თანამედროვე ერის მომავლინებელი მიზეზი მრეწველობა და აღებ-მიცემობა არის, ამიტომ ერის ერთობაც „პირად კავშირებში“ გამოიხატება, აქედან ერისათვის ტერიტორია უმნიშვნელო რამაა, ან თუ გინდ მნიშვნელობაც ქონდეს მას, სულ ერთია, ეროვნული ტერიტორია არ არსებობს... და არ-არსებულზე ლაპარაკი ხომ მეტაფიზიკაა! ყველა ეს, რასაკვირველია, ნებას აძლევს ან.-ს სასტიკი განაჩენი გამოუცხადოს ყველა ჯურის „ტერიტორიალისტებს“, ვისიც მისწრაფება „აგებულია ძველ ურთი-ერთობაზე, ძველებურ კარჩაკეტილობაზე და ისტორიულ უფლებებზე“.

გავსინჯოთ ეს მსჯელობა. ნუ თუ მართლა არ არსებობს ეროვნული ტერიტორია, ნუ თუ მართლა ისე ათქვეფილა ერები, რომ „ერთი ერი, ერთი მიწა“ მოჭორილი ზღაპარია? ან. მართალია, როცა ამბობს: ახლანდელ დროში ადამიანი არ არის მიკრული მიწაზე, როგორც ამას ალაგი ქონდა ფეოდალურ ხანაში, ის თავისუფალია იურიდიულათ, ეკონომიური ცხოვრება ხან იქით მიაქანებს მას, ხან აქეთ,—აქედან ერის ერთი ნაწილი ტოვებს თავის სამშობლოს და სხვა ერის სამშობლოში გადადის საცხოვრებლათ, ჩნდება თვითეულ ერის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ქალაქებში უცხოელების თვალსაჩინო კოლონიები... ყველა ეს სრული სიმართლეა, თანაც ძალზე გაჭალარებულიც. მაგრამ ეს კიდევ არ იძლევა საბუთს დავიჩემოთ, რომ ერებს უკვე ფეხიდან გაწოცლია საკუთარი ტერიტორია. ვინ იტყვის, რომ ფრანგებს, იტალიელთ და სხვებს ეროვნული ტერიტორია არ ქონდეთ? არავინ, რასაკვირველია. ის გარემოება, რომ

მრეწველობა და აღებ-მიცემობა ულორეს მამოძრავებელ ძალად ქცეულა ცხოვრებაში, კიდევ არ მოასწავებს ერეას ბის დო-მხალივით არევას; პარიზში თუ ლონდონში უცხოელების ბინადრობა კიდევ არ ხდის საფრანგეთს ან ინგლისს მრავალ-ერიან სახელმწიფოდ. ნუ დაივიწყებთ, მრეწველთა და ვაჭართა, აგრეთვე მუშების და გლეხთა 95%, თუ მეტი არა, **ისევ თავის ეროვნულ ტერიტორიაზედ რჩება.**

ცხადია, ტერიტორიალური ერთობა, ერთის მხრით, და პერსონალური ერთობა მეორეს მხრით, არ წარმოადგენს ორ შეურიგებელ დებულებას. თანამედროვე ერში სიმძიმის ცენტრი გადმოდის სოფლიდან ქალაქში, სასოფლო მეურნეობიდან მრეწველობაზე, უძრავ ქონებიდან მოძრავ ქონებაზე, მაგრამ მთელი ეს პროცესი უმთავრესათ **ერთხა და იმავე ტერიტორიაზედ ხდება.** ერთათ ბინადრობა ერისა ამით კი არ იშლება, არამედ წინანდელზე უფრო მტკიცდება. განსხვავება ის არის, რომ წინანდელი ერთობა იყო სუსტი, დღევანდელი კი ძლიერია. თუ წინეთ ხევი ხევს, სოფელი სოფელს ვერ იცნობდა, დღეს ისინი გადახლართული არიან ერთმანეთზე ათასი ძაფით და ერთი მეორის უმისოთ ვერა სძლებენ.

ან. აჭარბებს, უეჭველათ, როცა ერთა შორის ეკონომიური რთული დამოკიდებულება ერთა ტერიტორიალურათ არევ-დარევის მომასწავებლად მიაჩნია. მას ავიწყდება, რომ, რამდენად ერი ასაკში შესულა და წელი გაუმართავს ეკონომიურ სარბიელზედ, იმდენათ ის წინანდელზე უფრო მტკიცეთა დგას თავის ტერიტორიაზედ... და ეს ხდება არა რაიმე ფოკუსით ან წინასწარი მოფიქრებით, არამედ თავის თავათ: ერი ახელს თვალს თავის მიწა-წყალზედ, აქ უხდება მას მოქმედება—აი ახსნა. ერის ერთი უმნიშვნელო ნაწილის სხვაგან გადასახლება კიდევ არაფერს ამტკიცებს, რადგან, რაც ამ გზით აკლ-

დება ერს, იმაზე გაცილებით მეტი ემატება მას ბონებ-
რივი ზრდის მეოხებით. თან უცხოეთში გადახვეწილნიც
ძალიან ხშირათ უკან ბრუნდებიან სამშობლოში. მეორეს
მხრით, უცხოელების ჩამოსახლება ერთ რომელ-
სამე ტერიტორიაზედ თვითონ მათ, უცხოელებს, უქადის
დამხდომ ერში გათქვეფას, დენაციონალიზაციას. ასე
ხდება დაწინაურებულ ქვეყნებში. გამონაკლისი ადასტუ-
რებს და არა არღვევს საერთო წესს.

ბ) ავსტრო-უნგრეთი.*)

ან. ლამობს თავის მთავარ დებულების-„ერთი მიწა,
მრავალი ერი"—მაგალითებით დამტკიცებას. ის გონიე-
რათ გაურბის ამ დებულების ნაციონალურ სახელმწი-
ფოებზე გავრცელებას. კოლონიების გათანასწორება მე-
ტროპოლიასთან მხოლოდ კონფუზს, უხერხულობას იწ-
ვევს, როგორც დავინახეთ. მას დარჩენია მიმართოს მრა-
ვალ-ერიან სახელმწიფოს, ავსტრო-უნგრეთს. მისალოცია
ეს მეთოდი. რამდენჯერ ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ
თანამოაზრენი სკეპტიკურათ მოპყრობოდენ ყოველგვარ
შედარებას ჩვენი ქვეყნისა სხვა ქვეყნებთან. ჩვენი მხარე

*) ნაციონალურ კითხვას ავსტრო-უნგრეთში ავტორ-
მა განსაკუთრებული შრომა უძღვნა კიდევ 1908 წ.,
მაგრამ აქედან მხოლოდ ექვსი ფელეტონი დაისტამბა
გაზეთში, დანარჩენი ცამეტი ფელეტონი კი რედაქციის
კარების გამოკეტვასთან ერთათ გაჰქრა. ტექსტის აღდგე-
შეუძლებელი იყო, რადგან შავი არ არსებობდა. ეს
შრომა რომ სრულათ დასტამბულიყო, შეიძლება ქვემო
მოთავსებული კამათიც მეტი გამხდარიყო.

განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება, აქ ავსტრო-უნ-
გრეთი მოსატანი არ არისო, ამბობდენ ისინი!

ან. თავის შრომის ერთი თავს ავსტრო-უნგრეთის ეროვნულ განწყობილების მიმოხილვას უძღვნის და მიდის იმ დასკვნაზე, რომ „ტერიტორიალური პრინციპი“ იქ სრულ გაკოტრებას განიცდისო. „ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს—ამბობს ის ტერიტორიალური პრინციპის სრული გაკოტრება, **ისტორიული ქვეყნების** ავტონომია სამუდამოთ დაამარცხა ცხოვრებამ. ის გადაიქცა ახალ იარაღათ დევნის და შევიწროების. კლასი მდევნელი და შემავიწროებელი მას ებღაუჭება, კლასი დევნილი და შევიწროებული მას ებრძვის“. (ხაზი ჩემია). ან. ილებს „ისტორიულ ქვეყნებს“ ბოჰემიას, გალიციას და სხვებს, აკვირდება მცხოვრებთა ეროვნულ შემადგენლობას თვითეულში და სამართლიანათ ასკვნის, რომ ისინი ქცეულან „დევნისა და შევიწროების იარაღათ“. ისიც მართალია, რომ ავსტრიის სოციალდემოკრატიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სახელმწიფოს „ისტორიულ ქვეყნებად“ დანაწილებას...

მერე რა მტკიცდება ამით? ყველაფერი, იმის გარდა, რისი დამტკიცება ანს სურდა! მართლაც, ბოჰემიაში თუ გალიციაში ორ-ორი ერის ბინადრობა კიდევ არ ამტკიცებს ამ ერთა ერთმანეთში დო-მხალივით არევ-დარევას, თითქო თვითეულ მათგანს ეროვნული ტერიტორია ფეხიდან გამოცლოდეს, ან-ს კი **სწორეთ ეს უნდა დაემტკიცებია სხვა არაფერი**. ახლო დავაკვირდეთ საგანს...

ავსტრო-უნგრეთის „სამეფოები და ქვეყნები“ (Königreihce und Zänder) დაფუძნდა გასულ საუკუნოებში, კიდევ ფეოდალურ ხანაში. მაშინ, რა თქმა უნდა, კითხვა ეროვნებაზე და ეროვნულ პოლიტიკაზე არ არსებობდა. ჰაბსბურგთა დინასტიამ სხვა და სხვა ხელშემწყობ პირობების მეოხებით სძლია დროთა განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე სამეფოების და ქვეყნების მეფეებ-მთავრებ
და დაუმორჩილა ისინი თავის სკიპტრას. ეს გა-
ერთიანების პროცესი ცნობილია ისტორიაში დაუსრუ-
ლებელ სისხლის ღვრით, ხალხთა ხოცვა-ყლეტით. სწო-
რეთ ამ საუკუნოებში მოხდა დაპყრობილ სამეფოების და
ქვეყნების ზოგიერთ ადგილების კოლონიზაცია დამპყრობ
ელემენტებით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა გერმანელ-
კოლონისტების შეჭრა ბოჰემიაში ჩრდილოეთით, შტი-
რია-კარინტიაში სამხრეთით, უნგრეთში აღმოსავლეთით.
რასაკვირველია, გარდა ძალმომრეობისა, დიდი მნიშვნე-
ლობა ქონდა ამ შემთხვევაში წმინდა ეკონომიურ მიდრე-
კილებასაც. ამ მიზეზს უნდა მიეწეროს პირველ რიგზე
სლავიანთა და მადიართა ქალაქებში გერმანელების ბარ-
ბობა ოდესმე: უმეტეს ნაწილათ ქალაქები წმინდა გერმა-
ნული იყო, მაშინ როდესაც სოფლები ირგვლივ სლავია-
ნებით ან მადიარებით იყო დასახლებული. ამგვარივე ხა-
სიათის იყო იტალიელების ჩასახლება ავსტრიის ადრია-
ტიკის ნაპირებზე სლავიანთა შორის. ხოლო ამას ვერ ვიტ-
ყვით მადიარებზე და პოლონელებზე. ისინიც ესახლებო-
დენ, როცა სახელმწიფო ძალა-უფლება ხელთ ეპყრათ,
პირველნი რუმინთა და ხორვატთა, მეორენი უკრაინელ-
თა მიწა-წყალზედ, მაგრამ ეს ხდებოდა უფრო ძალმომრე-
ობის მეოხებით; ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კოლონი-
სტებ შორის პირველი ალაგი მებატონე-ფეოდალებს ეჭი-
რათ, რომელნიც მუსრს ავლებდენ დაპყრობილ ხალხთა
მებატონ-ფეოდალებს და მათი ვეება მამულებს ითვისებ-
დენ. მაშასადამე, ავსტრო-უნგრეთის სამეფოები და ქვეყ-
ნები, ერთის მხრით, და ამ უკანასკნელთა ზოგიერთ ად-
გილებში უცხო ელემენტების ჩასახლება, მეორეს მხრით,
ნაყოფია წინა საუკუნოების ისტორიულ ქარტეხილისა,
როცა ეკონომიურ განვითარებას ჯერ კიდევ წინ უსწრებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უბრალო ძალმომრეობა. თვით აბსოლუტიზმის უმეტესობა ვალეს განვითარების ჟამს ისტორიული სამეფოები და ქვეყნები ხელუხლებელი დარჩა, ან უკეთ, მოხდა ერთგვარი კომპრომისი მონარქის ცენტრალიზმსა და ფეოდალთა ფედერალიზმის შორის.

ეს ფეოდალური ფედერალიზმი ნამდვილ ჯოჯოხეთურ სალტედ იქცა ავსტრო-უნგრეთის დამოკიდებულ ერთათვის, ივი გასაქანს არ აძლევდა მათ. მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ეგ. წოდ. უისტორიო ერებმა იწყეს თანდათან თვალის გახილვა, მათ დაინახეს თავიანთი თავი ეგ. წოდ. ისტორიულ ერების კლანჭებში: ჩეხნი და სლოვენები გმინავდენ გერმანელთა ულლის ქვეშ, სლოვაკები, რუმინები და სერბნი—მადიართა, უკრაინელნი—პოლონელთა. დამოკიდებული ერნი იწყებენ ბრძოლას თვითარსებობისათვის, რომელიც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მწვავდება. მეორმოცე წლების რევოლიუციის დროს ავსტრო-უნგრეთის გერმანელნი, მადიარნი და პოლონელნი, როგორც ვიცით, ისტორიულ ფედერალიზმის ნიადაგზედ იდგენ, ამით აიხსნებოდა მათ წინაღმდეგ დამოკიდებულ ერთა გალაშქრება და თვით რევოლიუციის დამარცხება.

ასე რომ, დიდ შეცდომას სჩადის ან., როცა ამბობს, თითქო ისტორიულ-ტერიტორიალურ პრინციპის გაკოტრება ამ უკანასკნელ წლებში შეეგნოთ ავსტრო-უნგრეთში; მას ავიწყდება, რომ ეს შეკნება პირდაპირ გამომდინარეობდა მეორმოცე წლელებ-ს რევოლიუციის საშინელ დამარცხებიდან. ამას არა ერთი და ორი მოღვაწე ღალადებდა მაშინ. მათ შორის ჩეხთა გამოჩენილმა მოღვაწემ პალაცკიმ დიდი ომი გამოუცხადა ავსტრო-უნგრეთის ისტორიულ სამეფოებად და ქვეყნებად დანაწილებას; კრემზის რეიხსტაგში 1949 წ. შეტანილ იქნა მის მიერ

შემუშავებული გეგმა, რომლის თანახმათ ავსტრო-უნგრეთი უნდა დაენაწილებიათ **თვითეულ ერისაგან მჭიდროთ დასახლებულ ტერიტორიებად**, სულ **რვა** ნაწილად*). ხსენებული გეგმა, რა თქმა უნდა, ვერ განხორციელდებოდა რეაქციის მაშინდელ მძვინარების დროს, მას არც შემდეგში სწვევია ასეთი ხვედრი. პირიქით, 1867 წ. შეთანხმება მოხდა ავსტრიასა და უნგრეთს შორის, რომლის ძალით პირველში ,ერმანელთ უნდა შეერჩინათ გეგემონია, ხოლო მეორეში—მადიართ. ამის შემდეგ ორმა ერმა კიდევ ჩაიგდო ხელში ავტონომიური მართველობა: პოლონელებმა ავსტრიაში და ხორვატებმა უნგრეთში. რაც შეეხება სხვა ერებს: ჩეხო-სლოვაკებს, იტალიელებს, სლოვენებს, რუმინელებს, სერბებს და უკრაინელებს,—ისინი პირში ჩალა გამოვლებული დარჩენ.

ცხადია. ავსტრო-უნგრეთის სამეფოების და ქვეყნების ეგ. წოდ. თვითმართველობები, მათი ლანდტაგნი და მეფის მოადგილეთა კანცელარიები ნაშთია ძველი დროისა, შედეგი ბიუროკრატიის და ფეოდალთა განუკითხავ ბატონობისა. როცა ან. ამ დრომოჭმულ ნაშთების გაკოტრებას აცხადებს, ის მხოლოდ აწვება ღია კარებს, ამაში მას მართლაც არ ყავს მოკილე. მაგრამ, როცა ან. ივიწყებს, რომ ავტრო-უნგრეთში ისტორიულ მრავალ-ერიან ტერიტორიების გვერდით არსებობს თანამედროვე **ერთ-ერიანი**, ან უკეთ, **ეროვნული ტერიტორიები**,—ეს გაუგებარია, თუ მეტი არა. მას ავიწყდება, რომ ისტორიული ტერიტორია და ეროვნული ტერიტორია ორი სხვადასხვა ცნებაა ავსტრო-უნგრეთის პრაქტიკაში, აქედან თეორიაშიც. ან.-ს კი თანასწორობის ხაზი გაუსვამს მათ შორის და მით საქმე ძალზე გაუმარ-

---

*) იხ., სხვათა შორის, R. Springer Grundlagen und Entwickelungsziele der Oesterreichisch—Ungarischen Monarchie. 188—201.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტივებია. ეს, რა თქმა უნდა, ნებას აძლევს მას დაასკვნას, რომ ავსტრო-უნგრეთში ეროვნული ტერიტორიები არ არსებობს. გაიხსენეთ მისი სიტყვები: „ერთი მიწა, მრავალი ერი...“ რამდენათ მართალია ეს?—აი კითხვა, რომლის გარკვევა ცხად ყოფს ან.-ის პრაქტიკულ დასკვნების ნამდვილ ღირებულებას.

ჩემ წინ გაშლილია ავსტრო-უნგრეთის ეთნოგრაფიული ქარტა, რომელიც დართული აქვს ცნობილ რუმინელ მწერლის ა. **პოპოვიჩის** წიგნს *) ქარტაზე აღნიშნულია ფერად საღებავებით თვითეულ ერისაგან მჭიდროთ დასახლებული ტერიტორია. ავტორი ანგარიშს არ უწევს ისტორიულ სამეფოებს და ქვეყნებს—მას ეს დანაწილება სხვებთან ერთათ შეუსაბამოთ მიაჩნია—,და ავლებს ხაზს საზღვრებს იქ, სადაც ერთი ერის ბინადრობა თავდება და იწყება მეორე ერის ბინადრობა. საკმაოა ერთხელ მაინც მოავლოთ თვალი ამ ქარტას, რომ თქვენთვის სრულიად ნათელი გახდეს ერთი დიდათ საინტერესო ფაქტი: **არ არის ავსტრო-უნგრეთში არც ერთი ერი, რომელსაც თავისი ტერიტორია არ ქონდეს, რომელზედაც ის არ ბინადრობდეს მიჯრით** (сплошь), **სადაც ის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას არ შეადგენს**! მე დავასახელებ ერებს და მათი საბინადრო ადგილებს სათითაოთ: 1) **გერმანელები** ბინადრობენ: ა) საკუთარ ავსტრიაში (ფორალბერგი, ტიროლი, ზალცბურგი, ქვემო და ზემო ავსტრია, კარინტია, შტირია), ბ) ზემო ბოჰემიაში, გ) ზემო მორავიაში და მასზე მიკრულ დასავლეთ სილეზიაში; 2) **ჩეხნი**—საკუთარ ბოჰემიაში და მასზე მიკრულ ქვემო მორავიაში და აღმოსავლეთ სილეზიაში; 3) **სლოვაკნი**—ზემო უნგრეთში; 4) მადიარნი:

*) A C. Popovici. Die Vereinigten Staaten von Gross-Oesterreich.

ა) საკუთარ უნგრეთში, ბ) ზეკლერთ მხარეში: 5) **პოლონელნი**—დასავლეთ გალიციაში; 6) **უკრაინელნი**—ალმოსავლეთ გალიციაში და მასზე მიკრულ დასავლეთ ბუკოვინაში; 7) **რუმინები**—ტრანსილვანიაში და მასზე მიკრულ ალმოსავლეთ ბუკოვინაში; 8) **სერბნი**—ვოიეოდინაში; 9) **ხორვატნი**—საკუთარ ხორვატიაში და მასზე მიკრულ ისტრია-დალმაციაში; 10) **სლოვენები**—კრაინაში და მასზე მიკრულ გერც-გრადისკაში; 11) **იტალიელნი**: ა) ტრიესტში, ბ) ტრენტოში.

როგორც ხედავთ, აქ რიგ-რიგათ არის ჩამოთვლილი თვითეულ ერის ერთი თუ მეტი საბინადრო ადგილი; ეს ადგილები თავის მხრით **ერთი მეორეზე არის გადაჯაჭვული სივრცით**, აქედან თვითეულ ერს ერთი მთლიანი ტერიტორია აქვს. არის გმონაკლისიც. ზემო ბოჰემია, ერთის მხრით, და ზემო მორავია დასავლეთ სილეზიითურთ, მეორეს მხრით, არ არის გადაბმული დედა-ტერიტორიასთან, საკუთარ ავსტრიასთან; მადიართაგან დასახლებული ზეკლერთ მხარე მოწყვეტილია დედა-უნგრეთზე; იტალიელთა ტრენტო მიკრულია ტიროლზე სამხრეთით, ხოლო ტრიესტი ადრიატიკის ნაპირზეა. მაგრამ ასეთმა მაგალითებმა დიახაც არ უნდა აგვიბნიოს გზაკვალი. ჯერ ერთი, გერმანელთა და მადიართა ეროვნულ ცხოვრების ჩარხი **საკუთარ ავსტრიაში** და **საკუთარ უნგრეთში** ტრიალებს და არა მათ გადაღმა, აქ იყო და არის მათი კულტურის აკვანი, აქ ცხოვრობდა და ცხოვრობს მათი დიდი უმრავლესობა. (მე აქ არ ვეხები იმ საგულისხმო გარემოებას, რომ გერმანელთა და იტალიელთა ეროვნული კულტურა დულს და გადადის თვით გერმანიაში და იტალიაში). მეორეთ, თვითეული ეს მოწყვეტილი მხარე (ზემო ბოჰემია და სხ.) მჭიდროთ არის დასახლებული ერთი ერით, რაიც შესაძლებლათ ხდის მის ცალკე თვითმართველ ერთეულად გარდაქმნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) ავსტრიის სოციალდემოკრატია

მაშასადამე, იმის დაჩემება თითქო ავსტრო-უნგრეთში ერები ერთმანეთში ათქვეფილიყვენ და დაეკარგოთ საკუთარი ტერიტორია, უსაფუძვლოა და არ შეესაბამება სინამდვილეს. ან., სამწუხაროთ, ისე გაიტაცა საკუთარმა გულის-თქმამ, რომ მან თავი ვერ შეიკავა და, ასე წარმოიდგინეთ, ისიც კი თქვა თავის შრომაში, რომ „ჩეხელთა უმრავლესობა დღეს ჩეხიის გარეშე ცხოვრობსო“! მეტსაც ვიტყვი. მან თავისი შემცდარი აზრები ავსტრიის სოციალდემოკრატიას მოახვია თავზე-

მართლაც, ის დაჟინებით იმეორებს, ავსტრიის სოციალემოკრატიამ ეროვნულ კითხვაში სრულიად უკუაგდო „ტერიტორიალური პრინციპი“ და ხელმძღვანელობს „პერსონალური პრინციპითო“. ნუ,თუ მართალია ეს? ამის მკაფიო პასუხს თვით ავსტრიის სოციალდემოკრატიის ეროვნული პროგრამა იძლევა, რომელიც მიღებულ იქნა ბრიუნის პარტეიტაგზედ 1899 წელს. პროგრამა შესდგება ხუთი მუხლისაგან, აი ესენი: 1) ავსტრია უნდა გარდიქმნას ეროვნებათა ერთ დემოკრატიულ სახელმწიფო კავშირად (Nationalitätenbundesstaat) 2) ისტორიულ სამეფოების და ქვეყნების ნაცვლათ არსდება ეროვნულათ შემოფარგლული თვითმართველი სხეულები (National abgegrenzte Selbsterwaltungskörper), რომელთა კანონმდებლობა და მართველობა მიენდობა თვითეულის ეროვნულ პალატას, არჩეულს საყოველთაო, თანაწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლების საფუძვლებზე; 3) ერთ და იმავე ერის ყველა თვითმართველი მხარეები (Selbstverwaltungsgebiete) შედის ერთ მთლიან ეროვნულ კავშირში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სრულიად ავტონომიურათ განაგებს ეროვ-
ნულ საქმეებს; 4) ეროვნულ უმცირესობათა უფლება და-
ცულ იქნება საიმპერიო პარლამენტის მიერ მიღე-
ბულ განსაკუთრებული კანონით; 5) ჩვენ უარვყოფთ
ყოველ ეროვნულ უპირატესობას, ამიტომ უკუვაგდებთ
ერთ სახელმწიფო ენის მოთხოვნას; რამდენათ საჭიროა
ერთი რომელიმე სამიმოსვლო ენა, ამას თვით საიმპერიო
პარლასენტი განსაზღვრავს". (ხაზები ჩემია).

როგორ ფიქრობთ, ავსტრიის სოციალდემოკრატია
მართლა გაურბის ტერიტორიების ერის ბინადრობის მი-
ხედვით შემოფარგვლას? გადიკითხეთ მეორე მუხლი მი-
სი პროგრამისა და პასუხსაც მიიღებთ. ავსტრიის სო-
ციალდემოკრატია შეგნებულათ ებრძვის ისტორიულ სა-
მეფოების და ქვეყნების საზღვრებს, მაგრამ სამაგიეროთ
ის მოითხთვს ეროვნულ საზღვრებს, ახლათ უნდა და-
არსდეს „ეროვნულათ შემოფარგლული თვითმართველი
სხეულებიო". მაშასადამე, თვითმართველობის ბუნებრივ
კალაპოტად ნაცვლათ ისტორიულ ტერიტორიისა თანა-
მედროვე ეროვნული ტერიტორია არის გამოცხადებული;
და რომ ეს თვითმართველობა უბრალო სათემო, საქა-
ლაქო ან საერობო არ არის, იქიდან სჩანს, რომ მას აქვს
კანონმდებლობითი და აღმასრულებელი უფლება, რო-
მელსაც ანხორციელებს საკუთარ ეროვნულ-დემოკრატი-
ულ პალატაში. ავსტრიის სოციალდემოკრატია ამასაც
არს ჯერდება და მოითხოვს „ეროვნებათა ერთ დემოკრა-
ტიულ სახელმწიფო-კავშირის" (იხ. 1 მუხ); ის იმდე-
ნათ გამსჭვალულია ერთა თანასწორობის პრინციპით,
რომ უკუაგდებს „ერთი სახელმწიფო ენას" (იხ. 5 მუხ.);
მას გათვალისწინებული აქვს ეროვნული მეუმცირესობა-
თა მწარე ხვედრი და მოითხოვს მათი უფლების უზ-
რუნველყოფას (იხ. 4 მუხლი).

დაგვრჩა პროგრამის მე-3-მე მუხლი, რაზედაა აქ ლაპარაკი? ჩვენ უკვე დავინახეთ ზევით, რომ ავსტრიის თვითეულ ერს აქვს თავისი ტერიტორია, კერა მისი ნივთიერ და სულიერი კულტურისა, სადაც უნდა მოეწყოს მისი თვითმართველობა, მაგრამ არის გამონაკლისიც ამ საერთო წესიდან: გერმანელთა ერთი ნაწილი ტერიტორიალურათ მოწყვეტილია მოძმეებზე და ცხოვრობს სხვა კუთხეში; ასევე ითქმის იტალიელებზედაც. აი, თვითეული ეს მოწყვეტილი კუთხე, როგორც სხვა მთლიანი ეროვნული ტერიტორიები, გამოცხადდება თვითმართველ ერთეულად, მაგრამ საერთო ხასიათის ეროვნულ-კულტურულ საქმეების გასაძღოლათ ის უერთდება მოძმე ერის სხვა თვითმართველ ერთეულებს. ჩრდილოეთი ბოჰემია ისე, როგორც ჩრდილოეთი მორავია და სილეზია, **ერთ ეროვნულ-კულტურულ კავშირს** შეადგენს საკუთარ ავსტრიასთან; ასე შეუკავშირდება ერთმანეთს ტრიესტი და ტრენტოც. ამ შემთხვევაში ავსტრიის სოციალდემოკრატია ერთმანეთს უთანხმებს ტერიტორიალურ და პერსონალურ პრინციპს, ეს მოწმობს მის პოლიტიკურ გამჭრიახობას, შორსმჭვრეტლობას.

სამწუხაროთ, უნდა ვთქვათ, რომ ანის შემცდარმა წარმოდგენამ ავსტრიის სოციალდემოკრატიის ეროროვნულ პროგრამაზე თავისი ნაყოფი გამოიტანა. ჩვენი გაზეთიც დაჟინებით იმეორებს ამ უკანასკნელათ, რომ ხსენებული პროგრამა შპრინგერის და აქედან ან.-ის გეგმას ადასტურებსო. საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო ამ გაუგებრობას. ბრიუნის პარტეიტაგზედ იყო წარმოდგენილი ორი რეზოლიუცია: ერთი ყველა ნაციონალურ პარტიების საერთო გამგეობისაგან და მეორეც სამხრეთ-სლავიანთა გამგეობისაგან. პირველი მოითხოვდა თვითეულ ერისთვის **ტერიტორიალურს**, ხოლო მეო-

რე **კულტურულ** თვითმართველობას; პირველს იცავდენ მომხსენებელი ზელიგერი, ბიქტორ ადლერი, პერნერსტორფარი, დაშინსკი და სხ., ხოლო მეორეს—კრისტანი და ელენბოგენი.

ნუ დაივიწყებთ, მანამ, სანამ ბრიუნის პარტეიტაგი გაიხსნებოდა, შპრინგერმა გამოაქვეყნა ერთი წიგნაკი **სინოპტიკუსის** ფსევდონიმით, სადაც მან მხოლოდ სქემატიურათ მოათავსა ის დებულებანი, რომელნიც შემდეგ თავის მთავარ შრომაში გაარკვია ვრცლათ და მეცნიერულათ. ამ წიგნაკმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრიის სოციალდემოკრატიაზე და დამცველებიც კი მოიპოვა, როგორც ვთქვი, ბრიუნის პარტეიტაგზედ. რომ მკითხველმა უფრო ხათლათ წარმოიდგინოს საქმის ვითარება, მე მოვიყვან ბრიუნის პარტეიტაგზედ წარმოთქმულ სიტყვების ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილებს

ბიქტორ ადლერი: „სამხრეთ-სლავიანთა გამგეობის წინადადება სხვას არაფერს შეიცავს იმის გარდა, რომ ის გამოთქვამს იმავე აზრს, რომელიც განავითარა სინოპტიკუსმა თავის წიგნაკში ეროვნულ კითხვის შესახებ, სახელდობრ: თვითეულ ერის შვილთა საერთო ჯამი—აი ვის უნდა მიენიჭოს, მზგავსათ ერთმორწმუნე კრებულისა, ეროვნული თვითმართველობა. ეს, მართალია, ძალიან მახვილი აზრია, მაგრამ მე ვეჭვობ, რომ მას დღეს ვისმესთვის პრაქტიკული მნიშვნელობა ქონდეს. ამის გარდა, სამხრეთ-სლავიანთა რეზოლიუციაში აზრთა წინააღმდეგობაა. იქ ხმარებულია „ეროვნებათა სახელმწიფო—კავშირი“ და იმავ დროსვე ის შეიცავს მკაცრ პროტესტს ეროვნულ ტერიტორიის წინააღმდეგ. ეს ორი აზრი არ ეგუება ერთმანეთს, რადგან შეიძლება კაცმა ერი უტერიტორიოთ წარმოიდგინოს, მაგრამ სახელმწიფო კავშირი წარმოუდგენელია **ერთი მეორისაგან გამიჯნულ ეროვნულ ტერიტორიების უმისოთ**“. (ხაზი ჩემია).

პერნერშტორფერი: „ჩვენ გვინდა თვითეულ ერის არსებობა **მისივე ტერიტორიაზედ** ვყოთ უზრუნველყოფილი. მე თვითონ ეინაწილებ სინოპტიკუსის წინადადებას, რომელსაც ეკედლება ამხ. კრისტანი, მაგრამ, სამწუხაროთ, ის დღეს პრაქტიკაში განუხორციელებელია“. (ხაზი ჩემია).

უკრაინელი ჰანკიევიჩ: „თუ თქვენ მართლა იმ აზრის ხარო, რომ სოციალდემოკრატიამ ხელი უნდა შეუწყოს სუსტ ეროვნებათა განვითარებას, მაშინ აუცილებელია, რომ თვითეულმა ერმა სრულიად ავტონომიურათ განაგოს თავისი ეროვნული საქმეები; აუცილებელია, რომ მას, რამდენათაც ეს შესაძლებელია, **თავისი საკუთარი ტერიტორია ქონდეს**, სადაც მას, როგორც ავტონომიურ ეროვნულ ერთეულს, მართლაც შეეძლება თავისი ძალები განავითაროს“.

სლოვენი კრისტანი ებრძვის ჩამოთვლილ ტერიტორიალისტებს და აშკარათ ამბობს, რა ანსხვავებს მათ: „საერთო გამგეობა მოითხოვს **ეროვნულ-ავტონომიურ ტერიტორიებს**, ჩვენ კი მოვითხოვთ ეროვნულ ავტონომიას მიუხედავათ ტერიტორიისა“. (ხაზი ჩემია).

ელენბოგენი უპერს მას მხარს და ამბობს: „ჩვენ უნდა გამოვნახოთ სხვა ფორმა და წინდაწინ ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვერ დავეყრდნობით **ერთა ტერიტორიალურ პრინციპზე** და მის მაგიერ ვცნობილობთ უტერიტორიო ეროვნულ სხეულებს. თვითეული ადამიანი თვითონვე აცხადებს თავისუფლათ თავის ეროვნულ ვინაობას და შედის ამა თუ იმ ეროვნულ მთელში, რომელიც სრულიად ავტონომიურათ განაგებს როგორც ენის, ისე კულტურის საქმეებს საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლების საფუძვლებზე. ეს თვალთსაზრისი მართლაც

სინოპტიკურს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ იგი შევუფარდეთ ჩვენს პროლეტარულ მოთხოვნებს". (ხაზი ჩემია).

მოისმინა რა ეს კამათი, პარტეიტაგმა აირჩია ცალკე კომისია, რომელსაც მიანდო ხელახლავ დაკვირვებოდა საგანს და შესაფერი რეზოლიუცია წარმოედგინა. კომისიამ მხოლოდ **გარეგნულათ** შეაშალაშინა **საერთო** გამგეობის რეზოლიუციის **პირველი ოთხი** მუხლი, მეხუთე მუხლიდან კი ამოშალა გერმანულ ენის სამიმოსვლო ენად აღიარება. ზელიგერმა მოახსენა პარტეიტაგს, რომ კომისიის 10 წევრიდან მხოლოდ ერთმა კრისტანმა მისცა რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა. რაც შეეხება რეზოლიუციის მესამე მუხლს, ზელიგერმა გარკვევით თქვა, რომ მასში ნაგულისხმევია ისეთი ერი, რომელიც ერთი მეორისგან განცალკევებულ ტერიტორიებზედ ბინადრობს; თვითეულ ამ ტერიტორიას ექნება თავისი ავტონომია, მაგრამ საერთო ხასიათის ეროვნულ-კულტურულ საქმეების გასაძღოლათ ასეთი ერი მთლიან ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენს. მე უკვე ვთქვი ზევით, რომ ავსტრიაში ასეთ პირობებში იმყოფებიან გერმანელნი და იტალიელნი: პირველნი ბინადრობენ **სამ**, მეორენი **ორ** ერთმანეთისგან განცალკევებულ ტერიტორიაზედ, მაშასადამე, მესამე მუხლიც სწორეთ **ამათ** ეხება.

კომისიის მიერ წარმოდგენილი პროგრამა-რეზოლიუცია (ის უკვე მოყვანილია დასაწყისში) პარტეიტაგმა **უკამათოთ** მიიღო **ერთხმათ**, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია. ელენბოგენმა, რომელიც ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის წინააღმდეგ იბრძოდა, შემდეგი ფრიად დამახასიათებელ სიტყვებით აღიარა თავისი **დამარცხება**: „მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი ნათქვამი ვერავინმა დაარღვია, მე მაინც ხმა მივეცი რეზოლიუციას,

რადგან ამ წუთში ფილოსოფიური სპეკულიაციები განზე უნდა გადავდოთ".*)

ბოლიშს ვიხდი მკითხველთან, რომელსაც თავი მოვაბეზრე ამდენი ამონაწერებით ბრიუნის პარტეიტაგის ოქმებიდან, მაგრამ ეს საჭირო იყო იმ უპრალო დებულების დასამტკიცებლათ, რომ ავსტრიის სოციალდემოკრატიამ სრულიად შეგნებულათ თავის ეროვნულ პროგრამის ქვაკუთხედად ტერიტორიალური ავტონომია აღიარა.

დ) ოტო ბაუერი.

თქმულიდან ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს მკითხველმა, თითქო მე ანგარიშს არ ვუწევდე კაპიტალიზმისაგან გამოწვეულ ხალხთა ამოძრავებას, სხვა და სხვა ერთა შვილების ქალაქებში თუ სამრეწველო ცენტრებში თავის მოყრას... ან.-სა და ჩემს შორის ის განსხვავებაა, რომ ის ძალზე აჭარბებს და შორდება სინამდვილეს, როცა გვიმტკიცებს, თითქო კაპიტალიზმის ამ ტენდენციას მთლათ გაექარწყლებიოს ავსტრიაში (ასე წარმოიდგინეთ—ყველგან!) ეროვნული ტერიტორია. ამის საბუთს არ აძლევდა მას ოტო ბაუერიც, რომელსაც ასე ხშირათ იმოწმებს. გადაიკითხეთ ამ ავტორის წიგნის ერთი თავი**)—„ტერიტორიალური პრინციპი"—და თქვენ თვითონ დარწმუნდებით ამაში. ბაუერი, მართლაც, არა ერთხელ უსობს ხაზს იმ გარემოებას, რომ ერთი ერის

*) Verhandlungen des Gesamtparteitages der Sozialdemokratie in Oesterreich, algehalten zu Brünn im jehre 1899; 74—93, 104—108.

**) Otto Bauer. Die Nazionalitätenfrage und die Sozialdemokratie. § 21 Der Territorialpripzip 324—353.

შვილნი ვადადიან საცხოვრებლათ მეორე ერის ტერიტორიაზე, მეორესი—მესამისაში და ასე ბოლომდის, მაგრამ ის დიახაც არ ივიწყებს, რომ ეს პროცესი ვერ შლის თვითეულ ერის ბინადრობის საზღვრებს. პირიქით, ის აღიარებს, რომ ერთა ბინადრობის საზღვრები საუკუნოების განმავლობაში შეურყეველი რჩება. კაპიტალიზმის ხანაში, მისი აზრით, გაცილებით უფრო საგულისხმოა ისა, რომ ერთი ერის შვილნი მეორე ერის ტერიტორიის კიდეზე კი არ გადადიან საცხოვრებლათ, არამედ მის **შუაგულ**, და წარმოშობენ იქ უცხო ერის „კუნძულებს". ეს არცაა გასაკვირი—დასძენს ის,—რადგან კოლონისტები უმეტესათ მუშები არიან, რომელთაც იზიდავს სამრეწველო ქალაქები და სამთამადნო ცენტრები, და ესენი კი უფრო ხშირათ დამხდომ ერთა ტერიტორიის შუაგულ მდებარეობენ. მაგალითათ, აუარებელი ჩეხი მუშა ცხოვრობს ვენაში, ჩრდილო ბოჰემიაში და სხვაგან.

მაგრამ ყველა ეს და ბევრი სხვაც ერთი მხარეა კაპიტალისტურ განვითარებისა; ბაუერს თვალიდან არ ეპარება მეორე არა ნაკლებ საგულისხმო მხარეც. მუშა, რაც უფრო წინაურდება პოლიტიკურათ და კულტურულათ, მით უფრო ნაკლებ სახარბიელოა ის უცხო კაპიტალისტის თვალში. ჩეხნი, როგორც კულტურულათ ჩამორჩენილნი და ნაკლებ ხელ-ფასის დამჯერნი, ადვილათ შოულობდენ სამუშაოს გერმანელ კაპიტალისტთან ვენაში თუ სხვაგან, ადგილობრივი გერმანელი მუშები ხშირათ უნდა გადახვეწილიყვენ სხვა სახელმწიფოებში, მაგრამ ასე არ არის დღეს: ჩეხნი თანდათან უთანასწორდებიან გერმანელთ ცოდნით და შეგნებით, აქედან მათი მიმზიდველობაც თანდათან კლებულობს გერმანელ კაპიტალისტის თვალში. მეორეს მხრით, საკუთარ სამშობლოში, ჩეხიაში, თანდათან ვითარდება მრეწველობა,—აქედან ის თანდათან მეტ მუშა ხელს თხოულობს, ეს კი

ძალზე ასუსტებს ჩეხი მუშის ემიგრაციას, მაშასადამე, ის თავისივე სამშობლოში რჩება. ახალმა ხანამ წარმოშვა „უისტორიო“ ერთა ბურჟუაზიაც და ჩააბა ის საერთო ფერხულში, მას გვერდით ამოუდგა პროლეტარიატი იმავ ეროვნებისა. ამ პროცესმა გამოიწვია ერთი ფრიად საინტერესო მოვლენაც: **ქალაქები გაეროვნდა!** თუ წინეთ, მაგალითათ, ჩეხიის ქალაქები გერმანული იყო, დღეს ისინი ჩეხური არიან. პრაგა, ჩეხიის სატახტო ქალაქი, კიდევ გასულ საუკუნის დასაწყისში გერმანული იყო, დღეს კი ჩეხური არის...

ოტო ბაუერი, რა თქმა უნდა, ანგარიშს უწევს ამ ორ მოპირდაპირე ტენდენციას, და პრაქტიკული დასკვნებიც გამოყავს აქედან. ის არჩევს ავსტრიის სოციალდემოკრატიის ეროვნულ პროგრამას და თან გვაცნობს თავის საკუთარ ეროვნულ პროგრამის გეგმას. რას გვეუბნება ამ ორ პროგრამის ერთმანეთთან შედარება? **ბაუერს სოციალდემოკრატიის პროგრამის პირველი სამი მუხლი სრულიად უცვლელათ გადააქვს თავის გეგმაში!** ცხადია, ისიც მხარს უჭერს ეროვნულ-ტერიტორიალურათ შემოფარგლულ და კანონმდებლობითი უფლებით აღჭურვილ თვითმართველ ერთეულებს. რაც შეეხება მე-4-ხე მუხლს, ბაუერი მხოლოდ ანვითარებს მას და მოითხოვს, რომ ეროვნული უმცირესობა აღიარებულ იქნას საჯარო-უფლებრივ ერთეულად, რომელიც ავტონომიურათ უნდა განაგებდეს სასკოლო და სხვა საქმეებს. მე-5-თე მუხლი მას არ შეაქვს თავის გეგმაში, რადგან ერთი სამიმოსვლო ენა მას პროგრამულ მოთხოვნად არ მიაჩნია.*)

ამგვარათ, ოტო ბაუერი ძალიან კარგათ გრძნობს ტერიტორიალურ ორგანიზაციის დიად მნიშვნელობას

*) Idid 522—533.

ავსტრიის თვითეულ ერისათვის. „რა საკვირველია ეს ბობს ის,—**პრინციპიალურათ** საჭიროა მოვითხოვოთ **მხარეების** (Gebiet) **ეროვნულათ შემოფარგვლა**, როგორც **საფუძველი** ეროვნულ ავტონომიისა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი შემოფარგვლა **ყველგან** როდია შესაძლებელი“...*) აქ ბაუერს სახეში აქვს კაპიტალიზმისაგან გამოწვეული ეროვნულ უმცირესობათა „კუნძულები“. ის მოითხოვს, ერთის მხრით, ამ „კუნძულების“ საჯარო-უფლებრივ ერთეულებად ცნობას, ხოლო მეორეს მხრით, მათი გაერთიანებას მოძმე ტერიტორიალურ სხეულებთან საერთო ხასიათის კულტურულ-ეროვნულ საქმეების გასაძღოლათ.

ე) რუდოლფ შპრინგერი (რენერი).

ჩვენ მივადექით რ. შპრინგერს, რომელსაც ემყარება როგორც ბაუერი, ისე ან.

შპრინგერი, როგორც ვიცით, ეროვნულ კითხვის მოსაწესრიგებლათ იმარჯვებს პერსონალურ პრინციპს. რას ნიშნავს ეს? აი რას. დღევანდელი მდგომარეობა ავსტრიაში, შპრინგერის აზრით, არანორმალურია. სახელმწიფო არ ცნობილობს ერებს უფლება-მორჩმულ ორგანიზმებად, ერები თავის მხრივ თავვამოდებით იბრძვიან სახელმწიფო უფლების ხელში ჩასაგდებათ; ამ ხელჩართულ ბრძოლაში იჩაგვრის როგორც სახელმწიფოს, ისე ერთა ინტერესები, და მიყავს ორივე უფსკრულის კიდემდე. რომ ეს კატასტროფა თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ერთმანეთს შევუთანხმოთ სახელმწიფოსა და ერების ინტე-

*) Ibid 333—334, ხაზი ჩემია.

ეროვნული

რესები, შესაბლებელი გავხადოთ მათი პარალელური არსებობა: თვითეულს მივუზღოთ ის, რაც მას ეკუთვნის, და სამაგიეროთ ჩამოვართვათ ის, რაც მისთვის მეტი ბარგია. სახელმწიფო არის უფლებრივი ორგანიზმი, ასეთ უფლებრივ ორგანიზმად უნდა იქნას ცნობილი ერიც, რის შემდეგ უნდა განისაზღვროს თვითეულის სამოქმედო ასპარეზი, მისი უფლება-მოვალეობა, ერთის მხრით, **ქვეშემრდომის**, მეორეს მხრით, **მოძმის** წინაშე. სახელმწიფოს ქვაკუთხედი არის ტერიტორია, ხოლო ერის ქვაკუთხედი თვით მისი შვილები არიან, სადაც არ უნდა ბინადრობდენ ისინი,—აქედან პირველის მთლიანობა ეყრდნობა ტერიტორიალურ პრინციპზე, ხოლო მეორესი —პერსონალურ პრინციპზე.

ამ გვარათ, შპრინგერი მოითხოვს ერთ მთლიან ორგანიზაციას ერისათვის, ყველა მის წევრებისათვის, **დამოუკიდებლათ მათი ბინადრობისა.**

მაგრამ იგივე შპრინგერი უთმობს ერს, როგორც მთელს, საპატიო ადგილს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაშიც. მე ვერ შევალ ახლა იმის განხილვაში, რას უთმობს ის ერს ცენტრალურ მართველობაში, განსაკუთრებით პასუხმგებელ მოხელეთა დანიშვნა-დათხოვნის საქმეში, რასაც თავის თავათ დიდი მნიშვნელობა აქვს, და ვიტყვი მხოლოდ ორიოდე სიტყვას **ადგილობრივ** მართველობის შესახებ. მთელი სახელმწიფო, შპრინგერის გეგმით, იყოფა თვითმართველ ოლქებად (Kreis), ოლქი—მაზრებად (Bezirk), მაზრა—თემებად (Gemeinde). **აი ამ ოლქის საზღვრები ერის ბინადრობის მიხედვით შემოიფარგლება და აღინიშნება სახელმწიფოს ძირითად კანონებში.** ამ შემთხვევაში ჩვენ ვღებულობთ, ამბობს შპრინგერი, ნამდვილ ეროვნულ ტერიტორიას, ერის „ერას, სამფლობელოს“ (Heim, Dominium). თვითეულ ასეთ ოლქს აქეს თავისი განსაკუთრებული წარმომადგენლობა—საბ-

ჭო, ყავს აგრეთვე მოხელენი, რომელნიც, ერთის მხრივ, ანხორციელებენ საიმპერიო კანონებს, ხოლო მეორეს მხრით ავტონომიურათ განაგებენ შინაურ საქმეებს, როგორც ეკონომიურს, ისე კულტურულ-ეროვნულს. შპრინგერის აზრით, ყველა ოლქების **ცხრა მეათედი** სწორეო ასე შეიძლება მოეწყოს, დანარჩენი ერთი მეათედი **შერეული** იქნება ეროვნულათ, ამიტომ ეკონომიურ-ადმინისტრატიული მართველობა მათთვის საერთო იქნება, ხოლო ეროვნული—განცალკევებული. ერთ და იმავე ერის ყველა ოლქები შეადგენს ერთ მთლიან ეროვნულ ორგანიზმს, აქვე შედიან შერეულ ოლქებში მცხოვრები მოძმენიც. ამ მთლიან ეროვნულ ორგანიზს აქვს თავისი პარლამენტი, სამინისტრო და დამოუკიდებულათ წარმართავს თავის კულტურულ-ეროვნულ საქმეებს. *)

ესეც შპრინგერის ეროვნული სქემა.

როგორც მკითხველი შენიშნავდა, შპრინგერი კომპრომისისის გზას ადგია. ერის იურიდიულათ გაერთიანება მისი აზრით, მხოლოდ **პერსონალურ პრინციპის** ნიადაგზედ შეიძლება, მაგრამ ეს არ უშლის მას აღიაროს მთელი სახელმწიფოს **ეროვნულ-ტერიტორიალურ** ერთეულებად დანაწილების საჭიროება. ერი მას არ აქვს ისე წარმოდგენილი, თითქო მისი წევრნი უთავბოლოთ იყვენ გაბნეული სახელმწიფოს ყველა კუნჭულებში (აქ უმცირესობაზე არაა ლაპარაკი), პირიქით ისინი ეგულება მას როგორც მჭიდროთ დასახლებულნი განსაზღვრულ ტერიტორიაზედ. შპრინგერი როდი ებრძვის საზოგადოთ ტერიტორიალურ პრინციპს. „პერსონალური პრინციპი—ამბობს ის—უარყოფს **ისტორიულ სამეფოებს** და ქვეყ-

*) R Springer. „Der Kampf der österreichischen Nationen um den Staat“, 145—154.

ნებს, საზღვრების ამ ფეტიშს.**) ამას ამოწმებს ბაუერიც, რაცა ამბობს: „შპრინგერის სისტემა **არ წარმოადგენს პერსონალურ პრინციპის ცხოვრებაში წმინდათ გატარებას**“, და მიუთითებს სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ოლქებად დანაწილებაზე.***)

3) დასკვნა.

ავსტრო-უნგრეთის მაგალითი, როგორც დავინახეთ, არამცთუ არ ადასტურებს ან.-ის ძირითად დებულებას, არამედ სულ წინალმდეგს ამტკიცებს. მიუხედავათ ერთა ერთმანეთში შერევის ტენდენციისა, რომელითაც ხასიათდება თანამედროვე ავსტრო-უნგრეთი (განა მარტო ავსტრო-უნგრეთი?!), ჩვენ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქ თვითეული ერი მქონებელია განსაზღვრულ ტერიტორიისა, სადაც მის წევრთა დიდი უმრავლესობა ბინადრობს და, მაშასადამე, სადაც მისი კულტურა იფურჩქნება-ვითარდება. ავსტრიის სოციალდემოკრატია, წინააღმდეგ ან.-ის რწმუნებისა, სწორეთ ამ ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულების გამოყოფას და მათი კანონმდებლობითი უფლებით აღჭურვას მოითხოვს. ან.-მა ერთმანეთში არია ისტორიული და თანამედროვე ეროვნული ტერიტორია, აი სათავე მისი შეცდომისა. რაც შეეხება შპრინგერ-ბაუერს, ან.-მა კარგათ იცის, რომ მათი თხზულებები, გარდა სინოპტიკუსის პატარა წიგნაკისა, ბრიუნის პარტეიტაგის შემდეგ გამოვიდა და იქ გამოთქმული აზრი არ მიეწერება სავსებით ავსტრიის სოციალდემო-

---

**) Ibid 40, ხაზი ავტორისაა.

***) Otto Bauer. Die Nationalitätenfrage usw. 358 ხაზი ავტორისაა.

კრატიის, როგორც ეს მას მოსდის ხდლმე. ესეც რომ არ იყოს, ბაუერი, როგორც დავინახეთ, **არსებითათ** ბრიუნის დადგენილებას უერთდება, ეს არ მიიღო ან.-მა სახელში. შპრინგერის სქემა, შეიძლება ითქვას, რამდენათმე შორდება ბრიუნის პროგრამას, მაგრამ არა პრინციპიალურათ. შპრინგერის ეროვნულ-ტერიტორიალური ერთეული (ოლქი) შედარებით **პატარა სივრცისაა** და შეიძლება ერის ერთ ტერიტორიაზედ **რამდენიმე ასეთი ოლქი** *) დაარსდეს, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატიის ერთეული **მთელი ერის ტერიტორიას შეიცავს.** აქედან, პერსონალური პრინციპი, შპრინგერის თვალში, **საფუძველია** ერის იურიდიულათ გასაერთიანებლათ, მაშინ როდესაც იგივე პრინციპი **უკრო კორექტივს**, შესწორებას წარმოადგენს ავსტრიის სოციალდემოკრატიის ეროვნულ პროგრამაში.

ან კი რათ დასჭირდა ან.-ს ტერიტორიალურ თვალთსაზრისის ასე უკან მოუხედავათ ათვალწუნება, მისი სამუდამოთ წესის აგება? მას ალბათ არ დავიწყნია, რომ თანამოაზრენი აღიარებენ, მაგ., პოლონეთის ტერიტორიალურ ოვითმართველობას. გამოდის, ან.-ს თუ დავუჯერეთ, ისინი საშინლათ სცოდავენ ამ შემთხვევაში მარქსისტულ პრინციპის წინაშე! თუ არ სცოდავენ—და ამას, იმედია, თვით ან. დაამოწმებს,—მაშინ არ შეიძლება საქმის ისე წარმოდგენა, თითქო, ვინც ეროვნულ ტერიტორიას ემხრობა, ის უთუოთ პრინციპებს ღალატობს. ან. კი სწორეთ ასე მსჯელობს.

ჩემის აზრით, ტერიტორიის ერის ბინადრობის მიხედვით გამიჯვნა დიახაც არ არის პრინციპიალური საკითხი, ის არის **ფაქტის** საკითხი, თუ შეიძლება ასე ითქვას. თუ ერს აქვს საკუთარი ტერიტორია, მაშინ არქი-

*) ისინი ერთმანეთს ესაზღვრებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისტიც იმას იტყვის, რომ ასეთ ერს უნდა მიეცეს ტერიტორიალური თვითმართველობა (პოლონეთი); თუ ერს არა აქვს საკუთარი ტერიტორია, მაშინ არა თუ მარქსისტი, უკიდურესი ნაციონალისტიც ვერ მოითხოვს იმაზე მეტს, რასაც კულტურულ-ეროვნული თვითმართველობა იძლევა (ებრაელნი).

ან. სრულიად სამართლიანათ ამბობს, რომ ერი **კულტურული კავშირია**, ამიტომ მისი აწმყო და მომავალი იმ ზომაზე არ არის დამოკიდებული ტერიტორიაზე, როგორც ამას ირწმუნებიან ყველა ჯურის ნაციონალისტები. მაგრამ ყოველ მტკიცებას თავისი საზღვარი უნდა ქონდეს, ჯოხი ისე არ უნდა გადალუნო, რომ გადატყდეს, ან.-ს კი სწორეთ ასე ემართება. აქაო-და, რადგან ერი კულტურული კავშირია, ამიტომ ტერიტორიის საკითხი არც კი არსებობს მისთვისო—აი ან.-ის შრომის დედა-აზრი.

ტერიტორიას თავის თავათ, რასაკვირველია, პირდაპირი კავშირი არა აქვს ერთან. ტერიტორია არსებობდა, მაგრამ ერი არ არსებობდა—სჩანს, პირველსა და მეორეს შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ერი სოციოლოგიური ცნებაა, მისი დასაბამი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ და არა გარეშე ფიზიკურ არსში. მაგრამ სწორეთ ეს საზოგადოებრივი ცხოვრება გვიკარნახებს ერთ უბრალო რამეს: სანამ ერი გაჩნდებოდა, საჭირო იყო მის წევრთა **ერთათ ბინადრობა**. ერთათ ბინადრობა კიდევ არ არის მიზეზი ერის წარმოშობისა, ის არის მხოლოდ **პირობა** (გარემო, среда) რომლის უმისოთ შეუძლებელი იყო ერთი ენა, ერთი ზნე-ჩვეულება და სხ. ერთათ ბინადრობა კი შეიძლება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, აქედან არა ტერიტორია საზოგადოთ, არამედ **განსაზღვრული** ტერიტორია—აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზა ეროვნულ ცხოვრებისა.

ერი კულტურული კავშირია, ვამბობთ ჩვენ, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მის წევრთათვის **სულ ერთია** ერთათ ბინადრობენ ისინი თუ მთლათ მოწყვეტილი არიან ერთმანეთისგან სივრცით? ან.-ს სწორეთ ასე აქვს საქმე წარმოდგენილი, მისთვის სულ ერთია, სად ცხოვრობს, მაგ., ქართველი: ხარბინში, პეტროგრადში, თუ **თავის სამშობლოში**! საინტერესოა, საიდან გამოყავს მას ამ შემთხვევაში „ნაციონალური კულტურა"? თუ ერი არ ბინადრობს ერთ ადგილას, შეუძლია თუ არა მას წარმოშვას და შემდეგ ააყვავოს კიდეც **ეროვნული** კულტურა? ან.-ს თუ დავუჯერეთ, **შეუძლია**!

რაშია საქმე, სადაა ამ უკიდურესობის სათავე? ან.-ს ყველა ერები ებრაელების მდგომარეობაში ეგულება; მათ, როგორც ებრაელთ, არ უჭირავთ განსაზღვრული ტერიტორია, აქედან მათი კულტურული კავშირი შესაძლებელია მხოლოდ და მარტო პერსონალურათ და არა ერთათ ბინადრობის მიხედვით.

ჩვენ დავინახეთ, რომ სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. მართალია, ერის მცირედი ნაწილი წლითი წლობით სტოვებს სამშობლოს და ეხვეწება სხვაგან; მართალია ისიც, რომ საჭიროა ეს გადახვეწილნი უთუოთ იზიარებდენ მშობელ ერის ჭირსა და ლხინს, შეადგენდენ ნაწილს ამ ერისას, მაშასადამე, იყვენ მასთან **პერსონალურათ** დაკავშირებული როგორც უფლებით, ისე მოვალეობით. მაგრამ, ნუ დაივიწყებთ, **სიმძიმის ცენტრი ეროვნულ ცხოვრებისა სამშობლოშია და არა მის გადალმა.** ქართველ ერისათვის, მაგ., პატარა მნიშვნელობა არა აქვს, რომ შორს გადახვეწილი მისი შვილნი კავშირს არ სწყვეტენ მასთან, მაგრამ ბალღობა იქნებოდა გვეთქვა, თითქო მისი ბედ-ღლბალი ამ კავშირზე იყოს დამოკიდებული. **ქართველების ეროვნული კულტურა ან სულ არ**

ეროვნული

განვითარდება, ან თუ განვითარდა, მხოლოდ საქართველოში, წინააღმდეგის დაშვება მავნე უტოპიაა, სხვა არაფერი.

არ შეიძლება ერის ნივთიერ და სულიერ კულტურის ერთი მეორისგან ხელოვნურათ გახლიჩვა. თუ ერი დაქსაქსულია ნივთიერათ, ე. ი. სოციალ-ეკონომიურათ, ნუ ელით მის სულიერ კულტურის წინსვლას. ეროვნული მწერლობა ხომ იგივე იდეოლოგია არის, რომელიც გამოხატავს ერის სოციალურ და ეკონომიურ კავშირს: თუ უკანასკნელი დარღვეულია, მაშინ ტყუილათ ელით პირველის აღორძინებას. მაგრამ როგორ შეიძლება ერის სოციალ-ეკონომიური კავშირი, თუ მისი წევრნი ერთათ არ ბინადრობენ?

ერთათ ბინადრობა, მაშასადამე, აუცილებელი პირობაა ეროვნულ ცხოვრების, აქედან ეროვნულ კულტურის გასაჩაღებლათ. ტერიტორიის საკითხიც იმდენათ უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ, რამდენათ ის დაკავშირებულია ერის ერთათ ბინადრობის საკითხთან.

ერი კულტურული კავშირია, მაგრამ ის უნდა ბინადრობდეს ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზედ—აი, ჩემი აზრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V.

საქართველოს თვითმართველობა

ა) „სტატისტიკა“

საქართველო! შენი მტერია, სახიფათო გახდა ამ სიტყვის ხმარება! და თუ მაინც არ დაგიშლია, გაფრთხილებ, მკითხველო, შენ ეგ სიტყვა ბრჩხილებში უნდა ჩასვა! ამით შენ გამოსთქვამ იმ უბრალო და უდაო რამეს, რომ ოდესმე მართლაც არსებულა საქართველო, ხოლო დღეს იგი არ არსებობს!

იმიტომ არ არსებობს—გვეუბნება ან.—, რომ ქართველი ერი დღეს არ ფარავს საქართველოს, საქართველო—ქართველ ერსო. მერე რით მტკიცდება ეს? აი რით. „1897 წ. აღწერით—მოგვიყობა ან.—საქართველოს საზღვრებში (ე. ი. თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებში) ცხოვრობენ 2.009,273 სული, ამათში ქართველია 1.335,896 ე. ი. მცხოვრებთა ორი მესამედი ქართველია, ხოლო ერთი მესამედი კი არაქართველი. ეს არაქართველები ყველგან, გარდა ქუთაისის გუბერნიისა (აქ 807.478 სულიდან 779.881 სული ქართველია), შეადგენენ უმრავლესობას. მაგალითად, თფილისის გუბერნიაში ირიცხება 966.808 მცხოვრები, ამათში ქართველია 455.237; ბათუმის ოლქში ირიცხება 144.584 მცხოვრები, ქართველია 63.011; ზაქათალის ოლქში ირიცხება 84.242, ამათში ქართველია 2.394; სოხუმისაში ირიცხება 106.179 მცხოვრები, ქართველია 25.873“. ცოტა ქვევით კიდევ უფრო მეტყველია ანის ციფრები, ამოკრეფილი კავკასიის კალენდრიდან: „ახალი ცნობებით საქართველოს ზემოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალნიშნულ საზღვრებში ცხოვრობენ 2.736,850 მცხოვრები, ამათში ქართველია 1.619,548. ქართველებს უმატია სამას ათას სულამდე, არაქართველს კი ოთხას ორმოცდა ათ ათასამდე, ე. ი. 1897 წ. ქართველები შეადგენდენ საქართველოში 60.7%, 1911 წ. კი 51.8%-ს".

მე ვიცი, ანს ძალიან ეხერხება ოფიციალურ სტატისტიკის მომარჯვება, მაგრამ ისიც ვიცი, სამწუხაროთ, რომ ეს ხდება **სრულიად უკრიტიკოთ**. სტატისტიკური მეთოდი, რა თქმა უნდა, კაი საქონელია, მაგრამ მხოლოდ და მარტო იმ შემთხვევაში, თუ იგი ემყარება ნამდვილ და სწორ წყაროებზე. შეიძლება ეს ითქვას **ოფიციალურ** სტატისტიკაზე განაპირა ქვეყნებში საზოგადოთ და ჩვენში კერძოთ? **არ შეიძლება**, და ამას თვით ან. დაგვიმოწმებს, იმედია. მაშ რათ არ შევიდა ის ამ „სტატისტიკის" განხილვაში, რათ არ დააფასა ის მან? შეიძლება ან. ფიქრობს, რომ პოლიტიკანობა პატარა ზიანს აყენებს ამ დიად სასარგებლო საქმეს?

ოფიციალური სტატისტიკის ნაყოფიერი გაკრიტიკება მხოლოდ მაში შეიძლება, როცა არსებობს **არა ოფიციალური** სტატისტიკა. ასეთი არ მოგვეპოვება ჩვენ, არც საეროპო დაწესებულებები, რომელიც არდკენს მას. მაგრამ ზოგიერთი ცნობები მაინც მოეპოვება თვითეულ ჩვენგანს, ამისათვის ხშირათ პირადი დაკვირვებაც საკმარისია. ვინ არ იცის, მაგ., ქართველ მაჰმადიანების ძალიან ხშირათ „თათრებად" მონათვლა? (მე არას ვამბობ ქართველ კათოლიკებზე და ქართველ გრიგორიანებზე თფილისის გუბერნიაში, რომელთაც „სომხებად" ნათლავენ!) საკმარისია გამოჰკითხოთ ქართველ მაჰმადიანს ვინაობა, რომ მან გიპასუხოთ: „მე თათარი ვარ"!*) სტატისტიკოსიც, რა თქმა უნდა, სრულიად სერიოზულათ, მათ თათრების ცხრილში სწერს. ასე ხდებოდა და ხდება

ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, აგრეთვე ზაქათალის ოლქში. მაგრამ ეს უკუღმართობა ყველაზე აშკარათ ბათუმის მხარეშია გავრცელებული. კავკასიის კალენდარი, მაგალითათ, ქობულეთლებს თათრებს ეძახის! ზევით ამონაწერიდან ვგებულობთ, რომ 1897 წ. ბათუმის მხარეში ყოფილა 144.584 სული, აქედან მხოლოდ 63.011 სული არის ქართველი. როგორ მოგწონთ ეს „სტატიკა"? ბათუმის მხარე (ობლასტი) შესდგება ბათუმისა და ართვინის ოლქისაგან, რომლისაგან პირველი გაცილებით უფრო დიდია მეორეზე. ბათუმის ოლქში მთლათ ქართველი მაჰმადიანობა ცხოვრობს (აჭარა, ქობულეთი),თვით ქალაქ ბათუმშიც ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები უმრავლესობას შეადგენენ; რაც შეეხება ართვინის ოლქს, ორი საბოქაულო (შავშეთ-იმერხევის და ართვინის) თითქმის მთლათ ქართველ მაჰმადიანებითაა დასახლებული, დარჩა ერთი არდანუჩის საბოქაულო (კლარჯეთი), სადაც მცხოვრებნი თათრულათ ლაპარაკობენ, თუმცა აქაც არაიშვიათათ შეხვდებით ქართულათ მოლაპარაკეს; დაბა ართვინში და არდანუჩში, აგრეთვე ხუთიოდე პატარა სოფელში სომეხ-კათოლიკენი ჭარბობენ. ახლა გაზომეთ თქვენ თვითონ, მართლა უმცირესობას შეადგენენ ქართველები ბათუმის მხარეში? უდიდეს ოლქში სამი მეოთხედი, ხოლო უმცირეს ოლქში ორი მესამედი ქართველები არიან, სტატისტიკა კი ბრძანებს ბათუმის მხარეში ქართველები უმცირესობას შეადგენენო!!

არა ნაკლებ საინტერესოა სოხუმის ოლქის „სტატისტიკა". აქ ცხოვრობდა, თანახმათ ზევით ამონაწერი-

---

*) ჩვენი მოძმე მაჰმადიანები განვლილ გაკვეთილის შემდეგ, იმედია, არ განიმეორებენ ამ შეცდომას. ისინი მხოლოდ სარწმუნოებით განირჩევიან ჩვენგან, ეროვნებით კი, ან როგორც თვითონ ამბობენ: „სისხლით", ქართველები არიან—ეს არ უნდა ავიწყდებოდეთ მათ.

სა, 106.179 სული, ამათში ქართველებია 25.873. ეგენი მარტო სამურზაყანოში ცხოვრობდა 1897 წ. სულ მცირე 30.000 სული, ვინ არიან ისინი? მეგრელები ე. ი. ქართველები. ახლა აიღეთ აბხაზეთი (აბჟუა, წებელი, დალი, ბზიფი), რამდენია აქ მეგრელ-ქართველების სოფლები, რამდენია ისინი ჩასახლებული თვით აბხაზების სოფლებში? ქალაქი სოხუმი და დაბები ოჩამჩირე-გუდაუთა? სულ მცირე, ამ ადგილებში არა ნაკლებ 20.000 სული ქართველი იქნებოდა 1897 წელს. აი შენი „სტატისტიკა“, რომელიც 100% „იაღლიშს“ იძლევა: 50 ათასი 26 ათასად გამოაქვს!

ასეთ „სტატისტიკის“, ვიმეორებ, უკრიტიკოთ დანდობა ყოვლად შეუწყნარებელია. ან. კი სწორეთ ასე იქცევა. კავკასიის კალენდარი ხომ კიდევ უარეს პირობებში იწერება. ადმინისტრაცია წლითი წლობით შაბლონურათ იმეორებს ამ „შეცდომებს“...

მაგრამ, ვთქვათ, ანის მიერ მოყვანილი ცნობები უნაკლულოა, განა შეიძლება ამ შემთხვევაშიც საქართველოს ამოფხეკა ქარტიდან? მე ვაკვირდები საქართველოს ქარტას და ვეკითხები ჩემს თავს, ნუ თუ შესაძლებელია ამ საკანზე ოიტის ოდენა რყევა, იტვი? პირველი, რაც მოვარდება ადამიანს თვალში, არის კავკასიონის მთას გრეხილი, გადაჭიმული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ამ მთაგრეხილის გადმოლმა კალთები, მდინარე ღალიძგიდან (სამურზაყანო-აბხაზეთის საზღვარი) მოყოლებული, დასავლეთით, ვიდრე დაღესტნის მთებამდე, აღმოსავლეთით, მოკავებული აქვს ქართველ ერს. უკანასკნელი ბინადრობს მთელი ამ სივრცეზედ მიჯრით (сплошь), ე. ი. არ არის ისეთი მთა-გორა ან ვაკე, სადაც შეჩრილიყოს

რომელიმე სხვა ერი და შუაზე გაეპოს ქართველობის ბინადრობა. ეს კი დიდათ საყურადღებოა, როცა რომელსამე ერის ეთნოგრაფიულ მთლიანობაზეა ლაპარაკი, სხვა რამე მე არ მაინტერესებს ჯერ-ჯეროობით. მართლაც, ერისათვის მაშინ იბადება სირთულე, დაპრკოლება, თუ მას არ მოეპოვება ერთი მთლიანი ტერიტორია, და ამის მაგიერ უჭირავს რამდენიმე ერთმანეთს მოწყვეტილი ნაჭერი მიწა. ეს არ ითქმის ქართველ ერზე, როგორც დავინახეთ.

მაგრამ არის ისეთი პროვინციებიც, სადაც ქართველობა უმცირესობას შეადგენს, ანიც ამას იხვევს ხელზე. ასეთებია: ზაქათალის და სოხუმის ოლქები*,) ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები. რაც შეეხება ბათუმის მხარეს, აქ ქართველობა ჭარბობს და ამიტომ ვრიცხავ მას ამ სიიდან.

არის ერთი გარემოება, რომელიც დიდათ საყურადღებოა. ზევით ჩამოთვლილი პროვინციები საქართველოს **განაპირათ** მდებარეობს: ზაქათალი აღმოსავლეთით, ბორჩალო, სამცხე და ჯავახეთი სამხრეთით, აბხაზეთი დასავლეთით. მაშასადამე, არც ერი მათგანი არ არის ფსოლიკით შერეობილი საქართველოს გულ-მკერდში, და არ აპობს მას ორ ან მეტ ნაწილად. ეს კი დიდ შეღავათს წარმოადგენს ქართველ ერისათვის. **სამეგრელო, გურია, აჭარა, იმერეთი, ქართლი, კახეთი—ეი ერთი მთლიანი საქართველო,** რომელსაც შეუძლია იარსებოს მაშინაც კი, თუ გინდ განაპირა პროვინციებში **ერთი ქართველიც არ ცხოვრობდეს.** თავი და თავი ცენტრია და არა პერიფერიები, ეს **არ** უნდა გვავიწყდებოდეს არას დროს.

თქმულიდან გამომდინარეობს ერთი უბრალო დასკვნა: ქართველ ერს, მიუხედავათ მრავალ სიმწარისა, რო-

---

*) სოხუმის ოლქს საგურეზაყანო უნდა ჩამოეცალოს.

მელიც მას გამოუცდია დღემდე, მაინც შეუნარჩუნებია ერთი მთლიანი ტერიტორია, სადაც მისი შვილთა სულ ცოტა 95% ბინადრობს. საქართველოს ლიკვიდაცია შეიძლება ბევრს ვისმეს სწყუროდეს, მაგრამ ასეთი განაჩენის გამოტანა ჩვენის მხრით ნაადრევია და მაგონებს იმ საანდაზო ქათამს, რომელმაც მეტის ერთგულობით თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკა! ჩემის აზრით, საქართველო რეალობაა ისე, როგორც თვით ქართველი ერი, რომელსაც ის უკავია მტკიცეთ (მე აქ სახეში არ ვღებულობ თავად-აზნაურობის იმ გაკოტრებულ ნაწილს, რომელიც უცხოელებზე ყიდის „თავის“ მამულ-დედულს), აქედან ჩემი გეგმაც: საქართველოს თვითმართველობა...

ბ) ბენერალური გამიჯვნა მარჯვნით.

მე ვიცი, აქ სიტყვას გამაწყვეტინებს ან., და თანასწორობის ხაზს გაუსობს ჩენსა და ფედერალისტებს შორის. რამდენათ სამართლიანია ეს?

წინა თავში მე ხაზი გაუსვი იმ გარემოებას, რომ ანმა თავის შრომაში სწორათ დასახა საბაასო საგანი— ერის დამოკიდებულება სახელიწიფოსთან—, მაგრამ ჩქარა გვერდი აუხვია მას და გამოუდგა იმის გარკვევას, თუ რა დამოკიდებულებაა ერსა და ტერიტორიას შორის. მე ეს შემცდარ ნაბიჯად მივიჩნიე და განვაცხადე, ტერიტორიის ერის ბინადრობის მიხედვით გამიჯვნა ფაქტის საკითხია მეთქი. თუ ქართველ ერს არა აქვს საკუთარი ტერიტორია, ვერც ფედერალისტები გააჩენენ მას, აქედან ისინი ადრე თუ გვიან იძულებული იქნებიან აღიარონ თავიანთ მოთხოვნის უნიადაგობა. მაგრამ ამაში როდია, ან უკეთ, აქ როდია ჩვენი და ფედერალისტების უთანხმოების სიმძიმის ცენტრი.

ნათქვამის ნათლათ წარმოსადგენათ დავუშვათ ერთ წუთს, რომ ჩვენ ვეთანხმებით ფედერალისტებს საქართველოს ეროვნულ მთლიანობაში და ამიტომ მათთან ერთათ მოვითხოვთ მის თვითმართველ ერთეულად გამოცხადებას. ანიც ხომ ამბობს თავის შრომაში, რომ, თუ ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზედ რომელსამე ერის 85% ბინადრობს, მაშინ მას აქვს უფლება მოითხოვოს ამ ტერიტორიის ცალკე გამოყოფა,—მაშ ასეთი დაშვება არაფერს არაბუნებრივს არ შეიცავს. როგორ ფიქრობთ, მოისპობოდა თუ არა ამ შემთხვევაში ყოველივე დავა ჩვენსა და ფედერალისტებ შორის **ეროვნულ** პროგრამის გარშემო? რასაკვირველია, **არ მოისპობოდა.** უთანხმოება ჩვენს შორის გაცილებით უფრო ღრმაა, ვინემ ტერიტორიის ზედაპირი. საქართველოს ერთეული კიდევ არაფერს სწყვეტს თავის თავათ, საჭიროა ვიცოდეთ, **რა დამოკიდებულება არსებობს ამ ერთეულსა და სახელმწიფოს შორის**—აი კითხვა, რომელზედაც ჩვენ და ფედერალისტები სულ სხვადასხვა პასუხს ვიძლევით.

ნამდვილი **პრინციპიალური** დავა, თუ გნებავთ, სწორეთ აქ იწყება.

ანმა კი სხვაგვარ შეხედა საგანს. მან კიდევ 1912 წ. გამოაცხადა („ძველი და ახალი"), რომ ცენტრალიზაცია—დეცენტრალიზაცია **ტაქტიკის** და არა პრინციპის საკითხიაო. საინტერესოა, რომ თანამოაზრეებმა არც კი მიაქციეს ამ ძირითად შეცდომას ჯეროვანი ყურადღება. გამოდის, ამ გვარათ, რომ მარქსისტი შესაძლებელია ერთ შემთხვევაში ცენტრალისტი იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში—დეცენტრალისტი! და ეს სრულიად ბუნებრივია, თუ ანს დავუჯერეთ, რადგან ტაქტიკა, ბებელის თქმის არ იყოს, ყოველ 24 საათში შეიძლება შეიცვალოს, პრინციპი კი არა.

მაშ რას ვედავებოდით ამდენ ხანს ფედერალისტებს, რაზე ვხარჯავდით ამდენ მელანს და ქაღალდს, თუ ეს მუხლი მართლა არ წარმოადგენდა იმ წერტილს, საიდანაც იწყებოდა ყოველთვის ჩვენი პრინციპიალური უთანხმოება? მაშ რას ვუმტყუნებდით ლ. დარჩ.-ს, როცა მან დეცენტრალიზაცია მარქსიზმის უკანასკნელ სიტყვად გამოიტანა?

ღირს ამაზე შეჩერება.

ჩვენ ვაღიარებთ ცენტრალიზმს, ფედერალისტები კი დეცენტრალიზმს. ეს ორი შეურიგებელი პრინციპი ლოღიკური დასკვნაა თვით ჩვენი და ფედერალისტების ორ შეურიგებელ მსოფლმხედველობისა. მე არას ვიტყვი ჩვენი უთანხმოებაზე ფილოსოფიაში (მატერიალიზმი, იდეალიზმი), საკმარისია გავიხსენოთ მარტო ის ღრმა განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენს შორის საზოგადოებრივ ცხოვრების დაფასებაში.

კაპიტალიზმს ახასიათებს წარმოების განსაზოგადოებრივობა, ერთის მხრით, და საწარმოო ძალთა უმცირესობის ხელში დაგროვება, მეორეს მხრით. ეს ძირითადი მიდრეკილება თანამედროვე ცხოვრებისა გამოიხატება არა მარტო შრომის განაწილებაში, ტეხნიკის გაუმჯობესობაში ან დამზადებულ ნივთების ზრდაში, არამედ იმაშიც, რომ მთელი ეს პროცესი რაც შეიძლება **მეტ სივრცეს** იკავებს, რაც შეიძლება **მეტ ხალხს** ითრევს საერთო ფერხულში. მოქალაქეთა ურთიერთი დამოკიდებულება და მიმოსვლა, რაც დღე გადის, უფრო და უფრო რთულდება, მჭიდროვდება; მათი ეკონომიური ინტერესები ისეა ერთმანეთზე გადაკინძული, რომ შეუძლებელია და საზარალო მათი ერთმანეთისგან გამოთიშვა, დაქსაქსვა. ხოლო რაც ცხოვრებაში ხდება, იმას აწესრიგებს ფორმალური უფლებაც: ცენტრალიზაცია ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაში იწვევს ცენტრალიზაციას პოლიტიკაშიც. ცენტრა-
სცემს კანონებს, რომელიც თანაბრათ ეხება ყველას, გა-
ნურჩევლათ ეროვნებისა და რწმენისა... აი, მოკლეთ ის
მთავარი აზრები, რომლითაც ხელმძღვანელობს მარქსის-
ტი-ცენტრალისტი. სულ სხვაგვარ მსჯელობს ფედერა-
ლისტი. ის არ ცნობს კაპიტალიზმის იმ ორ ძირითად
მიდრეკილებას, რომელზედაც ცოტა ზევით მქონდა ბა-
ასი. წვრილი წარმოება, მისი აზრით, სასტიკ მეტოქობას
უწევს მსხვილ წარმოებას და ხშირათ იმარჯვებს კიდეც
მასზე. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სამოქმედო ას-
პარეზი ერთომ ვიწროა, დამოკიდებულება მოქალაქეთა
შორის სუსტი და შემთხვევითი, ეკონომიური ინტერესე-
ბი უფრო ანცალკევებს მათ, ვინემ აერთებს. სახელმწი-
ფო შესდგება მრავალ ისეთ კუთხისაგან, რომელიც სა-
თითაოთ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, აქვს განსაკუთ-
რებული ეკონომიური ინტერესები და მოითხოვს განსა-
კუთრებულ კანონებს ამ ინტერესების დასაცავათ... ერთი
სიტყვით, დეცენტრალიზაცია როგორც ეკონომიაში, ისე
პოლიტიკაში—აი, ფედერალისტების ძირითადი დებუ-
ლება.

ამ საზოგადო გამიჯვნის შემდეგ ადვილი გასარჩე-
ვია ერთმანეთისგან ჩვენი და ფედერალისტების შეხედუ-
ლება იმაზე, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს
სახელმწიფოსა და რომელსამე თვითმართველ კუთხის
შორის. გარჩევა ყველაზე წინ გამოიხატება მეთოდში:
ჩვენ გამოვდივართ მთელიდან, ფედერალისტები კი ნაწი-
ლიდან; ამა თუ იმ კუთხეში ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოს
ორგანიულ ნაწილს, მაშინ როდესაც, ფედერალისტების
წარმოდგენით, თვით სახელმწიფო რამდენსამე ერთი მეო-
რესთან **ოდნავ** შეკავშირებულ ნაწილისგან შესდგება. რა
შედეგი მოჰ.ყვეს ამას? ფედერალისტები აკისრებენ

ცენტრს წარმომადგენლობას საზღვარ გარეთ (დიპლომატია), ტერიტორიის დაცვას გარეშე მტრისაგან (ჯარი), წარმოება-ვაჭრობის დაცვას უცხოელთა კონკურენციისაგან (ბაჟები, ხელშეკრულებანი, საკონსულონი); ხოლო რაც შეეხება შინაურ მოქალაქობრივ ცხოვრებას, ცენტრი არ ერევა ამაში, თვითეული კუთხე თავის ნებაზე აწესრიგებს მოქალაქეთა უფლებრივ დამოკიდებულებას ყოველ დარგში, ე. ი. ის საზღვრავს კერძო საკუთრების სფეროს (სამოქალაქო უფლება), იცავს იმავ კერძო საკუთრებას ძალმომრეობისაგან (სისხლის სამართლის უფლება), ერევა შრომა და კაპიტალის დავაში (სოციალური კანონდება). გამოდის, ამ რიგათ, რომ ფედერალისტები ცნობენ მარტოოდენ **მოვალეობას** (დაცვა გარეშე ძალთაგან), ხოლო რაც შეეხება **უფლებას**, ცენტრი მოკლებულია მას მოქალაქეთა მიმართ. სულ სხვაგვარ ვუყურებთ ჩვენ საგანს. სახელმწიფო, ჩვენის წარმოდგენით, ან არსებობს, ან სულ არ არსებობს. წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა, თუ ის მოკლებულია მის მთავარ ფუნქციებს, ე. ი. თუ ის არ განსაზღვრავს სუვერენულათ ქვეშემრდომთა როგორც პოლატიკურ, ისე მოქალაქობრივ უფლებებს. სახელმწიფო მარტო იმისთვის როდია მოვლენილი, რომ უყარაულოს ტერიტორიას, ის მოწოდებულია, გარდა ამისა, შექმნას ისეთი უფლებრივი პირობები, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ყოველმხრივ აღორძინებას. ეს კი გამოიხატება ქვეშემრდომთა სრულ თანასწორობაში კანონის წინაშე, ერთის მხრით, და თვით კანონის ერთგვარობაში, მეორეს მხრით. არ შეიძლება სრულ თანასწორობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ადამიანი სხვა და სხვა კუთხეში სხვა და სხვა კანონს ემორჩილება: რისი უფლება აქვს მას ერთ კუთხეში, ის არ შეუძლია განახორციელოს მეორე კუთხეში, რაც აქ ნებადართულია მისთვის,

ის აკრძალულია იქ და სხ. თუ ჩვენი ძირითადი დებულება მართალია, რომ კაპიტალიზმი ადრე თუ გვიან ყველგან ერთგვარ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობას აბატონებს, მაშინ აუცილებელია და დიდათ სახეირო, რომ ამ ურთიერთობას საზღვრავდეს და აკანონებდეს ცენტრი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია მივიღოთ ერთნაირი კანონი და ერთნაირი წესი მისი ცხოვრებაში გატარებისა. მაშასადამე, კანონმდებლობა ზევით დასახელებულ სამ დარგში, ჩვენის აზრით, უნდა დაეკისროს ცენტრს.

ჩვენ ვამჩნევთ ცხოვრებაში ინტერესთა კონცენტრაციას. კლასი მყვლეფელი და კლასი გაყვლეფილი ცალ-ცალკე ირაზმება არა მარტო რომელსამე ერის შიგნით, არამედ მის გარეთაც. ეს პროცესი, რაც დრო გადის, მით უფრო ინტესიური ხდება. საბოლოო მიზანი, რომელიც დაუსახავს პროლეტარიატს, მისსია, რომელიც მას აქვს ისტორიულათ დაკისრებული, მოითხოვს ყოველგვარ ხელოვნურ საზღვრების გაუქმებას. პროლეტარიატი იბრძვის **სრულ** და არა მარტო ეროვნულ ემანსიპაციისათვის, ამისათვის კი აუცილებელია განუყოელი კავშირი **ყველა ერთა** შრომის შვილთა შორის. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი კავშირი მრავალ-ერიან სახელმწიფოში, სადაც ერთობ გაძნელებულია წმინდა კლასობრივი ბრძოლა. ნუ დაივიწყებთ, ეს კავშირი უკვე არსებობს ყველა ერთა **გაბატონებულ** კლასთა შორის. ისინი ყველა დგანან არსებულ საზოგადოებრივ წყობილების ნიადაგზედ და საერთო ძალით ებრძვიან ამ წყობილების მტერთ. რასაკვირველია, ეს არ უშლის მათ ერის კეთილდღეობაზე ილაპარაკონ, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს საქმე და არა ლიტონი სიტყვა. ამ რიგათ, ვინაიდან მოპირდაპირე კლასთა ცალ-ცალკე დარაზმვა ისტორიულ აუცილებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას წარმოადგენს, ჩვენ არ შეგვიძლია არ მივემხროთ **ერთნაირ** უფლებრივ კალაპოტის შექმნას **ყველგან**, ე. ი. სახელმწიფოს მთელ სივრცეზედ.

როცა ფედერალისტები მოითხოვენ თვითეულ კუთხისათვის კანონმდებლობას სამოქალაქო და სოციალურ დარგებში, ამით ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფოს აჭრელებას უფლებრივათ, რაიც თავის მხრით ასუსტებს კავშირს სხვა და სხვა კუთხის მშრომელ მასსის შორის, ადუნებს მის მაჯის ცემას. ამიტომ ეს მოთხოვნა უკუგდებულ უნდა იქნას, როგორც რეაქციონული. წარმოიდგინეთ ერთ წუთში, რომ მუშათა დაზღვევა ავათმყოფობისაგან, დახიჩრებისაგან, მოხუცებულობისაგან, უმუშევრობისაგან დავალებული აქვს არა ცენტრალურს, არამედ თვითეულ კუთხის პარლამენტს. ასეთ ვითარებაში, თავის თავათ მისახვედრია, ერთი კუთხის მუშა არაა **პირდაპირ** დაინტერესებული იმაში, რაც შეორე კუთხეში ხდება, თვითეული კუთხე მიტოვებულია თავის ანაბარა; რამდენიც კუთხეა, იმდენია დამზღვევი კამპანია, აქედან იმდენია თვით ბრძოლის ტაქტიკაც... რაღა გავაგრძელო, არაა საერთო ასპარეზი, არაა ამიტომ არც საერთო და მწყობრი გამოსვლები. შედეგი ცხადია: მუშები ვერც ერთ კუთხეში ვერ ელირსებიან ნამდვილ და გამოსადეგ დაზღვევას. ეს ერთი მაგალითია მრავალ სხვებიდან, რომელიც ნათლათ გვიჩვენებს, თუ რამდენათ დაშორებული ვართ ჩვენ და ფედერალისტები ერთმანეთისაგან პრინციპიალურათ. ჩვენ გამოვდივართ განსაზღვრულ, სახელდობრ მუშათა კლასის ინტერესებიდან, მაშინ როდესაც ისინი სულაც კი უარყოფენ კლასობრივ თვალთსაზრისს; ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს დროშის ქვეშ ქართველ დემოკრატიას, მაშინ როდესაც ისინი ეპოტინებიან მთელ ქართველობას, განურჩევლათ წოდებისა და

სოციალურ მდგომარეობისა... ერთი სიტყვით, ჩვენა გარეთ სოციალიზმის მიმდევარნი, ისინი კი ნახევარ დროს თავიანთ მოღვაწეობისა „სოციალისტთა-ჭამიობას“ ანდომებენ. ტყუილა კი არ ამბობენ, რომ ფედერალისტთა უპირველესი შემაკავშირებელი ძაფი არის **სიძულვილი** დასელთა მიმართ!

ამ რიგად, ძირითადი განსხვავება ჩვენი და ფედერალისტების ეროვნულ პოზიციისა სუფევს პრინციპების სფეროში და არა უბრალო ფაქტის აღიარებაში: ფარავს თუ არა ქართველი ერი საქართველოს და საქართველო ქართველ ერს. თავი და თავი, ჩემის აზრით, ის კი არ არის, მოითხოვენ თუ არა ფედერალისტები საქართველოს ცალკე გამოყოფას, არამედ ის, **რას გულისხმობენ ისინი ამ გამოყოფილ საქართველოში.** თვითონ ანმა განაცხადა ამას წინათ თავის „ჟურნალისტის შენიშვნებში“, რომ ჩვენს ბანაკშიც არიან ისეთები, ვინც აღიარებს საქართველოს ცალკე გამოყოფის საჭიროებას, მაშასადამე, ეს მოთხოვნა არ არის ფედერალისტების პოზიციის სპეციფიური ანუ ნიშნობრივი მხარე. რას გულისხმობენ ისინი გამოყოფილ საქართველოში? **სახელმწიფოს.** ამას გვიმოწმებს ყველაზე წინ მათი სახელწოდება: ფედერაცია მოასწავებს სახელმწიფოთა კავშირს. რუსეთი საზოგადოთ და ამიერ-კავკასია კერძოთ უნდა დაიყოს რამდენსამე სახელმწიფოდ; თვითეული სახელმწიფო, რამდენათ კითხვა **შინაურ** პოლიტიკას ეხება, აღჭურვილ უნდა იქნას სუვერენულ ძალა-უფლებით,—აქედან საქართველო, ფედერალისტების წარმოდგენით, ერთ-ერთ მოკავშირე სახელმწიფოდ უნდა გარდიქმნას. ეს არის, ასე ვთქვათ, ფორმალური განსაზღვრა ფედერალისტების ეროვნულ პროგრამისა; ხოლო რაც შეეხება შინაარს, ამაზე მე უკვე მქონდა ბაასი: ფედერალისტები ხელიდან

აცლიან ცენტრს სახელმწიფო მართველობის სამუშნი-
შვნელოვანეს დარგს და გადააქვთ ისინი თვითმართველ
საქართველოს კომპეტენციაში. პრინციპი, რომელითაც
ხელმძღვანობენ ფედერალისტები, არის, როგორც დავი-
ნახეთ, წვრილ-ბურჟუაზიული, რეაქციონული. განწყობი-
ლება ცენტრსა და პერიფერიებ შორის მათ აქვთ წარ-
მოდგენილი, როგორც მტრული, შეურიგებელი; იმის მა-
გიერ, რომ ერთმანეთს შეუთანხმონ საერთო და ადგი-
ლობრივი ინტერესები, ისინი ანაცვალებენ პირველთ
მეორეთ; მათ თვალში უვარდებათ ის, რაც ანცალკე-
ვებს, ანსხვავებს საქართველოს რუსეთისგან, კერძოთ
ამიერ-კავკასიისაგან, ხოლო ვერ ამჩნევენ იმას, რაც აერ-
თებს მათ, ამისათვის მათი ჰორიზონტი ერთობ ვიწროა;
ისინი განზე დგანან დიდი შარა-გზისგან, რომელიც მი-
გვაქანებს საკაცობრიო მიზნისაკენ და ამიტომ ზედმეტათ
თვლიან სახელმწიფოსა და ცალკე კუთხის შორის ისეთ
დამოკიდებულების დამყარებას, რომელიც წინ სწევს,
აძლევს სიმკვირცხლეს და ძალას შრომის შვილთა საერ-
თო გამოსვლებს...

შემცდარია ანის აზრი, თითქო ცენტლალიზმი ტაქ-
ტიკის კითხვა იყოს ჩვენთვის. არა, ის არის პრინციპი,
გამომდინარე თვით ჩვენი მსოფლმხედველობიდან. ფე-
დერალისტები არ დააყოვნებენ თავისებურათ განმარ-
ტონ ეს წინადადება. ისინი ხომ სულ იმას გვიკიჟინებენ,
რომ ჩვენ ვიცავთ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს, ოპე-
კას! სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სრული დემოკრა-
ტიზაცია, რომელსაც ჩვენ ველტვით, მათ ბიუროკრატი-
ულ ცენტრალიზმად ელანდებათ! ნუ გამოუდგებით ამ
გალიმატიას. ჩვენ ცენტრალისტები ვართ, მართალია,
მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ჩვენ
სახეში არ ვღებულობთ რუსეთის თვითეულ კუთხის თა-

ვისებურებას, ჩვენ სერიოზულ ანგარიშს ვუწევთ მას და მოვითხოვთ კიდეც განსაკუთრებულ უფლებრივ გარანტიებს: თვითეულ კუთხეს, რომელიც განირჩევა ცენტრალურ რუსეთისაგან ბუნებით, ენით, კულტურით და სხ., უნდა მიეცეს ფართე თვითმართველობა—აი, ჩვენი აზრი. წარმოუდგენელია სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია, თუ თვითეულ ასეთ კუთხეს არ მიენიჭა თვითმართველობა ადგილობრივ კითხვებში. ამიერ-კავკასია, მაგ., ერთ ასეთ თვითმართველ მთელს უნდა წარმოადგენდეს,

რამდენათ ადგილობრივი დაწესებულებებს მინდობილი ექნება საიმპერიო კანონების სისრულეში მოყვანა, იმდენათ ისინი ასრულებენ წმინდა **ადმინისტრატიულ** ფუნქციებს; ხოლო რამდენათ ისინი თვითონ კანონმდებლობენ განსაზღვრულ კომპეტენციის შიგნით, იმდენათ ისინი **პოლიტიკურ ფუნქციებს** ასრულებენ.

როგორც ხედავთ, დეცენტრალიზაციას დიახაც საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს სისტემაში. ჩვენ ვაღიარებთ ადგილობრივ საჭიროებათა ადგილობრივ ძალებით დაკმაყოფილების აუცილებლობას, მაგრამ ამან არ უნდა აგვიბნიოს გზა-კვალი. სახელმწიფო მოწოდებულია შექმნას ყველგან ერთნაირი უფლებრივი კალაპოტი, ადგი-

ლობრივი ინტერესების დაკმაყოფილებაც ამ საერთო უფლების ჩარჩოში უნდა ხდებოდეს.

სახელმწიფო ანგარიშს უნდა უწევდეს ადგილობრივ ინტერესებს, მაგრამ თვითეული კუთხეც ვალდებულია ანგარიში გაუწიოს საერთო ინტერესებს, საჭიროა მათი შეთანხმება და არა დაპირდაპირება.

8) მთავარი საფრთხე.

ამბობენ, თვითმართველ საქართველოში ძალზე გაღრმავდება ეროვნული უთანხმოება, შუღლი და დავიდარება იქ მობინადრე ერებ შორის უმწვერვალეს ხარისხს მიაღწევს... ერთი სიტყვით, ულტრა-ნაციონალიზმი და შოვინიზმი—აი მთავარი საფრთხე, რომელსაც იმარჯვებენ თანამოაზრენი და მათ შორის ანიც. საქართველო როგორც თვითმართველი ერთეული, დიდი ბოროტებაა **თავის თავათ**, ფიქრობს ან., და ამიტომ დიდის ენერგიით იბრძვის, რომ თავიდან აგვაცილოს ეს მწარე ფიალა.

სამწუხაროო, უნდა შევნიშნო, რომ ან. ამ შემთხვევაში მეტ ერთგულობას გვიწევს, ვინემ საჭიროა. მართლაც, ის ებრძვის ფედერალისტების მიერ დასახულ საქართველოს თვითმართველობას და გონია, რომ ამით მან დაამტკიცა ყოველგვარ სხვა თვითმართველობის უვარგისობა იმავ საქართველოსთვის. ანისათვის არსებობს ერთათ ერთი განმასხვავებელი კრიტერიუმი—ტერიტორია, აქედან, მისი აზრით, ვინც აღიარებს საქართველოს თვითმართველობას **სულ ერთია, რა სახისა და შინაარსის არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი**, ის ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს ნაციონალიზმ-შოვინიზმის გაძლიერებას და კლასობრივ ბრძოლის შესუსტებას. რო-

ცა განსხვავება ჩვენსა და ფედერალისტებ შორის ახლ მარტივათ არის წარმოდგენილი, მე ვშიშობ მართალი არ გამოდგეს „თემის“ რედაქცია, რომელიც დღე მუდამ იმის ცდაშია, რომ ჩამოაგდოს ზავი „ორ დემოკრატიულ პარტიას შორის“!

მე სავსებით ვინაწილებ თანამოაზრეთა უდაო დებულებას, რომ ფედერალისტების თვითმართველობა, გარდა იმ სიდუხჭირისა, რომელზედაც ზევით მქონდა ბაასი, მართლაც მოასწავებს ეროვნულ კოლონის გაჩაღებას, მის ჩაქრობის ან დანელების მაგიერ. (მე სახეში არა მაქვს, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ფედერალისტის კეთილი განზრახვანი, ანგარიშს ვუწევ მხოლოდ ისტორიულათ აუცილებელ შედეგს, რომელიც უნდა მოჰყვეს მათი იდეალის განხორციელებას). მაგრამ რა შუაშია აქ ტერიტორია? საქართველო, როგორც ასეთი, არავის არ უქადის განადგურებას, ის არ აღვივებს თავის თავათ ეროვნულ შუღლსა და დავიდარებას. მაშასადამე, ჩვენ ვებრძვით და უნდა ვებრძოლოთ არა მთლიან საქართველოს, როგორც ასეთს, არამედ იმ იურიდიულ ფორმას, რომელშიდაც უნდათ ფედერალისტებს გამოსჭედონ ეს მთლიანობა. ჩვენ უკვე ვიცით, რა ტიპისაა ფედერალისტების თვითმართკელობა, აქედან ვიცით ისიც, რა იურიდიულ ფორმას ელტვიან ისინი. საქართველო, მათის აზრით, უნდა გარდიქმნას სახელმწიფოდ, რას ნიშნავს ეს კონკრეტიულათ? იმას, რომ საქართველოს ბურჟუაზიული წარმომადგენლობა აღჭურვილი იქნება უფლებით თავის ნებაზე გადასჭრას მცხოვრებთა ბედიღბალი: ერთს ასწევს, მეორეს დასწევს, ერთს ააშენებს, მეორეს დააქცევს... ნუ დაივიწყებთ, ფედერალისტებს შეაქვთ საქართველოს წარმომადგენლობის კომპეტენციაში კანონმდებლობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროში,—აქედან მას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლობას, ეძლევა სრული საშუალება, მაგ., მთლათ ან ნაწილათ შეზღუდოს ამა თუ იმ ერის შვილთა ფლება **კერძო საკუთრებაზე**, მოაკლოს მათ კანონის მფარველობა ყოველ-დღიურ ბრძოლაში ლუკმა პურისათვის. რუსეთში, სადაც კანონს გარეშე არიან ამ მხრივ დაყენებული ებრაელები, რამდენათმე პოლონელები, მეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, თუ რამდენათ სახიფათოა ასეთი ექსპერიმენტები. კერძო საკუთრება, უფლება ყიდვა-გაყიდვისა და მქონებლობისა არის ქვაკუთხედი თანამედროვე ცხოვრებისა, და თუ მთელი ეს რიგი ეკონომიურ დამოკიდებულებათა განსაზღვრა მიანდევით ადგილობრივი წარმომადგენლობას, მაშინ ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ ამ ნიადაგზედ გაჩაღდეს დაუსრულებელი ნაციონალისტური აურ-ზაური. აურ-ზაური, რომელიც მართლაც შეასუსტებს და დააბრკოლებს ყველა ერთა მშრომელ მასსის კლასობრივ შეგნებას და სხ.

მე სრულიად ვეთანხმები ანს, როცა ის ამბობს: „ჩვენ ვებრძვით ტერიტორიას იმდენათ, რამდენათ ის გულისხმობს ბატონობას, ე. ი. **„ჩვენ ვებრძვით პრინციპს ბატონობისას და არა სამშობლო ტერიტორიას“**. (ხაზი ჩემია) ან კიდევ რა ითქმის ანის შემდეგი სამართლიან სიტყვების წინააღმდეგ: „ინტერნაციონალისტებს სურთ ტერიტორიაზე ერთი ნაციის ბატონობა მოშალონ. ნუ იქნება ნურც მპყრობელი ერი, ნურც მორჩილი, მათ შორის უნდა მოხდეს სრული გათანასწორება და მით უზრუნველ იქნას თვითეულ ერის კულტურული განვითარება“, დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, ჩვენ ბატონობის წინააღმდეგი ვართ, გვინდა მოვუსპოთ ერთი ერის გაბატონებულ კლასებს საშუალება დაიჭაბნოს მეორე ერი, ვიბრძვით ყველა ერის უფლებრივ თანასწორობისათვის და არა რომელსამე მათგანის პრივილეგიებისათვის. სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ ამისათვის და არა სხვა რამისათვის ვებრძვით ჩვენ ფედერალისტების **სახელმწიფოებრივ** პრინციპებს, რომელიც წინდაწინვე გულისხმობს „ბატონობას“, „მპყრობელ და მორჩილ ერს“ და სხ.

ამ რიგათ, ან. მართალია მანამდის და იმდენათ, სანამდის და რამდენათ მისი უარყოფითი კრიტიკა ეხება ფედერალისტების ეროვნულ გეგმას; მაგრამ ის არ სჯერდება ამას და ლამობს ეს კრიტიკა გაავრცელოს მეორე გეგმაზედაც, რომელიც წამოყენებულ იქნა კიდევ 1908 წ. აი, რას ამბობს ის ამის შესახებ: „არიან ჩვენს თანამოაზრეთა შორის ისეთნი, **რომელთაც** გონიათ ამიერ-კავკასიის თვითმართველობა ნაადრევათ, **შეუფერებლათ და ამიტომ დასაგმობათ**, სამაგიეროთ ისინი აღიარებენ საქართველოს თვითმართველობას. როცა ამას ამბობენ ფედერალისტები, ისინი ლოგიკას მაინც არ ღალატობენ, მათ სურთ საქართველო გადააქციონ **სახელმწიფოებრივ** ერთეულათ და შიგ გააბატონონ ერთი ერი. ეს ტერიტორიალურ პრინციპიდან გამომდინარეობს. მარა როცა ამასვე იმეორებენ ამ სახელმწიფოებრივობის უარის მყოფელნი, ფართო თვითმართველობის და კულტურულ ავტონომიის მომხრენი, აქ ლოგიკა დარღვეულია“. (ხაზი ჩემია).

მე არ ვიცი, ვინ თვლიდა ამიერ-კავკასიის თვითმართველობას „შეუფერებლათ“ ან „დასაგმობათ“, ვიცი მხოლოდ, რომ იყო ერთ დროს გამოთქმული რამდენიმე მოსაზრება იმ სიძნელეთა შესახებ, რომელიც წინ ეღობება ამ გეგმის განხორციელებას. მართალია, ფედერალისტებმა ბევრი ეცადენ დემაგოგიურათ გამოეყენებიათ ეს მოსაზრებანი, მაგრამ მათ მაშინვე ვაეცა შესაფერი პასუხი და არ მეგონა, თუ ვინმე, ისიც ჩვენი ბანაკიდან, მოხვდებოდა ამ უშნოთ დაგებულ ბადეს. სჩანს, მე ვცდე-

ბოდი და თვით ანს დამართია ეს საჯაყი საქმე! არსებითათ ამ საგანს მე შევეხები მაშინ, როცა ან. უფრო კონკრეტიულათ და დასაბუთებულათ წამოაყენებს თავის ბრალდებას. ამ ჟამად კი საკმარისია პირდაპირ განვაცხადო, რომ ამიერ-კავკასიის თვითმართველობა **შესაფერიცაა და სასურველიც.** ეს სხვათა შორის.

ან. უწუნებს ლოღიკას იმათ, ვინც ემხრობა საქართველოს თვითმართველობას. დიდათ სამწუხაროა, რომ სწორეთ ან. ასე მსუბუქათ ეპყრობა არა თუ ლოღიკას, არამედ საკითხის არსებით მხარესაც. მან დაივიწყა ის, რაც თვითონვე თქვა: „ჩვენ ვებრძვით პრინციპს ბატონობისას და არა სამშობლო ტერიტორიას“,— ზევით მოყვანილ გრძელ ციტატიდან კი შეიძლება ისეთი დასკვნა გამოიყვანოს მკითხველმა, თითქო ან. ებრძვის არა „ბატონობას“, არამედ „სამშობლო ტერიტორიას“! მართლაც, გამოდის, თითქო ჩვენს დანიშნულებას შეადგენს ბრძოლა ერთეულ საქართველოს წინააღმდეგ მაშინაც კი, როცა ის **არ გულისხმობს** ბატონობას! თითქო მთელი ქართველი ერი, პირველ რიგზე, მშრომელი მასსა ყელამდე დაინტერესებული იყოს საქართველოს დაქსაქსულათ არსებობაში! რა თქმა უნდა, ასეთი უგუნური აზრი შეუძლიათ მოგვაწერონ ჩვენ მოპირდაპირეებმა, რასაც ისინი კიდეც სჩადიან დღე მუდამ დემაგოგიურის მიზნით, ნამდვილათ კი ერთიც არ მოიპოვება ჩვენს ბანაკში ისეთი, ვინც იზიარებდეს მას.

თვითონ ან. აცხადებს, რომ ისინი, ვინც „თანამოაზრეთა შორის“ არიან, უარყოფენ სახელმწიფოებრივობას და აღიარებენ თვითმართველობას,—ერთი მიბრძანეთ, სადაა აქ ულოღიკობა? ან იქნება ეს ზოგადათ გამოთქმული აზრი მაშინ იქცევა ულოღიკოდ, როცა მას ვუფარდებთ საქართველოს? გამოდის, ამ გვარათ, თვით-

მართველობა, თავისთავათ აღებული, არ გულისხმობს „ბატონობას“, მაგრამ საკმარისია, იგი მიეცეს საქართველოს, რომ მაშინვე წარმოშვას „ბატონობა“! მე ვთხოვ მკითხველს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ ადგილს, ანის და ჩემი უთანხმოების კვანძი სწორეთ აქ არის. ან., რამდენათ მე ვიცი, ამიერ-კავკასიის თვითმართველობის თავგამოდებული მომხრეა,—მაშ მე უფლება მაქვს დავუყენო მას შემდეგი კითხვა: თუ ამიერ-კავკასიის თვითმართველობა არ გულისხმობს „ბატონობას“, რატომ უნდა გულისხმობდეს მას საქართველოს თვითმართველობა? ესე იგი, არის თუ არა ანისათვის ლოგიკა ისეთივე სავალდებულო, როგორიც, მაგ., ჩემთვის? და თუ არის, რაშიდაც მე იქვიც არ მეპარება, მაშინ ის ვალდებულია ერთმანეთში არ გარიოს ფედერალისტების გეგმა, ერთის მხრით, და თანამოაზრეთა გეგმა, მეორეს მხრით. დროა ბოლო მოეღოს ამ ორ ერთმანეთთან შეურიგებელ გეგმის ერთ როდინში ნაყვას; დროა ვცნოთ, რომ ის, რაც ითქმის ფედერალისტების გეგმის წინააღმდეგ, არ ითქმის და **არც ეხება** თანამოაზრეთა გეგმას.

არ ეხება იმიტომ, რომ ფედერალისტები ერთეულ საქართველოში, თანახმათ თვით ანის განცხადებისა, გულისხმობენ **სახელმწიფოს**, მაშინ როდესაც მე მასში ვგულისხმობ **თვითმართველობას**. აიღეთ ახლა ამიერ-კავკასია და დაუშვით ერთ წუთს, რომ ვინმე ჩვენგანი თხოულობს მისი სახელმწიფოდ გამოცხადებას. რას ვიტყოდით ჩვენ ამ შემთხვევაში? იმას, რომ ეს ვაჟბატონი ფედერალისტია აზროვნებით და განსხვავდება მისგან მხოლოდ იმით, რომ ის სახელმწიფოებრივ პრინციპს ავრცელებს უფრო დიდ ტერიტორიაზე, ამიერ-კავკასიაზე. აქედან ცხადია, ჩვენ ვუშერთ მხარს ერთეულ ამიერ-კავკასიას იმდენათ, რამდენათაც ის **თვითმართველობითი** პრინ-

ციპის მატარებელია, რომ საქმე სხვაგვარ ყოფილიყო, ჩვენ უნდა გაგვეწია ისეთივე ბრძოლა ამიერ-კავკასიის თვითმართველობისათვის, როგორსაც ვუწევთ საქართველოს თვითმართველობა—სახელმწიფოს.

თქმულიდან შეიძლება ერთი დასკვნის გამოყვანა: **საქართველოს თვითმართველობა არ ეწინააღმდეგება არც ლოლიკურათ, არც პრინციპიალურათ ჩვენს ზოგად ეროვნულ პროგრამას.** და თუ ან. მაინც წინააღმდეგი არის საქართველოს თვითმართველობისა, მან უნდა დააშტკიცოს უკანასკნელის უსაფუძვლობა არა პრინციპების და ლოლიკის ძალით, **რაიც ყოვლად შეუძლებელია**, არამედ სხვა რამით.

ერთი ასეთი ვითომდა საბუთი მე უკვე დავასახელე—ეს ის, რომ საქართველოს თვითმართველობა გვიქადის მეტ ნაციონალისტურ ნგლრევას და აურ-ზაურს, ვინემ ამიერ-კავკასიის თვითმართველობაო. ნუ თუ მართალია ეს აზრი? **არა, არ არის მართალი.** ამიერ-კავკასია კიდევ უფრო აჭრელებულია ეროვნულათ, ვინემ საქართველო; პირველში გაცილებით უფრო დიდია განსხვავება ერთა შორის კულტურულათ და ეკონომიურათ, ვინემ მეორეში,—აქედან პირველში ნაციონალიზმ-შოვინიზმს უფრო მადლიანი ნიადაგი ექნება, ვინემ მეორეში... მაგრამ მე არ გამოვუდგები ამ მეტ-ნაკლებობას, ვთქვათ, იქაც და აქაც ერთი და იგივეა განწყობილება ერთა შორის; არ ვფიქრობ, ანმაც წავიდეს ამაზე შორს, შეუძლებელია დაუშვას მან, რომ საქართველო მეტ მასალას იძლევა ეროვნულ შუღლისათვის, ვინემ ამიერ-კავკასია! მაშ რაშია საქმე, რატომ ფიქრობს ან., რომ საქართველოს თვითმართველობა ქვეყნის დაქცევას მოასწავებს, ხოლო ამიერ-კავკასიის თვითმართველობა „კაცთა შორის სათნოებას“?!

იმიტომ, რომ მან თავდაპირველადვე გააკეთა შემცდარი ნახტომი, ასე რომ მისთვის ახლა სახიფათოა უკან გადმოხტომა. ან. ისე გაიტაცა ეგ. წოდ. ტერიტორიალურ პრინციპის წინააღმდეგ ბრძოლამ, რომ მას სრულიად დაავიწყდა სხვა ყველაფერი, ისიც კი, რომ ამიერ-კავკასიის თვითმართველობაც **ერთ მთლიან ტერიტორიას** გულისხმობს. სწორეთ ეს გულმავიწყობაა იმის მიზეზი, რომ ან. სრულიად გაუგებრათ საქართველოს ტერიტორიალურ თვითმართველობას ებრძვის, მაშინ როდესაც ის თავგამოდებით ექომაგება ამიერ-კავკასიის **ტერიტორიალურ** თვითმართველობას. ულოგიკობა იმასა ქვია, როცა ერთსა და იმავ დებულებიდან ორი სხვა და სხვა დასკვნა გამოგყავს. დებულება: ამიერ-კავკასიაში, ისე როგორც საქართველოში მრავალი ერი ბინადრობს; დასკვნა: ამიერ-კავკასიას საჭიროა მიეცეს თვითმართველობა, საქართველოს არა! ან კიდევ დებულება: თვითმართველობა კაი ხილია თავის თავათ; დასკვნა: ამიერ-კავკასიისათვის პირდაპირ გამკურნებელი დესერტია ეს ხილი, ხოლო საქართველოსთვის საწამლავი!

თუ ერთ შემოხვევაში მრავალი ერის ბინადრობა არ ყოფილა საკმარისი დაპრკოლება, რატომ უნდა ვთვლიდეთ მას მეორე შემთხვევაში გარდუვალ დაპრკოლებად? ანს რომ არ დავიწყნოდა ეს უბრალო რამე, მაშინ ის არ მიაკუთვნებდა სტატისტიკას, და ისიც ოფიციალურს, **გადამჭრელ** მნიშვნელობას; მაშინ ის მიხვდებოდა, რომ ის, რასაც ის ამბობს საქართველოს შესახებ, სავსებით შეიძლება ითქვას ამიერ-კავკასიის შესახებ. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავიმახსოვროთ: **სტატისტიკას, ე. ი. ეროვნულ შემადგენლობას მაშინ აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა, როცა იცავენ სახელმწიფოებრივ პრინციპს; მას ეკარგება ასეთი მნიშვნელობა, როცა სახეში**

აქვთ თვითმართველობითი პრინციპი. საქართველოს ეროვნულათ აკრელება, თუ გინდ ის ანისავით გაზვიადებულათ გვქონდეს წარმოდგენილი, არაფერს ამტკიცებს თავის თავათ, სანამ ჩვენ თვითმართველობითი ნიადაგს არ გავცილებივართ; ამიტომ საქართველოს თვითმართველობა კიდევ არ მოასწავებს ქართველი ერის გაბატონებას, მაგ., სომხის ერზე.

რას მოვითხოვთ ჩვენ ეროვნულ პროგრამისაგან? იმას, რომ მან ძირშივე მოუსპოს გაბატონებულ კლასებს **უფლებრივი** საშუალება დაიჯაბნოს რომელიმე ერი. თავი და თავი ამ შემთხვევაში არის არა ტერიტორიის სიდიდე ან სიცოტავე, არა ამიერ-კავკასია ან საქართველო, არამედ **კომპეტენცია.** თუ საქართველოს წარმომადგენლობას მივაკუთნეთ ის უფლება, რასაც აკუთვნებენ მას ფედერალისტები, მაშინ ჩვენ ორივე ხელით ვაძლევთ ქართველ ბურჟუაზიას უფლეირივ, ასე ვთქვათ, **ლეგალურ** საშუალებას დაიჯაბნოს სომხის ერი; თუ, პირიქით, ჩვენ არ ვცნობილობთ საქართველოს წარმომადგენლობის ასეთ ფართე უფლებებს და მხოლოდ თვითმართველობითი კალაპოტში ვსვამთ მას, მაშინ შეუძლებელია ქართველ ბურჟუაზიის **უფლებრივი** გაბატონება სომხის ერზე. არ შეიძლება „მყრობელ და მორჩილ“ ერზე ლაპარაკი იქ, სადაც თვით ერი არ არის მპყრობელი უზენაეს უფლებებისა, სადაც ადამიანის ძირითადი მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებების განმსაზღვრელი **ცენტრია.**

არის ერთი გარემოებაც, რომელიც ლაპარაკობს ხაქართველოს თვითმართველობის სასარგებლოთ. ან. დიდი მომხრეა კულტურულ-ეროვნულ თვითმართველობის, რაც მე დასაწყისშივე მივულოცე მას. მაშასადამე, თანახმად ამ პრინციპისა, სომხის ერს როგორც ამიერკავკასიაში, ისე კერძოთ საქართველოში, უნდა მიეცეს

სრული თვითმართველობა თავის კულტურულ საქმეებში. საქართველოს თვითმართველობიდან უნდა გამოიყოს არა მარტო სომხის, არამედ ყველა ერთა, **გარდა ქართველობისა**, კულტურული საქმეები და გადაეცეს თვითეულის ეროვნულ დაწესებულებებს. ამ რიგათ, ქართველი ერის გაბატონებულ კლასებს, გარდა სახელმწიფოებრივი იარაღისა, ხელიდან ეცლებათ თვითმართველობითი იარაღიც: მათ არ ექნებათ უფლება ჩაერიონ სომხის და სხვა ერების კულტურულ საქმეებში. არა მგონია ანმა სთქვას, რომ პრინციპი კულტურულ-ეროვნულ თვითმართველობისა იგეთივე კარგ ნაყოფს არ გამოიღებს საქართველოში, როგორსაც ის გამოელის მისგან ამიერ-კავკასიაში.

რა საკვირველია, ეს ვერ მოსპობს საქართველოში, ისე როგორც ამიერ-კავკასიაში, ყველა ერთა ბურჟუაზიის თანდაყოლილ ზნეს წაუსისინოს ერთი ერი მეორე ერს, გადაჰკიდოს ისინი ერთმანეთს. ანის შრომა, სამწუხაროთ, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, თითქო მისმა ავტორმა გამოხახა „ფილოსოფიური ქეა", რომელიც სპობს საბოლოოთ ეროვნულ ბრძოლას ამიერ-კავკასიაში. ასეთ ილიუზიებს დიახაც არ ინაწილებდა ის, ვინც პირველათ წამოაყენა ჩვენში კულტურულ-ეროვნული თვითმართველობის იდეა. უკანასკნელი უებარი საშვალებაა ნაციონალიზმ-შოვინიზმთან საბრძოლველათ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია მთლათ გააუქმოს თანამედროვე ცხოვრების ერთი ძირითადი მოვლენა: ბრძოლა ბურჟუაზიისა **ეროვნულ ბატონობისათვის**. ნუ დაივიწყებთ, ამ მოვლენის საფუძველი ეკონომიაში მარხია, ბურჟუაზია იმარჯვებს ეროვნულ დროშას **თავის კლასობრივ პოზიციის განსამტკიცებლათ**; ამ თვალთმაქცობას და დემაგოგიას ჩვენ მხოლოდ მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალწევთ თავს, როცა მას ფეხიდან გამოვაცლით ეკონომიურ საფუძველს. ამიტომ ამა თუ იმ ეროვნულ გეგმას ჩვენ უნდა ვერიდოთ მივაწეროთ მეტი მნიშვნელობა, ვინემ მას აქვს ნამდვილათ.

დ) ეკონომიური თვალთსაზრისი.

ანს მოყავს მეორე საბუთიც საქართველოს თვითმართველობის წინააღმდეგ. ის ამბობს: „ამათ, ე. ი. ვინც საქართველოს თვითმა' თველობას ექომაგება, პირველ ყოვლისა უნდა დაამტკიცონ ის, რომ საქართველო ეკონომიური მთელია, რომ ის ამიერ-კავკასიისგან გამოყოფილი ეკონომიურათ თავისი ღონით განვითარდება, ამის დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია". ან. მკაფიოთ სვამს მეორე ადგილას კითხვას: „საქართველო წარმოადგენს თუ არა ერთ ეკონომიურ ორგანიზმს?"—და გადაჭრით უპასუხებს: „არა, არ წარმოადგენს".

ეს საბუთი პირველ შეხედვით ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქო მასთან გამკლავება „ყოვლად შეუძლებელი" იყოს. ჩვენ, მარქსისტები, ეკონომიურ თვალთსაზრისს მართლაც უპირველეს ადგილს ვუთმობთ, მაგრამ ეს კიდევ არ გვანთავისუფლებს იმ ელემენტარულ მოვალეობისაგან, რომ ის გამოვიყენოთ შესაფერ დროს და შესაფერ ადგილას. სანამ ან. ებრძოდა ფედერალისტების თვითმართველობას, ის ვალდებული იყო წამოეყენებია ეს საბუთი. (რა თქმა უნდა, მან რამდენათმე გადაცდა ზომას ამ მხრივ, ვინაიდან ფედერალისტებს მიაწერა ბაჟების დაწესების მომხრეობა საქართველოს საზღვრებზე, რაიც, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ამოფხეკილია მათი უკანასკნელ პროგრამიდან). მკითხველს

ალბათ ახსოვს, რომ იქ, სადაც ვარკვევდი ჩვენსა და ფედერალისტების ეროვნულ პოზიციას, მე საკმაო ნათლათ დავამტკიცე, თუ რამდენათ შეუსაბამოა ფედერალისტების პროგრამა საქართველოსთვის სწორეთ **ეკონომიურის** თვალთსაზრისით. საქართველოს სახელმწიფოებრივობა, მასზე სამოქალაქო და სოციალურ კანონდებების დაკისრება ეწინააღმდეგება ერის ეკონომიურ განვითარებას; საქართველოს ეკონომიური განვითარება მჭიდროთ არის დაკავშირებული ამიერ-კავკასიის, მთელი რუსეთის ეკონომიურ განვითარებასთან. ეს საანბანო რამ ავიწყდებათ ფედერალისტებს, ალბათ იმიტომ, რომ ისინი გახვეულ არიან გასულ საუკუნოებუს ბურუსში და სათანადო ანგარიშს ვერ უწევენ საამდროვო კითხვებს.

მაგრამ, როცა ან. **ამავე** საბუთს იმარჯვებს საქართველოს **თვითმართველობის** წინააღმდეგ, მე განცვიფრებული ვარ. თვითმართველობა, ანის აზრით, მოასწავებს საქართველოს ეკონომიურათ გამოყოფას ამიერ-კავკასიისაგან! საიდან გამოიყვანა მან ეს დასკვნა? ალბათ იქიდანვე, საიდანაც ყველა სხვა დასკვნები! პირდაპირ სავალალოა, რომ ტერიტორიის საკითხმა ამდენი გაუგებრობა დაბადა ანის შრომაში. ნუ ,ოუ არ იცის ანმა, რომ პრინციპი თვითმართველობისა, როგორც ეს გვესმის არამცთუ მე, არამედ **თვითონ მასაც**, დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ყოველგვარ კარჩაკეტილობას როგორც პოლიტიკურს, ისე უფლებრივს? თავის თავათ მისახვედრია, თვითმართველი საქართველო ღია უნდა დარჩეს **ყველასათვის და ყველაფრისათვის**, ე. ი. მის საზღვრებზედ არ უნდა აიმართოს არავითარი კედელი როგორც ადამიანთა მიმოსვლის, ისე საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვის შემზღუდველი. ქართველი ერი ყელამდე დაინტერესებულია, როგორც ამას თვითონ ან. ამბობს, რომ მას არ შეეზღუდოს უფლება თავისუფალ მი-

მოსვლისა მის სამშობლოს გადაღმა, აქედან მას არ შეუ-
ძლია, ოავის მხრით, სხვასაც აუკრძალოს საქართველო-
ში მიმოსვლა. პრინციპი თვითმართველობისა არ შეი-
ცავს არც საქართველოს ქვეშემრდომობას, არც განსა-
კუთრებულ ქართულ უფლებას,—აქედან თვითეული ახ-
ლათ ჩამოსახლებული ისეთივე უფლებრივ პირობებში
ვარდება საქართველოში, როგორიც ბატონობს მთელს
რუსეთში. მეტსაც ვიტყვი. დემოკრატიული პრინციპი,
რომლის მომხრე ჩვენა ვართ, თავის თავათ გულისხმობს
აგრეთვე იმასაც, რომ თვითეულ ახლათ ჩამოსახლებულს
ეძლევა **თანასწორათ** ძირეულ მოსახლეებთან სრული უფ-
ლება მონაწილეობა მიიღოს როგორც საქართველოს, ისე
მის ნაწილების თვითმართველობაში.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ აქვს ანს წარმოდ-
გენილი ამიერ-კავკასიის თვითმართველობა. შეიძლება,
მისი აზრით, ეს თვითმართველობა ამიერ-კავკასიის **ეკო-
ნომიურათ** რუსეთისაგან გამოყოფას მოასწავებს! ასეთი
ფარცაკი რამ არც ერთს თანამოაზრეს არ უფიქრია, არა
მგონია, რომ ან. ექომაგებოდეს მას. როცა ვამბობთ, ად-
გილობრივი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ ადგილობ-
რივი ორგანოებია აუცილებელიო, ეს კიდევ არ ნიშნავს,
რომ ჩვენ ცენტრისაგან ეკონომიური გამოცალკევების
მომხრე ვართ,—ეს ორი დებულება ისე განსხვავდება
ერთი მეორისაგან, როგორც ცა დედა-მიწისაგან. მაშ
რა უფლებით აწერს ან. საქართველოს თვითმართველო-
ბის დამცველთ საქართველოს ეკონომიურათ ამიერ კავ-
კასიისგან გამოცალკევების მომხრეობას? თუ ეს უტოპიუ-
რი აზრი არ მოგვსლია ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის მი-
მართ, რატომ მანდამაინც საქართველოს მიმართ უნდა
მოგვსლოდა ის? ან იქნება ვინმე ჩვენგანი ფიქრობს,
რომ საქართველო ეკონომიურათ უფრო დიდათ განსხვავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება დანარჩენ ამიერ-კავკასიისაგან, ვინემ უკანასკნელი რუსეთისაგან? ეს ხომ სინამდვილის, მთელი ისტორიის თავდაყირა დაყენება იქნება!

მე მახსოვს, ლ. დარჩ. იყო პირველი თანამოაზრეთა შორის, რომელმაც მიუთითა, თუმცა ძლიერ ბუნდოვნათ და გაუბედავათ, საქართველოს საბაჟო პალოებით შემოკავების საჭიროებაზე; მახსოვს ისიც, რომ მას მოახსენეს ჩვენი ბანაკიდან, რომ ის მეტის ერთგულობით უფრო შორს მიდის, ვინემ თვით ფედერალისტები. სწორეთ მარქსისტული მსოფლმხედველობა გვავალებს ჩვენ ანგარიში გავუწიოთ თანამედროვე ცხოვრების ერთ ძირითად მიდრეკილებას, რომელზედაც მე უკვე მქონდა ბაასი: ეკონომიური განვითარება არამც თუ ერთ სახელმწიფოში, არამედ ყველა განათლებულ სახელმწიფოებშიც თანაბარ პირობებს წარმოშობს, აქედან უფლებაც თანაბარი მყარდება ყველგან. ანიც, რა თქმა უნდა, ამ აზრისაა და იმოწმებს შპრინგერის შემდეგ სიტყვებს: „უფლების ერთობა არის ფორმალური გამოხატულება და მატერიალური გარანტია ეკონომიური ერთობის. რამდენი ოლქი და ერიც უნდა შედიოდეს ერთ ევროპიულ სახელმწიფოში, რა ფართოც უნდა იყოს მისი საზღვრები ამ კითხვებში, მას შეუძლია შექნას ერთობა, ვინაიდან ევროპის სახელმწიფოები და თითქმის მთელი განათლებული ქვეყანა ყოველ დღე უახლოვდებიან ერთმანეთს უფლებრივი და ეკონომიური წყობილებით“. მე იმიტომ განვიმეორე ეს საანბანო რამეები, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოსპობილიყო თანამოაზრეთა შორის კამათი მათ შესახებ.

ამ რიგათ, ან. სასტიკათ ცდება, თუ გონია, რომ მისი „ეკონომიური“ საბუთი ოდნავ მაინც არყევს საქართველოს თვითმართველობის მომხრეთა პოზიციას. მან თვით კითხვაც მრუდეთ დასვა, რამდენათ მას სახეში

თანამოაზრენი ყავდა. ჩვენთვის სულაც არ არსებობს კითხვა იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო ამიერ-კავკასიის და აქედან საქართველოს ეკონომიურათ გამოცალკევება, მაგრამ იმავ დროსვე სასარგებლოა ვიცოდეთ, **რამდენათ ძლიერია საქართველოს მკვიდრთა გაერთიანების პროცესი ეკონომიურ ნიადაგზედ.** მაშასადამე, არა სექართველოს ეკონომიური დამოუკიდებლობა, რაიც მისთვის სიკვდილს მოასწავებდა, არამედ საქართველოს მკვიდრთა თანდათანი გაერთიანება სწორეთ **ეკონომიურ** ნიადაგზედ—აი, საძიკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მომავალი თვითმართველობა.

მე ჩემის მხრით ერთ სიტყვასაც არ დავხარჯავ იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს გაერთიანების პროცესი ძლიერის ნაბიჯით მიდის წინ ჩვენში. ამისათვის საკმარისია მოვიყვანო ფრიად საყურადღებო სტრიქონები ანის შრომიდან: „მას შემდეგ, რაც ჩვენში შემოიჭრა კაპიტალიზმი და წარმოების ღერძად გადაიქცა, გლეხობაც გამოვიდა თავის კარჩაკეტილ მდგომარეობიდან და ყიდვა გაყიდვაში ჩაება. ის შეუდგა ისეთი ნაყოფის შემუშავებას, რასაც გასავალი აქვს ბაზარზე. ის ყიდის თავის ნაწარმოებს და ყიდულობს სხვისას. ამიტომ ის იძულებულია იაროს ახლო მახლო ქალაქებში, დაბებში, რკინის გზების სადგურებზე, ხშირათ გუბერნიის ქალაქებშიაც. სოფლები ტრიალებენ ახლო მდებარე ქალაქების გარშემო, ხოლო ქალაქები ხომ კულტურის ცენტრებია. მეორე მხრით გლეხის უმცროსი ძმები, მოზრდილი ვაჟები და და ხშირად ქალებიც გადიან სამუშაოს საძებნელათ შორეულ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში. აქ ერთმანეთს ხვდებიან გურული, მეგრელი, იმერელი, ქართლელი—საქართველოს ყველა კუთხის ქართველი, ერთმანეთს ეცნობიან, ერთ ულელში ებმიან“... ეს გრძელი ამონაწე-

რი, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, მჭერმეტყველურათ ამტკიცებს იმას, რისი დამტკიცება საჭირო იყო, და მე სრულიად მანთავისუფლებს ამ მოვალეობისაგან. საქართველო დღეს არ წარმოადგენს ეკონომიურათ დაქსაქსულ და კარჩაკეტილ კუთხეთა გროვას, ამაშია მისი ძალა, ამაში გამოიხატება მისი თვითმართველ ერთეულად გამოცხადების raison d'être... კულტურულ ერთობას მაშინ ეყრება მტკიცე საძირკველი, როცა ის ეყრდნობა ეკონომიურ ერთობაზე. ხწორეთ ამ ძირითად მიზეზ-შედეგის აუცილებლობაზე ემყარება ჩვენი ერის მომავალი და არა იმაზე, რომ ხარბინ-მოსკოვ-ბაქოს ერთი მუჭა ქართველობას მიეცემა საშვალება ქართული სკოლა და თუ გინდ სამეცნიერო აკადემია დაიარსოს.

და რაც ქართველებზე ითქვა, იგივე ითქმის დანარჩენ ეროვნებათა წარმომადგენლებზე საქართველოს საზღვრებში. ესენიც თავს აღწევენ ყოველგვარ კარჩაკეტილობას და ეკონომიურათ უახლოვდებიან როგორც ერთმანეთს, ისე ქართველებსაც. ამ ეკონომიურ გაერთიანების ნიადაგზედ ვითარდება თვითეულ არაქართველ ეროვნების კულტურა.

*
* *

როცა საქაროველოს თვითმართველობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არ უნდა გამოგვეპაროს მხედველობიდან წარსული ჩვენი ისტორიული ცხოვრებაც. არაქართველების დიდი უმრავლესობა გუშინ როდი ჩამოსახლებულა საქართველოში. ისინი დიდი ხნიდან ცხოვრობდენ ქართველების გვერდით და მათთან ერთათ იტანდენ ისტორიულ ქარტეხილს. ეკონომიური და პოლიტიკური ერთობა, რამდენათ ეს შესაძლებელი იყო ფეოდალურ ხანაში, ერთგვარათ აკავშირებდა ქართველსა და არაქართ-

ველს. ამ ნიადაგზედ შემუშავდა დაახლოებით მზგავსი ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები, მზგავსი ცრუმორწმუნოებანი და უფლებრივი წარმოდგენანი, მზგავსი სიმპატია-ანტიპატია... ურთიერთი შეთვისება და გაგება ქართველსა და არაქართველ შორის თვალსაჩინო ფაქტორს წარმოადგენდა წარსულში. ამას, სხვათა შორის, ხელს უწყობდა ორი გარემოება: ა) ქართველები ეწეოდენ საოფლო მეურნეობას, არაქართველები (სომხები, ებრაელები)—ვაჭრობას, აქედან სამეტოქო ასპარეზი არ არსებობდა, თითქმის არ არსებობდა მათ შორის, ხდებოდა ერთგვარი შრომის განაწილება; ბ) არ არსებობდა ტეხნიკური დაპრკოლებაც, ე. ი. ვაჭარი სომეხი და ებრაელი ლაპარაკობდა მუშტრის—ქართველის ენაზე...

წარსული, რა თქმა უნდა, იმდენათ არის ჩვენთვის ღირსი ყურადღებისა, რამდენათ ის არ ეწინააღმდეგება აწმყოსა და მომავალს. ამ მხრივ კი ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ის განწყობილება, რომელიც ძველიდანვე დამყარებულა სხვა და სხვა ერთა შვილებ შორის, კიდევ უფრო გართულდა და განმტკიცდა ჩვენს დროში. მე განზრახ არ ვეძახი ამ განწყობილებას „მეზობლურს“, როგორც ეს მიღებულია ხმარებაში ნაციონალისტთა ბანაკში, რადგან ქართველები და არაქართველები სრულიად თანასწორ უფლება-მოვალეობის სუბიექტნი არიან და უნდა იყვენ საქართველოში.

აწმყო იმით განსხვავდება წარსულისაგან, რომ ქართველებიც ჩაებენ ვაჭრობა-მრეწველობის ფერხულში. ეს გარემოება იწვევს მეტოქობას და შუღლს ქართველებსა და არაქართველებ შორის. მაგრამ მარტო ამ მიზეზით განა ვინ შებრძოლებია ამა თუ იმ კუთხის, ამა თუ იმ სახელმწიფოს მთლიანობას? ასეთი მრუდე აზროვნება, როგორც დავინახეთ, ლოლიკურათ ამიერ-კავკასიის, თვით

რუსეთის მთლიანობის წინააღმდეგ გალაშქრებამდე მიგვიყვანდა. ნუ დაივიწყებთ, მეტოქობა და შეღლი მძვინვარებს მხოლოდ ქართველ და არაქართველ გაბატონებულ კლასთა შორის, რაც შეეხება მშრომელ კლასებს, ყველა ერთა დემოკრატიულ დად უმრავლესობას, მათ შორის სამეტოქო და სადავიდარაბო არაფერია, პირიქით, ისინი ყელამდე დაინტერესებული არიან მხარ და მხარ იდგენ სოციალურ ბრძოლის ველზედ და საერთო ძალით გაუმკლავდენ როგორც „მოძმე“, ისე „არა-მოძმე“ გაბატონებულ კლასებს.

და ეს მათ ოქროს ასოებით აღბეჭდეს განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს. ვის არ ახსოვს მაშინდელი ღირსშესანიშნავი ლოზუნგი „ერთობა“, რომელიც ერთ დროშის ქვეშ მოუწოდებდა საქართველოს ყველა ერთა მშრომელ კლასებს, რომელიც აღუწერელ აღფრთოვანებას იწვევდა ამ კლასებში? სწორეთ ხსენებულ მოქალაქობრივ ომის დროს დამტკიცდა საქართველოს ფაროე დემოკრატიის ერთსულოვნება საუკეთესო მომავლის მისაღწევათ.

ამავე ხანაში, მრავალ საუკუნოების შემდეგ, პირველათ ვიხილეთ ჩვენ ქართველი ერი, როგორც ერთი კულტურული მთელი, როგორც ეროვნება. მაშინ გამოტყრდა ისიც, რომ ქართველი მუშათა კლასი ადრე თუ გვიან ალღოს აუღებდა ამ საეპოქო მოვლენას, რომ ის იქცეოდა მშობელ ერის დიდ უმრავლესობის მებაირალტრედ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეროვნულ თავისუფლების მოპოვების საქმეშიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI.

ორი თვალთსაზრისი პრაქტიკაში.

სანამ კალამს განზე გადავდებდე, ერთხელ კიდევ მინდა მოვაგონო მკითხველს, რომ დიდათ შეუსაბამოა და სინამდვილესთან შეუწონელი ქართველ ერის **უტერიტორიო** ერის მდგომარეობაში ჩაყენება. მე არ ვხედავ არავითარ საბუთს ამისათვის. ქართველ ერს უჭირავს ერთი მთლიანი ტერიტორია და ამიტომ თვითმართველობაც **ტერიტორიალური** უნდა მიეცეს მას.

ზოგიერთს ჩვენი ბანაკიდან საქართველო ეგულება რალაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში, ე. ი. ისეთში, რომელშიდაც არ იმყოფება არც ერთი ერის სამშობლო. მე კი ვფიქრობ, განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი აქ არაფერია. სანამ საქართველოში ნატურალური წარმოება და ფეოდალური კარჩაკეტილობა სუფევდა, მანამ, რა თქმა უნდა, უცხო ტომის ხალხი იშვიათათ იკიდებდა იქ ფეხს. დღევანდელ საქართველოში, სადაც საქონლის წარმოება და აღებ-მიცემობა უალრეს ადგილს იჭერს ცხოვრებაში, უცხო ტომის ხალხიც უფრო მეტი ეტანება მას და რჩება იქ საცხოვრებლათ. ეს წესია კაპიტალისტურ ხანისა, თან ისეთი, რომელიც მოქმედებს სხვა ერთა სამშობლოშიც. მეორეს მხრით,

თია ხვედრი **ყველა** დამოკიდებულ, არა მარტო ქართველ ერისა.

მაშასადამე, უცხო ელემენტების გამრავლება საქართველოში, სულ ერთია, ბუნებრივია ის თუ ხელოვნური, კიდევ არ იძლევა საკმაო საბუთს ქართველ ერის ტერიტორიალურათ გაერთიანების წინააღმდეგ. რომელ. სამე ერის პროგრამის შედგენა იმით კი არ უნდა დაიწყოთ, რომ თვითონ მას შეუკვეცოთ უფლება! ქართველობას რომ თავისი ეროვნული ტერიტორია აქვს და არც ფიქრობს მისი ხელიდან გაშვებას,—ეს, მგონი, საკმაო არ უნდა იყოს არავისთვის. ასეთ ვითარებაში ერის **ექსტერიტორიალურ** კატეგორიად გამოცხადება სწორეთ უფლების შეკვეცას მოასწავებს მისთვის.

ვინც ასე მსჯელობს, ის, იქვს გარეშე, არაა კარგათ დაკვირვებული, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის წინსვლისათვის ტერიტორიალურ მთლიანობას. ერი დაქსაქსული ვერასოდეს ვერ დაწინაურდება ისე, როგორც ერი გაერთიანებული. ნუ დაივიწყებთ, ძალთა გაერთიანება, რასაც პოლიტიკურ ენაზე ცენტრალიზაცია ეწოდება, ნამდვილი ღერძია პროგრესისა. სწორეთ ესაა მიზეზი, რომ ჩვენ საუკეთესო ფორმად სახელმწიფო მართვაგამგეობისა დემოკრატიული ცენტრალიზი მიგვაჩნია. იგივე ცენტრალიზმი საუკეთესო იურიდიული ფორმა აგრეთვე ერისათვის. დიდი და საშვილიშვილო საქმეების როგორც დაწყება, ისე დაგვირგვინება დამოკიდებულია იმაზე, ვის უკისრნია ისინი—ერის დაქსაქსულ თუ გაერთიანებულ ძალებს. ერი, გაერთიანებული **ერთ თვითმართველ ეკონომიურ ოჯახად,** რა თქმა უნდა, მეტ უნარს და ღონეს გამოიჩენს საზოგადო ასპარეზზედ, წინსვლის გზაზედ. ეს კი უტყუარი თავდებია იმის, რომ ასეთ ნიადაგზედ იდეოლოგიაც შესაფერი აღმოცენდება,

ე. ი. ერი მოგვცემს სულიერ კულტურის სფეროში **მაქსიმუმს** იმისას, რისი მოცემა მას შეუძლია. ერის გამდიდრება ახალ ღირებულებებით, მისი კულტურული დაწინაურება მოასწავებს მშრომელ მასსის გამდიდრებას და დაწინაურებას როგორც ზნეობრივათ, ისე გონებრივათ. მშრომელი მასსა, აღჭურვილი ცოდნით და შეგნებით, უკეთ გაუძღვება თავის კლასობრივ ინტერესებს, უკეთ ემსახურება თავის საკაცობრიო მიზნებს.

მაგრამ საქართველოს თვითმართველ ერთეულად აღიარება არ ნიშნავს არაქართველების უფლების შეკვეცას, მათი ინტერესების აბუჩათ აგდებას? ინტერნაციონალისტი რა ინტერნაციონალისტია, თუ მუდამ თვალწინ არ უდგას ეს კითხვა და არ აძლევს მას გარკვეულ პასუხს. მკითხველმა უკვე იცის ჩემი პასუხი. არაქართველებს საქართველოს საზღვრებში უნდა მიეცეს სამგვარი გარანტია. **პირველი**: საქართველოს თვითმართველობა უნდა აშენდეს დემოკრატიულ საფუძვლებზე, რაიც მოასწავებს მცხოვრებთა სრულს თანასწორობას, განურჩევლათ ეროვნებისა, რწმენისა და სქესისა. **მეორე**: საქართველოს წარმომადგენლობას არას გზით არ უნდა მიენიჭოს ისეთი უფლებები, რომელიც მისცემს ქართველ ბურჟუაზიას ლეგალურ საშვალებას დაიჯაბნოს არაქართველები. **მესამე**: არაქართველები თვითონვე უძღვებიან თავიანთ კულტურულ-ეროვნულ საქმეებს.

ან. მომხრეა ქართველ ერის **იურიდიულათ** გაერთიანების, მაგრამ წინააღმდეგი იმავე ქართველ ერის **ტერიტორიალურათ** გაერთიანების.

ქართველ ერის იურიდიულათ გაერთიანება მოასწავებს მასზე კულტურულ-ეროვნულ თვითმართველობის გავრცელებას. მე ერთხელ კიდეც ვთქვი, რომ ეს მოთხოვნა თავისთავათ დიდი ნაბიჯია წინ. ან. თავის შრო-

მას იმით იწყებს, რომ აღნიშნავს ნიჰილიზმის ბატონობას ოდესმე ჩვენს წრეებში ეროვნულ კითხვის მიმართ. მე სრულიად ვეთანხმები მას და დავსძენ, რომ ან. **პირველი** ნიჰილისტი იყო მათ შორის!!

ამიერ-კავკასიის საოლქო თვითმართველობა—აი ის მალამო, რომელსაც უნდა გაინეკურნა, ანის და სხვების წარმოდგენით, ერის წყლული. დღეს კი თვით ანის წინადადებით ერი აღიარებულ უნდა იქნას უფლების სუბიექტად, ერთ მთლიან ორგანიზმად, რომელიც თვითონვე გაუძღვება თავის კულტურულ საქმეებს.

ერი, რომელსაც არ უჭირავს ერთი მთლიანი ტერიტორია, უთუოთ საჭიროებს კულტურულ-ეროვნულ თვითმართველობას. ვინც ჯიუტობს და ამ ბუნებრივ მოთხოვნას „ნაციონალისტურს“ უწოდებს, ის დღესაც ნიჰილიზმის ბურუსშია გახვეული, ან უკეთ, ვერ არჩევს ინტერნაციონალიზმს კოსმოპოლიტიზმისაგან,

ან. აჭარბებს, რა თქმა უნდა, როცა ის სომხის ერს ებრაელებს უთანასწორებს მდგომარეობით. სომხის ერს არ დაეძახება ექსტერიტორიალური ანუ უტერიტორიო, როგორც ეს სავსებით ითქმის ებრაელებზე. ვინ არ იცის, რომ სომხის ერის კარგა მოზრდილი ნაწილი გაფანტულია სხვა და სხვა მილეთის ხალში, სხვა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ ეს კიდევ არ იძლევა უფლებას უტერიტორიო ვუწოდოთ მას. ჯერ ერთი, განსაკუთრებით მოძრავი ელემენტი სომხობაში ვაჭრებია, ესენი კი უმცირესობას შეადგენენ მასში, დიდი უმრავლესობა იგივე მიწად-მომქმედი გლეხობაა, რომელიც მამა-პაპეულ კარმიდამოში ბინადრობს. მართალია, დროთა განმავლობაში დიდი და პატარა სომხეთი ძალზე აჭრელდა ეროვნულათ, მაგრამ ეს აჭრელება ისე არ უნდა გვესმოდეს, თითქო სომხობა ყველგან უმცირესობას შეადგენდეს, თი-

თქო ის ითქვიფებოდეს სხვა ერთა უმრავლესობაში. მე არ შეეხები, რა განწყობილება არსებობს ამ მხრივ რუსეთის და თვით ამიერ-კავკასიის გადაღმა, ეს ვერც შევა ჩემს თემაში. რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, აქ სომხობის დიდი უმრავლესობა უხსოვარ დროიდან სოფლად და თავის მამა-პაპეულ ადგილებზედ ცხოვრობს. საყურადღებო აქ ისაა, რომ ეს ადგილები უმეტეს შემთხვევაში არაა აჭრელებული ეროვნულათ: სომხების სოფელი ერთგვარია ეროვნულათ, არის წმინდა სომხური მაზრები, ამ მაზრებიდან შეიძლება მთელი გუბერნიაც კი შედგეს.

განსხვავება მაინც რჩება, რასაკვირველია. სომხობა არ ბინადრობს ერთ მთლიან ტერიტორიაზედ, მას უჭირავს **ბევრი** და არა ერთი ტერიტორია, მრავალია სომხის სოფლები, არის რამდენიმე მაზრაც, რომელიც გადაჯაჭულია ერთმანეთზე სივრცით, მაგრამ საეჭვოა თქვენ შეადგინოთ ორი ისეთი გუბერნია სომხებისაგან, რომლის გაერთიანება შეიძლებოდეს ტერიტორიალურათ.

რამდენათმე უკეთეს მდგომარეობაში არიან ამ მხრივ ამიერ-კავკასიის შიიტები (სპარსელნი) და სუნიტები (თათრები). თვითეულ ამ ხალხის მიერ დასახლებული ადგილები უფრო დიდია სივრცით, თან ეს ადგილები უფრო ადვილია მაზრებად და გუბერნიებად გამოიჭრას...

მე არ შემიძლია უფრო დაწვრილებით შევიდე ამიერ-კავკასიის ერთა ბინადრობის ხასიათის განხილვაში, ამისათვის საჭიროა უფრო ღრმა ცოდნა საგნისა, აგრეთვე უკეთ დამუშავებული მასალა. ან., როგორც ეტყობა, ამიერ-კავკასიის დღევანდელ დანაწილებას მაზრებად და გუბერნიებად უკრიტიკოთ ღებულობს. მე კი ვფიქრობ, დიდი სიფრთხილე გვმართებს ამ მხრივ. ბიუროკრატია თავიდანვე დიდ უსისტემობას იჩენდა ამიერ-კავკასის ახალ-ახალ მაზრების და გუბერნიების დაარსების საქმეში, გსანსაკუთრებით მათი საზღვრების შემოხაზვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს. ჯერ ერთი, პროვინციები სხვადასხვა დროს გადადიოდა რუსეთის ხელში, ასე რომ უსწორმასწორობა ამ მხრივ ისედაც აუცილებელი იყო. მეორეთ, ბიუროკრატია ადმინისტრატიულ გაყოფა-გამოყოფის დროს ხელმძღვანელობდა სტრატეგიულ და ფისკალურ მოსაზრებით. რაც შეეხება მცხოვრებთა ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთგვარობას, ბიუროკრატია არა თუ არ ზრუნავდა ამისათვის, ის ყოველ ღონეს ხმარობდა, სადაც კი გაუვიდოდა, **დაერღვია** ის. ასე რომ, როცა ჯერი ამიერ-კავკასიის ერთა **ნამდვილ** განწესიერებაზე მიდგება, როცა დაისმება პრაქტიკულათ კითხვა ამ ერთა მათი **არსებითი** ინტერესების მიხედვით დანაწილებაგაერთიანებაზე, მაშინ, მე იქვი არა მაქვს, ძალიან ბევრი რადიკალური შესწორება იქნება შეტანილი დღევანდელ ბიუროკრატიულ-ადმინისტრატიულ „გეოგრაფიაში“.

ჩვენ გვჩვევია ამიერ-კავკასიის ერებზე სჯა-ბაასი, მაგრამ ამ სასარგებლო ჩვეულებას, მე ჯერ არ შემინიშნავს შესაფერი ცოდნაც თან ახლდეს. ეს ბიხსნება, სხვათა შორის, იმითაც, რომ თვითონ ამ ერებს, პირველ რიგზე, **დემოკრატიას** ჯერ არც კი დაუსვამს, გარკვევას თქვენც დაეთხოვეთ, ეროვნული კითხვა. როცა ამ ერთა დემოკრატია ამეტყველდება და შეიმუშავებს თავის გარკვეულ პოზიციას ამ საგანზე, მაშინ, ჩვენც უკეთ შეგვეძლება გავითვალისწინოთ ამიერ-კავკასიის როგორც საერთო, ისე ცალკე ერთეულების თვითმართველობის ნამდვილი სახე.

ყოველ შემთხვევაში, ერთი ახლაც ნათელია ჩვენთვის. ამიერ-კავკასიაში ჩვენ საქმე გვექნება **ორი ტიპის** ერთან: ისეთან, რომელსაც უჭირავს ერთი მთლიანი ტერიტორია, და ისეთან, რომელსაც უჭირავს ბევრი, ერთი მეორეზე მოწყვეტილი, ტერიტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე შემთხვევაში თვითეულ, ერთი ერისაგან დადასახლებულ, ტერიტორიას, სულ ერთია, დიდია ის (გუბერნია) თუ პატარა (თემი), მიეცემა თვითმართველობა როგორც **ეკონომიურ**, ისე **კულტურულ** საქმეებში. თვითეულ ერის ეს დიდი და პატარა ჯგრედები კი შეადგენს ერთ მთელს, რომელიც განაგებს **მარტო კულტურულ** საქმეებს. ამ მთლიან სხეულში შევლენ ისინიც, ვინც სხვა ერის ერთეულებში უმცირესობას შეადგენს.

მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს **ტერიტორიალურ და პერსონალურ თვალთსაზრისის ერთმანეთან შეთანხმებასთან და არა დაპირდაპირებასთან.** იქ, სადაც ერთი რომელსამე ერის შვილნი ერთათ ბინადრობენ ისინი შეადგენენ ერთ ეკონომიურ და კულტურულ მთელს იქ, სადაც განცალკევებულათ ბინადრობენ, ისინი შეადგენენ მარტო კულტურულ მთელს.

მე სრულიად ვეთანხმები ამიტომ ანს, რომ კულტურულ-ეროვნული თვითმართველობა **ერთათ-ერთი** იურიდიული ფორმაა იმ შემთხვევაში, როცა ამიერ-კავკასიის ამა თუ იმ ერს არა აქვს ერთი მთლიანი ტერიტორია. სწორეთ იმიტომ, რომ ერს არა აქვს ერთი მთლიანი ტერიტორია, საჭიროა **პერსონალურათ** მაინც მიეცეს მას საშვალება განახორციელოს თავისი მთლიანობა.

მაგრამ მე არ შემიძლია დავეთანხმო მას, როცა ის ექომაგება საქართველოს დღევანდელ დაქუცმაცების სამუდამოთ დაკანონებას. საქართველო ერთი მთლიანი საბინადრო მხარეა ქართველი ერისა, ამიტომ ის უნდა გამოცხადდეს, როგორც ერთი მთლიანი თვითმართველობა.

მე არ მეგულება მეორე ისეთი მხარე, რომლის დანაწილება ცალკე თვითმართველ ერთეულებად ისე ადვილი და ბუნებრივი იყოს, როგორც საქართველოსი. ეს დანაწილება თვითეულს ჩვენგანს ნათლათ აქვს წარმოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილი, თვითეულ ჩვენგანს თითებზე შეუძლია ჩამოთვალოს ეს ერთეულები: სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი, გურია, ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, ლიმანი, ქართლი, მთიულეთი, კახეთი, ქიზიყი.

შევა თუ არა ერთეულ საქართველოში სხვა ე. ი. განაპირა ადგილებიც (საინგილო, ბორჩალო, სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, აბხაზეთი),—ეს **კომპრომისის** საკითხია,—ყოველ შემთხვევაში, აქ არ ეხება ვეძებდეთ უთანხმოების სიმძიმის ცენტრს. თუ ეს ერთეულები შევიდა მთლიან საქართველოში,—ამის სასარგებლოთ ლაპარაკობს **ეკონომიური** განვითარების ტენდენცია—,არაქართველები, სულ ერთია, უზრუნველ ყოფილ იქნებიან ეროვნულათ, რადგან ისინი პერსონალურ-იურიდიულათ გაერთიანებული იქნებიან მოძმეებთან არამც თუ საქართველოში, არამედ მთელს ამიერ-კავკასიაში; თუ არ შევიდა, მაშინ ქართველებს მიეცემა ამ განაპირა ადგილებში იგივე უფლება—კულტურულ-ეროვნულ საქმეების გასაძღოლათ მიეწეროს დედა-საქართველოს. **ორსავე** შემთხვევაში თვითეული ეს განაპირა პროვინცია გამოცხადდება თვითმართველ ერთეულად, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა (არაქართველები) და უმცირესობა (ქართველები) ერთათ აწარმოებენ ეკონომიურ საქმეებს ხოლო კულტურულ-ეროვნულ საქმეებს ცალ-ცალკე.

// მე საჭიროთ არ ვთვლი დიდ ხანს შევჩერდე ერთ არასერიოზულ საბუთზე. ამბობენ, თფილისში ქართველები უმცირესობას შეადგენენ და ამიტომ ის უნდა ჩამოეჭრეს საქართველოს, თუ უკანასკნელი თვითმართველ ერთეულად იქნა აღიარებულიო! თუ ასე ვიმსჯელეთ, მაშინ თვითმართველ პოლონეთს უნდა ჩამოეჭრას **ყველა** ქალაქები, გარდა ვარშავისა (აქაც პოლონელნი 50% ძლივს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცილდებიან), რადგან იქ ებრაელნი მცხოვრებთა არა ნაკლებ 80% შეადგენენ! ქალაქების „გაკოსმოპოლიტება“ რატომ მანდამაინც საქართველოში უნდა მოასწავებდეს ასეთ ტრაგიკულ ბოლოს ერისათვის? თუ თფილისი ერთსა და იმავე დროს საგუბერნიო ქალაქიცაა და ამიერკავკასიის ადმინისტრატიული ცენტრიც, რაღა დაუშლის მას საქართველოს დედა-ქალაქადაც დარჩეს, როგორც ყოფილა წარსულში და არის დღესაც? თფილისი მდებარეობს საქართველოში, ქართლისა და კახეთის საზღვარზედ, რას გვეუბნება ეს? იმას, რომ ქართლელი და კახელი გლეხი, როგორც კი დაიძვრის სოფლიდან, უთუოთ თფილისს მიადგება კარზე: ეს ტენდენცია დღესაც ადვილათ დასანახია თვალ-ახილულისათვის. მე არას ვამბობ იმერელ-გურულ-მეგრელებზე, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს თფილისში.

მე ის კი არ მიკვირს, რომ ქართველობა უმცირესობას შეადგენს თფილისში, არამედ ის, რომ ის, მიუხედავათ ბრავალ პოლიტიკურ და ნაციონალისტურ დაპრკოლებისა, ასე შეუჩერებლათ იზრდება იქ. მე არა ნაკლებ მიკვირს ისიც, რომ საქართველოს დაბა-ქალაქების **დიდ უმრავლესობაში** ქართველები ჭარბობენ.

ნუ თუ დაგვავიწყდა, რომ ქართველობა **სულ** ახლახან გამოვიდა ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზზედ? განა ან. **პირველი** არ არის, მისდა სასიქადულოთ, ვინც აუწყა ქვეყანას ქართველ ერის ახალ მოქალაქობრივ მორევში შეტოპვა? ვინც დააკვირდება გავლილ მანძილს, მას არავითარი უფლება არა აქვს უსაყვედუროს ქართველობას ნელი სიარული, სიზანტე.

მე თანახმა ვარ, აღმოსავლეთი საქართველო ჩამორჩა დასავლეთ საქართველოს კულტურულათ, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ამის მიზეზები მარხია არა

ქართლელის და კახელის სიძაბუნეში, არამედ გარეშე, ობიექტივურ პირობებში. უმთავრესი მიზეზი არის ის ბატონყმური დამოკიდებულება, რომელშიდაც იმყოფება გლეხობა. თავად-აზნაურობა—აი ის სოციალური ძალა, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწევს გლეხობას მკედრზე და არ აძლევს მას გასაქანს. ეს რეაქციონული ძალა სუსტია კახეთში, ამიტომ გლეხობაც უფრო წელ-გამართულია; ის ძლიერია ქართლში, ამიტომ გლეხობაც თითქმის მათხოვრად იქცა.

მერე რას გვეუბნება ეს დამაღონებელი ვითარება? იმას, რომ დიდათ საჭიროა და უმწვერვალესათ მიზანშეწონილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ თვითმართველ მთელში მოქცევა: ამით დაწინაურებული ნახევარი ხელს შეუწყობს ჩამოქვეითებულ ნახევრის ჩქარის ნაბიჯით გაქანებას პროგრესისა და კულტურის გზაზედ.

დიდი მითქმა-მოთქმაა ჩვენში თავად-აზნაურობის მიწად-მფლობელობის ლიკვიდაციაზე. ამბობენ, ქართველი აგრარიები მიწა-წყალს უცხოელებზე ყიდიან და მით საფრთხეს უმზადებენ სამშობლოსო.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენას პირდაპირი კავშირი არა აქვს ეროვნულ საკითხთან. ჯერ ერთი, თავად-აზნაურობის მიწად-მფლობელობის თანდათანი შემცირება საზოგადო კანონია მთელი რუსეთისათვის, საქართველოც, რა თქმა უნდა, გამონაკლისს არ წარმოადგენს ამ მხრივ. მეორეთ, მიწის უცხო სოვდაგარზე გადასვლა კიდევ არ მოასწავებს მისი დამუშავების აღკვეთას ქართველ გლეხისათვის. ვინ იტყვის, რომ სომხის სოვდაგრები ნაციონალისტები არ არიან, მაგრამ ისინიც იძულებული არიან იხელმძღვანელონ მოთხოვნა-მიწოდების (спросъ и предложеніе) კანონით: თუ ქართველი მუშა ხელი მეტ მოგებას უქადის მათ, მაშინ იკარ-

გება მათთვის მთავარი სტიმული უთუოთ სომხის გლეხები ჩამოასახლონ ახლათ შეძენილ მამულებში. ლატიშთა მიწა-წყალს თითქმის მარტო გერმანელი ბარონები დაპატრონებიან, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქო ეს მხარე გერმანელებისაა: საკმარისია მართვა-გამგეობის დემოკრატიზაციამ გაიმარჯვოს, რომ ლატიშთა ერმა მთელი თვითმართველობა ხელში ჩაიგდოს.

გასაკვირი ის კი არ არის, რომ გაკოტრებული, ქარაფშუტა მაღალი წოდება წალმა-უკულმა აგირავებს და ყიდის მამულებს, არამედ ის, რომ დარჩენილან კიდევ ისეთი რომანტიკები, ვინც არ იღლება მგლის თავზე სახარების კითხვით. **ჩვენ გვინდა და ძალიან საჭიროთაც მიგვაჩნია, რომ ქართველი გლეხები იძენდენ მამულებს თავადებისაგან,** მაგრამ მარტო მამულიშვილური ლათაიებით ფონს ვერ გავალთ. რატომ ვერ იძენს ქართველი გლეხი მიწას? იმიტომ რომ მას არაქათი გამოცლილი აქვს სიღარიბისაგან, ამ სიღარიბის მთავარი მიზეზი იგივე აგრარებია,—მაშასადამე, არა „სახარების კითხვა", არამედ სასტიკი ბრძოლა მათ წინააღმდეგ—აი დემოკრატიის ნამდვილი დანიშნულება. ხელი შეუწყვეთ გლეხობას რაც შეიძლება ჩქარა განთავისუფლდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ უმწეობისაგან და აგრარული კითხვაც მაშინ გადიჭრება რადიკალურათ, ამით თქვენ ნამდვილ **ეროვნულ** საქმეს აკეთებთ. ვინ აკეთებს ამას? სწორეთ ისინი, ვისაც სამშობლოს მოღალატობას სწამებენ!

აქ საჭიროა შევეხო ერთ ფრიად საგულისხმო ადგილს, რომელსაც სრულიად უეცრათ წავაწყდი ანის შრომაში. თქვენ ალბათ გახსოვთ, ან. ყოფს ამიერ-კავკასიას, თანახმად შპრინგერის სქემისა, მრავალ თვითმართველ ერთეულებად. ის უკრიტიკოთ ღებულობს, როგორც ზევით მოვიხსენიე, ღღევანდელ ადმინისტრატიულ

დანაწილებას თემების, მაზრების და გუბერნიების სახით. ქუთაისის გუბერნიას, მაგ., ის სახავს თვითმართველ ერთეულად, ასევე ბაქო-განჯის, თფილისის გუბერნიას, ბათუმის მხარეს და სხ. მსჯელობს რა ამეებზე, ან. მოულოდნელათ, თითქო გაკვრით, ამბობს: „გარდა ამისა, თვითეულ ერთეულს ნება უნდა ქონდეს შეუკავშირდეს მეორე მოსაზღვრე ერთეულს, თუ ერთეულთ საერთო საქმე აქვთ გასაკეთებელი“. (ხაზი ჩემია). როგორ მოგწონთ ეს? ან. **თავის პირით** გვეუბნება: გუბერნია გუბერნიას „შეუკავშირდება, თუ მათ საერთო საქმე აქვთ გასაკეთებელი“. აიღეთ მაგალითისთვის საქართველოს სამი გუბერნია და შეუფარდეთ მათ ანის ნათქვამი. თფილისის გუბერნია რომ ესაზღვრება ქუთაისისას, ქუთაისის გუბერნია—ბათუმის მხარეს, ეს ხალასი ფაქტია: რომ ამ სამ გუბერნიას აქვს და ექნება ბევრი რამ საერთო ერთმანეთან, ესეც ხომ თავის თავათ მისახვედრია,—მაშ, **თანახმად ანის ნათქვამისა**, ჩვენ შეგვიძლია ყველა ეს მოსაზღვრე და მონათესავე გუბერნიები გავაერთიანოთ ერთ მთლიან საქართველოდ!

მე ვთქვი არა ერთხელ, ან. საქართველოს გაერთიანების დიდი მოწინააღმდეგე არის მეთქი, ის, უეჭველათ, აწიც ბევრ ტყვია-წამალს დახარჯავს ამისათვის, მაგრამ ყველა ეს **ამაო ცდაა**. ციხე შიგნიდან გატყდებაო—ნათქვამია, ანმა თვითონვე შეანგრია თავისი ციხე-კოშკი, საიდანაც ასე „მორჭმულათ“ გადმოიყურებოდა! თუ ის არაფერ საწინააღმდეგოს, არავითარ „ერესს“ არ ხედავს იმაში, რომ ერთი გუბერნია შეუკავშირდეს მეორეს, მეორე მესამეს და ასე ბოლომდის, მაშინ რაღა დარჩა მთელი მისი გალაშქრებიდან საქართველოს პროვინციების გაერთიანების წინააღმდეგ? **არაფერი**. მისალოცია ეს „არაფერი“! ამ არარაობიდან ჩვენ ვღებულობთ ფრიად

დადებითი რამეს, ე. ი. იმას, რაც ასე არ მოსწონს ანს საქართველოს თვითმართველობის დადასტურებას, უარყოფის მაგიერ!

ან იქნება ან. ხსენებულ შეკავშირებაში შემთხვევითი, დროებითი რამეს გულისხმობს, ე. ი. საქართველოს ორი თუ მეტი ერთეული შეკავშირდება მარტო **ერთ** საერთო საქმეში და ისიც **დროებით.** ამ შემთხვევაში იბადება კითხვა, რატომ **ყველა** საერთო საქმეებში არ შეიძლება ასეთი კავშირი? ან კიდევ, რა უშლის, რომ კავშირი მუდმივი **იყოს**? მე არ მგონია ისეთი ვინმე მოიძებნოს თანამოაზრეებში, ვინც უარყოფდეს საერთო საქმეების არსებობას საქართველოსთვის,—საჭიროა, მაშასადამე, ამ საქმეების **საერთო ძალებით** გაძღოლა; თან ეს საქმეები მუდმივი ხასიათისაა, ამიტომ საერთო ორგანოებიც **მუდმივი** უნდა იყოს.

იდეა საქართველოს თვითმართველობისა, ამ რიგათ, გამარჯვებული გამოდის იმ ბრძოლიდან, რომელიც მას არგუნა ბედმა ანის მადლიან კალმისაგან. მე გაკსინჯე სათითაოთ ანის საბუთები როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ხასიათისა, მაგრამ ვერც ერთი ვერ ვნახე ისეთი, რომელსაც შესძლებოდა ამ იდეასთან გამკლავება. **საერთო პროგრამული პრინციპი თვითმართველობისა**—აი, თუ გნებავთ, ნამდვილი ციხე-კოშკი, რომლის აღება არც ისე ადვილია, როგორც ეს წარმოუდგენია ანს. მან მარჯვეთ შეუტია საქართველოს **სახელმწიფოებრივობას,** რასაც მიზნად ისახვენ ფედერალისტები, მაგრამ ამისათვის გზა უკვე გაკაფული იყო 1908 და 1909 წ.წ.; რაც შეეხება საქართველოს თვითმართველობას, ამაო გამოდგა მისი შეტევა.

მე დავუშვი ანის მთავარი საბუთის—**სტატისტიკის** სისწორე, მაგრამ ვერც ამან მოახდინა მისთვის სასურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი ეფექტი. სანამ ჩვენ ვდგევართ თვითმართველობის ნიადაგზედ—ვამპოვდი მე—, სტატისტიკას არ მიეწერება გადამჭრელი მნიშვნელობა მეთქი. თვითმართველობა არ გულისხმობს უმცირესობის, ე. ი. არაქართველების **უფლებრივ** დევნას. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიის ნაციონალისტურ ჰანგების—„ვინ-ხარ-მამაცის“ სათავეშიც ჩახრჩობას, მაგრამ ეს არც უნდა მოვთხოვოთ ისეთ უფლებრივ ნორმას, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის იწერება. „ყველაზე უმშვენიერეს ასულს ვერ მოთხოვთ იმაზე მეტს, რისი მოცემა მას შეუძლია“, მზგავსათ ამისა ვერც დღევანდელ უფლებრივ ნორმას მოთხოვთ იმაზე მეტს, რისი მოცემა მას შეუძლია. განა, მაგ., თფილისის გუბერნია, რომლის თვითმართველ ერთეულად გამოცხადებას მოითხოვს ან., გულისხმობს ბურჟუაზიის ნაციონალისტურ აურ-ზაურის მოსპობას? არა, რასაკვირველია. ამას არ გულისხმობს, როგორც დავინახეთ, არც ამიერ-კავკასიის საოლქო თვითმართველობა. მაშ რატომ მანდამაინც თვითმართველ საქართველოში უნდა წარმოადგენდეს ეს აურ-ზაური რაღაც საშინელ საფრთხეს?!

*
* *

საქართველოს ტერიტორიალური თვითმართველობა დადებითი ღირებულებას წარმოადგენს, ის საესებით ეთანხმება ქართველ ერის სოციალ-ეკონომიურ გაერთიანებას. ეს მოთხოვნა ზედმიწევნით პროგრესიულია, ის ეგუება ჩვენს ზოგად ეროვნულ პროგრამას, ის შექმნის ქართველ ერისათვის ისეთ პირობებს, რომელიც ძალიან წინ წასწევს მისი კულტურულათ დაწინაურების საქმეს, ის ბაზაა ქართულ მწერლობა-ხელოვნების ასაღორძინებლათ...

ქართველ ერის წარსული ძლიერ მდიდარია საგმირო საქმეებით. ამაზე ხშირათ გვითითებენ ნაციონალისტები. ის ნაციონალისტები, ვინც ასე ალმაცურათ უცქერის ქართველ დემოკრატიის გუშინდელ საგმირო საქმეებს, ვინც დაგმო განმათავისუფლებელი მოძრაობა და შარავანდედით მოსილი მისი წამებული გმირები, ვინც იმდენათ დაყრუვდა, რომ ვერც კი გაიგო ქართველ დემოკრატიის ის ბრძოლის ყიჟინა, რომელიც სწვდებოდა არა თუ რუსეთის, მთელი ევროპის სმენას.

მე მივლია სოფლად საფრანგეთში, მინახავს იქაური გლეხი, მისი შვილები, დავსწრებივარ მათ მხიარულებასაც, როცა ისინი მღეროდენ. მე ვისმენე ბევრი სიმღერა, მაგრამ არც ერთი ისეთი, რომელიც ჩამწვეთებოდა გულის სიღრმემდე, რომელიც მეცნ... თქვენ მიმხვდარი ხართ, რა სიმღერებზეა აქ ლაპარაკი, რა არ მსმენია მე.

ახლა აიღეთ მეორე სურათი. 1910 წ., ე. ი. ორი წლის შემდეგ, მე ვიყავი ბახმაროზე. ბახმაროს ხომ მაღალ, პიტალო მთების კალთებში სძინავს. ჩვენ არ დავჯერდით ამას და კიდევ უფრო მაღლა ავცოცდით ერთი კლდის მწვერვალზედ. მე არ შევუდგები ბუნების აღწერას, ამისათვის ჩემი კალამი სუსტია. ჩვენ ვიყავით ოცამდე, უმრავლესობა სოფლელები, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. ზოგი იდგა, ზოგი წამოჯდა, ზოგიც წამოწვა. გაისმა სიმღერის ხმა. მე გავიგე ის ჰანგები, რაც არ გამეგო საფრანგეთის სოფელში: მარსელიოზა, ინტერნაციონალი! დაუვიწყარია ჩემთვის ეს წუთი

ამ სიმღერაში წარმოვიდგა წინ ჩვენი ახლო წარსულის მთელი ისტორია, წარმოშობა და ზრდა იმ ჯგუფისა, რომელმაც მე-90-თე წლებში ჩაუყარა სარჩიკველი

ჩვენი პოლიტიკურ შემეცნებას, ჩვენი ეასრულილისა-
რივით ლტოლვას საკაცობრიო იდეალებისაკენ.

მე მრწამს ჩემი ერის მომავალი, რადგან მას სათა-
ვეში დემოკრატია უდგას. ქართველი მშრომელი მასსა
მთელი რუსეთის მშრომელ მასსასთან ერთათ მოიპოვებს
თავისუფლებას.

საქართველოს იურიდიულათ გაერთიანებაც ამ სა-
ზოგადო თავისუფლების ერთ-ერთი ნაყოფი იქნება.

ქართველი დემოკრატია საქმით დაამტკიცებს, რომ
ის ღირსეული მემკვიდრეა თავის წინაპრებისა.

998

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 30 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა